პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

— კომინტერნის აღმასკომის მიმართვა
— „ნიუ ლიდერ“-ი ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ
— ორლოვსა და პავლონოვსკის აძევებენ პრუსიიდან?
— ბრიანის გეგმა „ევროპის ფედერაციის“ შესახებ
— მაკდონალდს განზრახვა აქვს ნაწილობრივ შეასრულოს ბოლდუინის სამხედრო პროგრამა
— კატასტროფა ინგლისის ქვა-ნახშირის მაღაროებში.—დაიღუპა 11 კაცი
— სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა, 14 ივლისი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 160 (2506)

კოლექტიურად შევინახოთ ობლიგაციები

შინაური სესხი ერთ-ერთი ძლიერი წყაროა პროლეტარულ სახელმწიფოსათვის ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში; ჩვენს პირობებში, როცა საბჭოთა კავშირი თითქმის მოკლებულია საგარეო სესხით სარგებლობის საშუალებას, როცა პარტიისა და ხელისუფლების წინაშე მდგომ უდიდესი მნიშვნელობის სამეურნეო და კულტურულ ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს მთელი ქვეყნის მატერიალურ შესაძლებლობათა მაქსიმალურ მობილიზაციას, შინაურ სესხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებში ამ შეგნებას საკმაოდ ღრმად აქვს გადგმული ფესვები. უმთავრესად ამით აიხსნება ის იშვიათი თანაგრძნობა, რომლითაც ეკიდებიან ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასები ხელისუფლების თვითეულ მოწოდებას ყოველ ახალ შინაური სესხის შეძენის შესახებ. თითქმის ყველა შინაური სესხი განსაკუთრებული წარმატებით იქნა ჩატარებული. უფრო მეტი, უკანასკნელ წლებში გამოშვებული როგორც პირველი და მეორე ინდუსტრიალიზაციის, ისე სოფლის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები გაცილებით უფრო მეტი რაოდენობით იქნა გავრცელებული მოსახლეობაში, ვიდრე ეს წინასწარ იყო გათვალისწინებული.

ჩვენი გაზეთის უკანასკნელ ნომრებში იბეჭდება ცნობები იმის შესახებ, რომ მთელ რიგ სამრეწველო ცენტრებიდან მუშებს კოლექტიურად შეაქვთ წინადადება მთავრობაში, რათა გამოშვებულ იქნას ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი. ჯერ ეს საკითხი გადაწყვეტილი არაა მთავრობის სათანადო ორგანოებში და მუშები უკვე აგროვებენ მათი ხელფასის მიხედვით საკმაოდ დიდ თანხებს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ფონდის შესაქმნელად. ეჭვი არ არის, რომ ეს მეტად სასარგებლო ინიციატივა შესაფერ გამოხმაურებას ჰპოვებს საბჭოთა კავშირის ყველა მუშებში და, მათ შორის, საქართველოს მუშებშიაც. სამისო ცნობები ჩვენ უკვე გვაქვს.

ეს ფაქტები ერთხელ კიდევ ცხადჰყოფენ, თუ რამდენად დიდია მუშათა მასების კლასიური თვითშეგნება, რამდენად ღრმად შეიჭრა შინაური სესხის იდეა ქალაქისა და სოფლის ფართო მშრომელ მოსახლეობაში. მაგრამ ამ უდავო მიღწევათა ფონზე ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს ის დეფექტები, რომელთაც ადგილი აქვთ შინაურ სესხების გავრცელების დარგში. ცხადია, რომ შინაური სესხი მით უფრო ამართლებს თავის დანიშნულებას როგორც პროლეტარულ სახელმწიფოსათვის, ისე თვით სესხის შემძენ მოსახლეობისათვის, რაც უფრო ხანგრძლივად დაიტოვებენ ხელზე ობლიგაციებს მისი მფლობელნი. სინამდვილეში კი ადგილი აქვს ობლიგაციების ვადაზე ადრე ჩაბარებას. ეს უთუოდ არანორმალური მოვლენა საკმაოდ მასიურ ხასიათს ღებულობს. ამრიგად იქმნება გრძელვადიანი სესხების მოკლევადიან სესხებად გადაქცევის საფრთხე.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთ მდგომარეობას აქვს თავისი მიზეზები. ეს მიზეზები მით უფრო თვალსაჩინოა ეხლა, ზაფხულის თვეებში, როცა მუშა-მოსამსახურეების ბიუჯეტი, სეზონურ პირობების გამო, გამოდის ნორმალურ ჩარჩოებიდან. სწორედ ამით აიხსნება, რომ უკანასკნელ ხანებში ობლიგაციების ვადაზე ადრე ჩაბარება-გაყიდვა თუ დაგირავება გაზშირდა. ასეთ გარემოებას ვერ შევურიგდებით. მთელი ჩვენი ღონისძიებები იქითკენ უნდა იქნას მიმართული, რომ აღმოვფხვრათ ასეთი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ორგანიზაციები დასძლევენ იმ ინდიფერენტიზმს, რომელსაც დღემდე ბევრგან აქვს ადგილი შინაურ სესხების გავრცელების საქმეში. განსაკუთრებით დიდი მოვალეობა ეკისრება ამ მხრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს: პროფესიონალურ კავშირებს და კოოპერაციას. რა თქმა უნდა, ძირშივე უნდა იქნას აღკვეთილი ყოველგვარი ისეთი ცდა, რომელიც მიზნად დაისახავს ობლიგაციების ვადამდე ადრე ჩაბარების შეჩერებას ადმინისტრატიული ზეგავლენით. **სესხის ობლიგაციების ნებაყოფლობით შეძენისა და მათი უკანვე დაბრუნების ნებაყოფლობითი პრინციპი ურყევად უნდა იქნას დაცული.** უნდა შეიქმნას ისეთი ობიექტიური პირობები, რომ მუშა-მოსამსახურეებმა საკუთარი შეგნებით შეიკავონ თავი ობლიგაციების გაყიდვა-დაგირავებისაგან. ეს კი შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ პროფესიონალურ კავშირების დამხმარე სალაროები გააძლიერებენ თავიანთ მუშაობას, თუ კოოპერატიული ორგანიზაციები საქონლის კრედიტის სახით ობლიგაციების მფლობელ მასებს დაეხმარებიან გადაუდებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში. ამავე დროს უნდა გაცხოველებულ იქნას აგიტაცია სესხის მნიშვნელობის მეტი პოპულიარიზაციისათვის.

მიუხედავად დიდი მიღწევებისა შინაურ სესხების გავრცელების დარგში, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სესხის ტეხნიკურ დეტალებს და მნიშვნელობას ყველგან ერთნაირად იცნობენ. აქ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა უნდა იქნას ჩატარებული. ამ მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ობლიგაციების შემძენ მასებს გაუადვილოთ მოგებათა ტირაჟებისათვის თვალყურის დევნება. ობლიგაციების შენახვა და სხვა. აქ კი მეტი თაოსნობა და ბეჯითობა უნდა გამოიჩინონ სესხის გავრცელების ხელის შემწყობ ადგილობრივ კომისიებმა და ჩვენმა საბანკო ორგანოებმა.

ობლიგაციების კოლექტიურად ჩაბარება ბანკებში შესანახავად ერთ-ერთი იმ საუკეთესო საშუალებათაგანია, რომელიც ანთავისუფლებს ობლიგაციის მფლობელს ყოველგვარ მზრუნველობისაგან იმისათვის, რომ თვალყური ადევნოს მოგებათა ტირაჟს. ამასთანავე ეს საშუალება იმის საუკეთესო გარანტიაა, რომ ობლიგაცია, რაიმე შემთხვევის გამო, მის შემძენს არ დაეკარგოს, რაიც არც ისე იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ამიტომ ობლიგაციების ბანკში კოლექტიურად ჩაბარების პრაქტიკა ყოველნაირად უნდა იქნას წახალისებული.

მხოლოდ ზემოჩამოთვლილ ღონისძიებათა ენერგიულ და სისტემატიური გატარებით შევძლებთ ჩვენ ობლიგაციების ვადამდე ადრე გაყიდვისა და დაგირავების არანორმალურ მოვლენის აღმოფხვრას. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ თვითეულ ობლიგაციის ვადამდე ადრე უკან დაბრუნებით ჩვენ ვაკლით აგურს იმ დიდ და მშრომელი მასების საკეთილდღეო მშენებლობას, რომელსაც აწარმოებს ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

ფალსიფიკატორების მფარველნი

ორლოვისა და პავლონოვსკის საქმეზე ბერლინის სასამართლოს მიერ გამოტანილმა განაჩენმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მათ მისაჯა მხოლოდ ოთხ-ოთხი თვით დაპატიმრება, რომელიც ამასთან მოხდილად ითვლება მათი წინასწარ პატიმრობაში ყოფნით. ამგვარად, დამნაშავენი განთავისუფლებულ იქნენ.

ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის ხელისუფლება იმ თავითვე ყოველნაირად ცდილობდა საქმის მიფუჩეჩებას. პროცესის დანიშვნა განზრახ ძალზე გააჭიანურეს, რომ ერთი მხრით მის მიმართ ინტერესი შეენელებიათ, ხოლო მეორე მხრით მოემზადებიათ ნიადაგი ბოროტმოქმედების ნამდვილი შინაარსის დასამალავად, ვინაიდან აშკარა იყო, რომ ორლოვი და კომპანია მჭიდროდ იყო დაკავშირებული გერმანიის ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულებებთან, რომელნიც უხვად სარგებლობდნენ თეთგვარდიელ ფალსიფიკატორების „დოკუმენტებით“. ამის საჯაროდ მხილება კი, ცხადია, არაფერი სასიამოვნო იყო გერმანიის ხელისუფლებისათვის.

თუმცა პროცესი ხელოვნურად ძალიან ვიწრო ჩარჩოებში მოამწყვდიეს, რის გამო შეუძლებელი გახდა ორლოვების „მოღვაწეობის“ საჭირო სისრულით გადმოშლა, შეუძლებელი შეიქნა აგრეთვე იმ ორგანიზაციების და სახელმწიფოების როლის სავსებით გამომჟღავნება, რომელთაც ყალბი საბუთების დამამზადებელნი ემსახურებოდნენ, მაგრამ ისიც, რაც პროცესზე უდავოდ გამოირკვა, საკმარისზე მეტი იყო ბოროტმომქმედთა სასტიკად დასჯისათვის.

მთავარი, რაც აღსანიშნავია, ეს ისაა, რომ ორლოვ-პავლონოვსკის საქმე არ იყო მარტო ჩვეულებრივ სისხლის სამართლის დანაშაული, თუმცა ამ შემთხვევაშიაც მათთვის სასამართლოს, არსებულ კანონების მიხედვით, მკაცრი განაჩენი უნდა გამოეტანა. ეს იყო უაღრესად პოლიტიკური საერთაშორისო ხასიათის ბოროტმოქმედება. ორლოვი და კომპანია ამზადებდა ანტისაბჭოთა ყალბ დოკუმენტებს და მათი საშუალებით ცდილობდა კაპიტალისტურ ქვეყნების ურთიერთობის გამწვავებას საბჭოთა კავშირთან. ორლოვი მონაწილეობას იღებდა კერძოდ „ზინოვიევის წერილის“ დამზადებაში, ხოლო ჩვენ ვიცით, თუ რა საბედისწერო როლი ითამაშა ამ „წერილმა“ ინგლის-საბჭოთა დამოკიდებულების საკითხში. საგულისხმოა აგრეთვე მათი „საბუთი“ ამერიკელ სენატორების ბორას და მორისის წინააღმდეგ, რომელთაც ბრალდებოდათ, თითქო ისინი მოსყიდული ყოფილიყვენ საბჭოთა მთავრობის მიერ. ასეთი სიყალბის მიზანი იყო გაშავება ხსენებულ სენატორებისა, რომელნიც აგიტაციას ეწევიან ამერიკა-საბჭოთა დაახლოვებისათვის, და, მაშასადამე, ამ დაახლოვების საქმის ჩაშლა. როგორც საბჭოთა მთავრობამ, ისე ამერიკის მთავრობამ თავის დროზე მიუთითეს გერმანიას ორლოვის პროცესის საერთაშორისო მნიშვნელობაზე და მოითხოვეს საქმის საფუძვლიანად გამორკვევა.

მაგრამ ბერლინის სასამართლო სხვანაირად მოიქცა. მან ორლოვი და პავლონოვსკი დამნაშავედ სცნო „კერძო ყალბი დოკუმენტების დამზადებაში აფერისტობასთან შეერთებით“. ამნაირად სასამართლომ მათ მოხსნა მძიმე საერთაშორისო ხასიათის დანაშაული, რომელსაც მათი მოქმედება წარმოადგენს. ამასთან, მან დაუმტკიცებლად გამოაცხადა ერთ-ერთი საყურადღებო „დოკუმენტის“, ე. წ. „სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ინსტრუქციის“ სიყალბე. ამნაირად თუმცა მოწმეების ჩვენებით და ავტორიტეტულ ექსპერტების დასკვნითაც ეს „ინსტრუქცია“ თავიდან ბოლომდე ყალბია. სასამართლო ბოროტმომქმედთა გამართლების სურვილმა ისე გაიტაცა, რომ მათ ბნელ მუშაობას „იდეური“ სარჩული გამოუნახა, ე. ი. ორლოვს და პავლონოვსკის ამოძრავებდა არა მარტო ანგარება (ფულის მიღება „დოკუმენტებისათვის“), არამედ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგო. მაშასადამე, გერმანიის სასამართლო აქეზებს ასეთ ბრძოლას და ამ მიზნით მას დასაშვებად მიაჩნია ყოველგვარ საშუალების გამოყენება, თუ გინდ სიყალბის ჩადენა. ეს აღმაშფოთებელი ანტისაბჭოთა გამოსვლაა და პირდაპირი მოწოდება თეთრგვარდიელთა ემიგრაციისადმი ანტისაბჭოთა მუშაობისაკენ.

ასეთ პირობებში არაფერია გასაკვირი, რომ ყალბ ჩერვონცების დამამზადებელ ქართველ კონტრ-რევოლიუციონერ ემიგრანტებიც „სითამამეს“ იჩენენ. ქარუმიძის განცხადება ამ მხრივ საგულისხმოა. ის გულახდილად მოყვება ისტორიას, თუ საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით ვის დაუკავშირდნენ საქართველოდან მშრომელთა მიერ გაძევებული არამზადები. აქ სცენაზე გამოდიან დეტერდინგი, გენერალი ჰოფმანი და საბჭოთა კავშირის სხვა დაუძინებელი მტრები. ქარუმიძეები მოლაპარაკებას აწარმოებენ იმპერიალისტურ მთავრობებთან საქართველოს „განთავისუფლების“ საკითხზე, ესე იგი ჩვენი ქვეყნის დასამონებლად და კერძოდ ბაქოს ნავთის დასაბრუნებლად მისი ყოფილი პატრონებისათვის. მაგრამ ამ „წამოწყებისათვის“ ხომ დიდძალი ფინანსები იყო საჭირო, სხვას რომ თავი დავანებოთ. დეტერდინგებს არ სურთ თავისი ფული გაიღონ, რადგან ეშინიათ, ვაი თუ ის ტყუილ-უბრალოდ დავკარგოთ და მიზანს ვერ მივაღწიოთო. და აი, იწყება ყალბი ჩერვონცების ფაბრიკაცია. ქარუმიძე პასუხისმგებლობას ამისათვის თავის თავზე ღებულობს, ხოლო სადათიერაშვილს, რომელიც უშუალოდ მუშაობდა ამ „საქმეზე“, თავის ტეხნიკურ თანამშრომლად აცხადებს.

ყალბი ჩერვონცების დამამზადებელთა პროცესი, რომელიც დაუსრულებლივ ჭიანურდება, ახლო მომავალში უნდა გაირჩეს. რო არაფერი ვსთქვათ იმაზე, რომ გერმანიის ხელისუფლება შეეცადა და კვლავაც შეეცდება ამ საქმის მთავარი სულისჩამდგმელები — დეტერდინგები და სხვები—ხელუხლებელი დარჩნენ, რა გარანტია აქვთ, რომ გერმანიის სასამართლო ქარუმიძე-სადათიერაშვილებს ისევე არ მოუსვამს თავზე ხელს, როგორც ორლოვებს. ქარუმიძეები სწორედ ამით არიან გათამამებული.

ყოველივე ეს ჩვენს წინაშე აყენებს გერმანია-საბჭოთა ურთიერთობის საკითხს. ბერლინის სასამართლოს განაჩენი ორლოვის და პავლონოვსკის საქმეზე გადაჭრით ეწინააღმდეგება იმ შედარებით ნორმალურ პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოკიდებულებას, რომელიც დღემდე არსებობს ამ ქვეყნებ შორის. ჩვენ ვიცით, რომ გერმანიაში მოიპოვებიან წრეები, რომელნიც საფრანგეთთან ბლოკზე ოცნებობენ და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გართულების გზით ფიქრობენ საფრანგეთისაგან დათმობების მიღებას. ამან გარკვევით იჩინა თავი სარეპარაციო კონფერენციაზე. ხომ არ აპირებს გერმანია რევიზია უყოს თავის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ? ამ კითხვის დასმა მართებულია ორლოვის პროცესის შედეგთან დაკავშირებით. საჭიროა მდგომარეობაში სრული გარკვეულობის შეტანა. თუ ბერლინის სასამართლოს განაჩენი არ გამოხატავს გერმანიის მთავრობის თვალსაზრისს, „შეცდომა“ უნდა გამოსწორდეს. აგრეთვე ყალბ ჩერვონცების მკეთებელ ქართველ კონტრ-რევოლიუციონერების მიმართ, რომელნიც დღემდე თავისუფლად გრძნობენ თავს. უნდა იქნას აღებული გადამჭრელი კურსი. ყველაფერი ეს აუცილებელია გერმანია-საბჭოთა კავშირის ნორმალური ურთიერთობისათვის, რომელიც ასე საჭიროა არა მარტო ჩვენთვის, არამედ, პირველ ყოვლისა, თვით გერმანიისათვის.

X.

ჰენდერსონი რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ

ინგლისის მთავრობა საფრანგეთისაგან დამოუკიდებელი მოქმედების უფლებას იტოვებს რეინის ოლქის დაცვის საკითხში

ჩინელი ხუნხუზების თავდასხმა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე.

რეინის ოლქის ევაკუაციის გარშემო

ჰენდერსონის განცხადება

ლონდონი, 12 ივლისი. საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰენდერსონმა პარლამენტში განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას საფრანგეთის მთავრობის წინაშე არ უკისრია არავითარი ვალდებულება იმის შესახებ, რომ არ მოახდინოს რეინის ოლქის ევაკუაცია დამოუკიდებლად, იმ დრომდე, სანამ საფრანგეთი თავის ჯარს არ გაიყვანს. ინგლისის მთავრობამ ამ საკითხში მოქმედების თავისუფლება შეინარჩუნა და იგი ჯარს რეინის ოლქიდან გაიყვანს მაშინ, როცა თვითონ დაინახავს საჭიროდ.

მუშათა პარტიის დეპუტატების შეკითხვაზე ჰენდერსონმა სთქვა, რომ ინგლისის სამხედრო დებულებანი ამოიწურება იმ ვალდებულებებით, რომლებიც ინგლისმა ლოკარნოს პაქტით იკისრა. (ადს).

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ორგანო ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 12 ივლისი. დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ორგანო „ნიუ ლიდერ“-ი ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ სწერს:

„საბჭოთა მთავრობასთან ნორმალური ურთიერთობის განახლების გადადებამ ეჭვი დაბადა იმის შესახებ, რომ ინგლისის მთავრობას სერიოზული განზრახვა ჰქონდეს რუსეთის მიმართ. თუ „ობსერვერი“-ს აზრითაც კი, კომინტერნის მოღვაწეობა საკმაო მიზეზი არ არის ურთიერთობის განახლების გადადებისათვის, ჩვენ არავითარ მერყეობას არ უნდა განვიცდიდეთ ამ საკითხში. ჰენდერსონი აცხადებს, დომინიონების მთავრობებს შევეკითხეთო. საერთო პოლიტიკა დომინიონებთან, რასაკვირველია, სასურველია, მაგრამ მიუღებელია, რომ ინგლისის გადაწყვეტილება დამოუკიდებელი იყოს დომინიონების მთავრობათა თვალსაზრისისაგან. მათ არ შეჰკითხებიან, როდესაც საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა შესწყდა და ეხლა **„საშუალება არ უნდა მიეცეთ, რომ უარყოფითი გავლენა მოახდინონ „მორიგების შესაძლებლობაზე“.** (ადს).

თავდასხმა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე

ხაბაროვსკი, 12 ივლისი. ხარბინიდან მიღებული ცნობებით, 10 ივლისს ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ყაჩაღურად დაესხნენ თავს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზას, ხელში ჩაიგდეს რკინის გზის ტელეგრაფი, აგრეთვე დაბეჭდეს მიზეზის დაუსახელებლად სავაჭრო წარმომადგენლობა, „გოსტორგის“, „ტექსტილსინდიკატის“ და „სოვტორგფლოტის“ განყოფილებანი. ამავე დროს დაპატიმრებულ იქნა დაახლოვებით 40 რუსი რკინის გზელი, მოსამსახურე. გზის დუბანმა ლუ ი-ჩუნმა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველს ემშანოვს მოსთხოვა, რომ გზის გამგებლობა გადაეცა დუბანის წარმომადგენლისათვის. ემშანოვმა არ შეასრულა უკანონო მოთხოვნა, რომელიც მუკდენის შეთანხმების უხეშ დარღვევას წარმოადგენს. ემშანოვი, აგრეთვე მისი თანაშემწე ეისმონტი გადააყენეს და მათ ნაცვლად ჩააყენეს დუბანის კაცები. წევისა და მოძრაობის დარგების უფროსები და სხვები შესცვალეს რუსი თეთრგვარდიელებით.

რკინის გზის მთელ ხაზზე სპობენ მუშათა პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს. **დაპატიმრებულია 200-ზე მეტი რუსი რკინის გზელი. აღმ.-ჩინეთის რკინის გზის მუშები და მოსამსახურეები აღშფოთებულნი არიან.**

ამავე დროს მიღებულია ცნობები, რომ საბჭოთა საზღვრის გასწრივ თავს უყრიან მანჯურიის ჯარს, რომელიც საბრძოლველად არის გამზადებული და ტყვით საზღვართან სდგას. მიღებული ცნობების თანახმად, მანჯურიის ჯარის გარდა, საბჭოთა კავშირის საზღვართან დგანან რუს თეთრგვარდიელთა რაზმები. მანჯურიის სარდლობა მათ გადაყვანას აპირებს საბჭოთა ტერიტორიაზე. (ადს).

ჩერვონცების ფალსიფიკატორ ქარუმიძის უტიფარი განცხადება *)

ბერლინი, 12 ივლისი. „ფოსიშე ცეიტუნგ“-ი თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავს ქართველი ემიგრანტების ლიდერის ქარუმიძის განცხადებას ყალბი ჩერვონცების ფაბრიკაციის პოლიტიკური სარჩულის შესახებ.

განცხადების შინაარსი ასეთია:

საერთაშორისო კაპიტალისტების ჯგუფმა, რომელმაც რევოლიუციის შემდეგ ნავთის სარეწაოები დაჰკარგა კავკასიაში, სურვილი განაცხადა, რომ ფული გაეღო საქართველოს „განსათავისუფლებლად“. 1925 წლის დამლევს პარიზში ამ ჯგუფის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას შეუძლია მოაგვაროს გერმანელთა თანამშრომლობა და საჭიროდ სცნო გერმანიის სხვადასხვა მემარჯვენე პოლიტიკურ მოღვაწეებთან, მათ შორის, ლიუდენდორფთან, შეხვედრა. ქარუმიძემ ეს წინადადება არ მიიღო. მაშინ ხსენებული ჯგუფის წარმომადგენელმა წინადადება შემოიტანა, რომ დახმარება ეთხოვოს ინგლისის კაპიტალის წარმომადგენლებს.

1926 წლის დამლევს მოხდა მეორე თათბირი ბერლინში. შემდეგ ქარუმიძე მოიწვიეს ლონდონში. მოწვევასთან ერთად ლონდონიდან მოითხოვდნენ, რომ მას გაჰყოლოდა რამდენიმე კაცი, რომლებსაც შეეძლოთ ეკისრათ საქმის ტეხნიკური მხარე. არჩევანი ხვდა გენერალ ჰოფმანს. მალე ჰოფმანის ბინაზე მოხდა ახალი თათბირი 30 კაცის მონაწილეობით. მათ შორის იყო რეიხსტაგის რამდენიმე წევრი. ჰოფმანმა წამოაყენა საქართველოს განთავისუფლების გეგმა.

ქარუმიძის წინადადებით, 1926 წლის მარტში თათბირი გაიმართა ჰააგაში. თათბირში მონაწილეობა მიიღეს ინგლისელთა, გერმანელთა და ქართველთა ჯგუფების ხელმძღვანელებმა, მათ შორის ჰოფმანმა, „როიალ დეტჩ“-ის მეთაურმა დეტერდინგმა და სხვებმა.

თათბირზე მიღწეულ იქნა შემდეგი შეთანხმება: საქართველო უნდა განთავისუფლდეს უცხო სახელმწიფოთა ზომიერი პოლიტიკური მოღვაწეების დახმარებით. შემდეგ შეთანხმებაში აღნიშნული იყო, თუ რა საბუთი აქვს გენერალ ჰოფმანს, რომ დახმარება ეძიოს რუსული წრეებში. ამის გამო თათბირმა დაადგინა—უარყოფილ იქნას ის წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ბოლშევიზმის ნაცვლად მონარქიული წყობილების დამყარებას მთელ რუსეთში, რადგან ქართველები მთლიანი მონარქიის მტრები არიან. ჰოფმანს დაეკისრა საქმის ტეხნიკურად მომზადება. ინგლისელთა ჯგუფის სახელით დეტერდინგმა მოითხოვა ორი თვის ვადა საქმის ასაწონ-დასაწონად. ოთხი კვირის შემდეგ ქართველთა ჯგუფმა ბერლინში ცნობა მიიღო, რომ ყველაფერი საუკეთესოდ არის მოწესრიგებული.

შემდეგ ქარუმიძე მოგვითხრობს ჰოფმანის ცდას, რომ საქმეში ჩაება ვრანგელი, მაგრამ ვრანგელთან შეთანხმება ვერ მოხერხდა ოპერატიული გეგმების ნიადაგზე უთანხმოების დაბადების გამო. მალე ჰოფმანი ქართველ კედიასთან ერთად და გერმანელთა ჯგუფის ოთხ წარმომადგენელთან ერთად ლონდონში მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლისის ხელმძღვანელ პოლიტიკურ მოღვაწეებთან (ჰოფმანის ქვრივი ასახელებდა ლოკერ ლემპსონს). ჰოფმანს დაჰპირდნენ, რომ ინგლისი ერთა ლიგაში მოითხოვს დამოუკიდებელ საქართველოს აღიარებას. შემდეგ ამას მოჰყვა ახალი მოლაპარაკებანი დეტერდინგთან, რომელმაც სამი მოთხოვნილება წამოაყენა: 1) ჰოფმანის გეგმის ტეხნიკური მხარის მოწონების უფლება სამხედრო თვალსაზრისით, 2) ფინანსიური საკითხის ისეთი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც საქართველოს განთავისუფლებაზე არ უნდა დაიხარჯოს იმაზე მეტი ფული, რამდენიც ნავთის მრეწველებმა დაჰკარგეს საბჭოთა წყობილების არსებობის გამო ბაქოში, და 3) მოლაპარაკება „სტანდარტ ოილ“-ის თავმჯდომარესთან, რათ მოხერხდეს საერთო მოქმედება ამერიკელ ნავთის მრეწველებთან ერთად. ამ მიზნით დეტერდინგი ამერიკაში წავიდა.

ამის შემდეგ ქართველები ცოტა ცნობებს იღებდნენ ლონდონიდან. უეჭველია, იქ სულიერი განწყობილება შეიცვალა.

დეტერდინგი შეეკითხა ჰოფმანს, შესაძლებელია თუ არა ერთსა და იმავე დროს ბოლშევიკური რეჟიმის არსებობა დანარჩენ საბჭოთა კავშირში და განთავისუფლებული ავტონომიური კავკასიის არსებობა? ამის საპასუხოდ ჰოფმანმა წარადგინა წერილობითი მემორანდუმი, რომელშიაც განაცხადა, რომ საქართველოს განთავისუფლება საკმარისად არ მიაჩნია, საჭიროა გადაწყვეტილი ლახვარი ჩაეცეს მოსკოვს. ამ განცხადებამ ლონდონში უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა. იქ ეს პერსპექტივები უიმედო საქმედ მიაჩნდათ.

1926 წლის 14 ივლისს მოხდა ახალი თათბირი, რომელსაც დაესწრნენ დეტერდინგის წარმომადგენელი და ჰოფმანის რწმუნებული გერმანელი ოფიცერი. ამის შედეგად ჰოფმანმა შეიტყო, რომ ინგლისის მხრით, უკეთეს შემთხვევაში, მოსალოდნელია მხოლოდ მეტად მცირე დახმარება. აღშფოთებულმა ჰოფმანმა განაცხადა, რომ იგი უინგლისოდაც გააკეთებს საქმეს, თუ საფინანსო საკითხი მოწესრიგდება.

შემდეგ ქარუმიძე აცხადებს, რომ მას ან უბრძოლველად ხელი უნდა აეღო რამდენიმე წლის მეცადინეობის ნაყოფზე, ან ხელი უნდა მოეკიდა სასოწარკვეთილებით ნაკარნახევ უკანასკნელ საშუალებისათვის.

ქარუმიძე აცხადებს, რომ ის სრულ პასუხისმგებლობას კისრულობს ყალბი ჩერვონცების ფაბრიფიკაციის ორგანიზაციისა და განხორციელებისათვის. ყალბი ჩერვონცების იდეა კარგა ხანია საკმაოდ პოპულიარული იყო ანტიბოლშევიკურ წრეებში. სადათიერაშვილი მხოლოდ თანაშემწე იყო ქარუმიძისა, იგი ქართველთა ინტერესებს იცავდა ვენაში. ქარუმიძემ მას დაავალა—გამოეყენებინა თავისი ნაცნობობა ბავარიაში ყალბი ჩერვონცების ფაბრიკაციის მოსაწყობად (ადს).

კომინტერნის აღმასკომის მიმართვა

მოსკოვი, 13 ივლისი. კომინტერნის აღმასკომმა მექსიკის და მთელი მსოფლიოს მუშებსა და გლეხებს მიმართა მოწოდებით ფაშისტური რეაქციის შესახებ მექსიკაში. წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს და ინტელიგენციას, „ლიბერალურ“ მემამულეებს და ახალგაზრდა ეროვნული ბურჟუაზიის ზოგიერთ ფენებს შეეშინდათ მუშურ-გლეხური მოძრაობის გაფართოვებისა და, ჩრდილო-ამერიკის იმპერიალიზმის ზეგავლენით, უღალატეს მექსიკის ეროვნული დამოუკიდებლობის საქმეს. თანმიმდევრობით და ენერგიულად ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეუძლია მხოლოდ ერთად-ერთ ძალას მექსიკის კომპარტიას. კომინტერნის აღმასკომი მოუწოდებს მუშებს—დაირაზმონ კომპარტიის ირგვლივ. კომპარტიის ხელმძღვანელობით მექსიკის გლეხები მზად უნდა იყვნენ უდიდესი ბრძოლებისათვის, რათა გამოჰგლიჯონ ხელიდან მიწა მემამულეებს და აღადგინონ მექსიკის ეროვნული დამოუკიდებლობა. (ადს).

საფრანგეთის სამხედრო ვალები

რატომ არ მოახდინა დღემდე საფრანგეთმა შეთანხმების რატიფიკაცია

პარიზი, 1 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„განაგრძო რა დეპუტატთა პალატაში თავისი სიტყვა რატიფიკაციის შესახებ, პუანკარემ სთქვა რომ: **„საფრან. ყველა მთავრობები ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ მელონ-ბერანჟეს შეთანხმება, მაგრამ ყოველთვის უარს ღებულობდენ ამერიკისაგან„.** აი რისთვის არ მოახდინა დღემდე საფრანგეთმა რატიფიკაცია იმ შეთანხმების, რომლის შემსუბუქება ამერიკელ ექსპერტებს სურდათ იუნგის გეგმის შემოღების საშუალებით. პუანკარეს საჭიროთ მიაჩნია რატიფიკაციის აქტში შეტანილ იქნას შენიშვნა, რომლის მიხედვითაც საფრანგეთის გადასახადში ამერიკისადმი ავტომატიურად უნდა შესწყდნენ მაშინვე, როგორც კი გერმანია საფრანგეთს შეუწყვეტს გადასახადების მიცემას. ამერიკის და ინგლისის მთავრობები თანხმდებიან რატიფიკაციის სხვადასხვანაირ ფორმებში გამოთქმას, მაგრამ უარს ამბობენ ტექსტში შენიშვნის შეტანაზე.

პუანკარე ამტკიცებს, რომ საჭიროა საწრაფოდ იქნას მიღებული რატიფიკაციის ისეთი ფორმა, რომელიც მისაღები იქნება ვალის მიმცემ სახელმწიფოთათვის, მთავრობა აცხადებს, რომ კენჭის ყრაში მონაწილეობით მთავრობა ღებულობს თავის თავზე პასუხისმგებლობის ნაწილს. (ადს).

ბრიანის გეგმა „ევროპის ფედერაციის“ შესახებ

ლონდონი, 12 ივლისი. გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდეს პარიზიდან მიღებული დეპეშები ბრიანის გეგმების შესახებ. გეგმები შეეხება „ევროპის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ფედერაციას!!

ლიბერალური „მანჩესტერ გარდიან“-ი სწერს, რომ ბრიანის გეგმები არ მოსწონთ ლონდონის დიპლომატიურ წრეებშიო. (ადს).

სამხრეთ-სლავიის მთავრობის მოთხოვნა

ვენა, 12 ივლისი. სამხრეთ-სლავიის მთავრობა ბულგარეთის მთავრობისაგან კვლავ მოითხოვს სანაპირო ზონის შექმნას, ემიგრანტების განდევნას ამ ზონიდან, საზღვარზე გადასვლის ნების დართვას მხოლოდ ამისათვის დაწესებულ პუნქტებში და სხვა. კონფლიქტები საზღვარზე გრძელდება. ამას წინედ ძლიერი სროლა მოხდა ბულგარეთის და სამხრეთ-სლავიის ჯარისკაცებს შორის. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის ნოტა უნგრეთს

ვენა, 12 ივლისი. ჩეხო-სლოვაკიის ელჩმა ბუდაპეშტში უნგრეთის მთავრობას გადასცა ნოტა იმის გამო, რომ უნგრეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა საზღვარზე გაიტაცეს ჩეხო-სლოვაკიელი რკინისგზელები.

ბუდაპეშტის გაზეთები მოუწოდებენ მთავრობას, რომ არ წავიდეს არავითარ დათმობაზე. (ადს).

მემაღაროეთა სამუშაო დღის საკითხი

ლონდონი, 12 ივლისი. მოხდა თათბირი სამთა-მადნო მრეწველობის მინისტრს ბენ ტერნერსა და მუშათა პარტიის დეპუტატს (სრ. ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციიდან) შორის. თათბირი შეეხებოდა ბოლდუინის მთავრობის მიერ გამოცემული იმ კანონის გაუქმებას, რომელიც 8 საათის სამუშაო დღეს აწესებს მემაღაროეთათვის.

როგორც იუწყებიან, მთავრობა უარს აცხადებს, „შეიმუშაოს ამ კანონის შესწორებათა პროექტი“ იმ დრომდე, სანამ არ მოხდება სრ. ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის ყრილობა. ეს ყრილობა მოწვეული იქნება ივლისის დამლევს. (ადს).

(დეპეშების გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

პრეობრაჟენსკის, რადეკის, სმილგას და სხვების განცხადება

მოსკოვი, 13 ივლისი. პრეობრაჟენსკიმ, რადეკმა და სმილგამ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიას მიმართეს შემდეგი შინაარსის განცხადებით:

„ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, ამით ვაცხადებთ, რომ ვეთანხმებით პარტიის გენერალურ პოლიტიკურ ხაზს და კავშირს ვსწყვეტთ ოპოზიციასთან (ე. ი. იმ მიმდინარეობასთან, რომელიც ტროცკის პოლიტიკური ხაზის საფუძველზე ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა, ეგრედწოდებულ „ბოლშევიკ-ლენინელთა სრულიად საკავშირო ცენტრი“-ს ირგვლივ).

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, რომელიც გამოხატულია ხუთწლიანი გეგმის კონკრეტულ ციფრებში, მიგვაჩნია სოციალისტური მშენებლობის და პროლეტარიატის კლასობრივი პოზიციების განმტკიცების პროგრამად. ხუთწლიანი გეგმის განხორციელება სწყვეტს რევოლიუციის ძირითად ამოცანებს მიმდინარე ხანაში და ამიტომ ჩვენს ბოლშევიკურ მოვალეობად მიგვაჩნია აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ბრძოლაში ამ პროგრამის განხორციელებისათვის.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ბრძოლას კულაკთან (აგრარული კაპიტალიზმი), რომელსაც ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მედგარი იერიშები მოაქვს პროლეტარული დიქტატურის ეკონომიურ პოზიციებზე.

ჩვენ მივესალმებით საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების, სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ამ ბერკეტების, ფართო მშენებლობის პოლიტიკას.

ჩვენ ვიწონებთ პარტიის მიერ ღარიბი გლეხობის დამოუკიდებელი ორგანიზაციისათვის გადადგმულ ყველა ნაბიჯს, ვინაიდან მხოლოდ ღარიბ გლეხობაზე მკვიდრად დაყრდნობით და საშუალო გლეხობასთან კავშირით პროლეტარიატს შეუძლია განახორციელოს სოციალისტური მშენებლობისა და კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლის პოლიტიკა. მხოლოდ საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების მშენებლობა ჰქმნის მატერიალურ ბაზისს ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეების პოლიტიკური ორგანიზაციისათვის, რასაც თავის მხრივ ერთად-ერთს ძალუძს უზრუნველჰყოს საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების წარმატებითი მშენებლობა. პერსპექტივაში ეს იძლევა სოციალისტური მრეწველობისათვის სასურსათო და სანედლეულო პრობლემის მკვიდრად გადაჭრის გარანტიას და ჰქმნის ახალ საფუძველს პროლეტარიატის დაკავშირებისათვის სოფლის უმრავლესობასთან.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ბრძოლას ბიუროკრატიზმთან სახელმწიფოს და პარტიის აპარატებში.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ ბრძოლის ენერგიულად გაშლა მშრომელი მასების მობილიზაციისა და ინიციატივის საფუძველზე მოგვცემს საშუალებას შესრულებულ იქნას ის ამოცანა, რომელსაც დაბეჯითებით სვამდა ჩვენს წინაშე ლენინი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ბრძოლას მემარჯვენეებთან, რომელნიც ობიექტიურად გამოხატავენ ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტებისა და წვრილი ბურჟუაზიის უკმაყოფილებას სოციალისტური შეტევის იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც პარტია ატარებს.

ჩვენ მხარს ვუჭერთ კომინტერნის პოლიტიკას, კომინტერნის, რომელიც შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს სოციალ-დემოკრატიასთან. ამასთან ერთად ჩვენ სწორად მიგვაჩნია გადამჭრელი ბრძოლა პროფმოძრაობაში არსებულ რეფორმიზმთან, რომელიც სთიშავს პროლეტარიატს, დარაზმულს და დაურაზმავს. ჩვენ სწორად მიგვაჩნია შებრუნება ახალი ტაქტიკისაკენ დასავლეთ ევროპის პროფკავშირთა მოძრაობაში და მისწრაფება იმისაკენ, რომ დამოუკიდებელი ხელმძღვანელობა გაეწიოს პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლას, იმ პროლეტარიატის, რომელსაც ჰყიდის პროფკავშირთა ბიუროკრატია ტრესტებში გაერთიანებული კაპიტალის ინტერესების სასარგებლოდ.

პარტიასა და კომინტერნის მეექვსე კონგრესთან ერთად ჩვენ მიგვაჩნია, რომ ძირითად საშიშროებას კომუნისტურ მოძრაობაში წარმოადგენს მემარჯვენე საფრთხე, რომლის დაძლევასაც მთავარი ძალღონე უნდა მოახმარონ ყველა ქვეყნის კომუნისტებმა.

ჩვენ ვსწყვეტთ იდეურ და ორგანიზაციულ კავშირს ტროცკისა და მის თანამოაზრეებთან („ბოლშევიკ-ლენინელთა სრულიად საკავშირო ცენტრი“). ჩვენ მას არ ვეთანხმებით შემდეგ ძირითად საკითხებში, რომელნიც განსაზღვრავენ ტროცკის ჯგუფის პოლიტიკურ მოქმედების მთელ ხაზს.

კომუნიზმის იდეურ საფუძვლად ჩვენ მიგვაჩნია ლენინიზმი. ტროცკის პერმანენტული რევოლიუციის თეორიასთან არაფერი საერთო არა გვაქვს. რუსეთის და ჩინეთის რევოლიუციის განვითარებამ სავსებით თვალსაჩინოდ დაამტკიცა, რომ ეს თეორია უვარგისი და არასწორია. ამ თეორიის დაცვა წარმოადგენს მხოლოდ ლენინიზმის რევიზიას. მისი პრაქტიკული გამოყენება გამოიწვევდა პროლეტარიატის იზოლიაციას მისი კლასობრივი მოკავშირეებისაგან და მის დამარცხებას.

ჩვენ გადაჭრით უკუვაგდებთ საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიული ხელმძღვანელობის კლასობრივი ბუნების იმ შეფასებას, რომელსაც იძლევიან ტროცკი და მისი თანამოაზრენი.

ტროცკი და მისი თანამოაზრენი საბჭოთა მთავრობას სთვლიან რეაქციონური მუშების ბლოკად სოფლის წვრილ ბურჟუაზიასთან (იხილე „დოკუმენტი“, რომელსაც ხელს აწერს „სრულიად საკავშირო ცენტრი“ 21 აპრილის თარიღით). ჩვენ კი, საბჭოთა აპარატის მთელ ბიუროკრატიულ დამახინჯებათა და გადაგვარების ელემენტების მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლება მიგვაჩნია პროლეტარიატის დიქტატურად.

სრული შეფარდებით თავის არასწორ შეხედულებებთან ლენინიზმზე და საბჭოთა ხელისუფლების ბუნებაზე ტროცკი ანვითარებს თავის ტაქტიკურსა და ორგანიზაციულ პოლიტიკას.

ფარული კენჭის ყრის ლოზუნგი პროლეტარული დიქტატურის პოზიციების განმტკიცებას კი არ ემსახურება, არამედ კარს უღებს ტერმიდორიანულ ძალებს.

მოთხოვნა პარტიის შიგნით ფრაქციის ლეგალიზაციისა და კრიტიკის განყენებული თავისუფლების შესახებ, რომელსაც აყენებს ტროცკი, არ არის ბოლშევიკური მოთხოვნა. ბოლშევიკები უნდა მოითხოვდნენ შინაპარტიულ დემოკრატიას, როგორც იმის გარანტიას, რომ პროლეტარიატმა მონაწილეობა მიიღოს რევოლიუციის ყველა ძირითადი საკითხის გადაჭრაში. მაგრამ მათ არ შეუძლიათ მოითხოვონ, რომ წვრილ-ბურჟუაზიულმა ტენდენციებმა თავისუფალი გავლენა იქონიონ პროლეტარიატზე.

მაშინ, როდესაც ჩვენი უთანხმოება პარტიასთან შემცირდა, პარტიისაკენ მობრუნება და მის რიგებში დაბრუნება აბსოლიუტურ აუცილებლობად იქცეოდა, ტროცკი და მისი თანამოაზრენი, კლასობრივ ძალთა განწყობილების არასწორი შეფასებისა და ლენინიზმის მთელ რიგ ძირითად დებულებათა უარყოფის მეოხებით, თანდათან უფრო შორდებოდნენ პარტიას.

მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ტროცკის მიერ ბურჟუაზიულ პრესაში წერილების მოთავსება, რასაც ჩვენ მკაცრად ვგმობთ, აგრეთვე ვგმობთ „ბოლშევიკ-ლენინელთა სრულიად საკავშირო ცენტრის“ შექმნას, რაც წარმოადგენს ერთ ნაბიჯს კიდევ ახალი პარტიის შექმნისაკენ.

ამ ჯგუფს არ ძალუძს დაუპირისპიროს პარტიის გენერალურ ხაზსა და ხუთწლიანი გეგმის პროგრამას თავისი საკუთარი დადებითი სამოქმედო პროგრამა მუშათა კლასისათვის, იგი მთელ თავის ყურადღებას აქცევს პარტიის პოლიტიკის კრიტიკას და ამიტომ აუცილებლად განწირულია—გადაიქცეს იმ უორიენტაციო და უკმაყოფილო ადამიანების ორგანიზაციად, რომლებსაც არ მოეპოვებათ არავითარი სერიოზული დასაყრდენი პროლეტარიატის შეგნებულ მასაში და რომელნიც ეწევიან მხოლოდ იმ შეუფარდებლობის ექსპლოატაციას, რომელიც აუცილებლად არსებობს მუშათა კლასის მოთხოვნილებებსა და ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობებს შორის სოციალისტური მშენებლობის იმ კრიზისულ პერიოდში, რასაც ამჟამად განვიცდით.

პარტიამ დასახა გენერალური ხაზი თავის პოლიტიკაში, რომელიც წარმოადგენს პროლეტარული რევოლიუციის წინსვლას საბჭოთა კავშირში. პარტია ანხორციელებს ამ ხაზს მძიმე კლასობრივ ბრძოლებში, რომელთა სიმწვავე თანდათან გაძლიერდება.

ბიუროკრატი მთელი ძალღონით გაუწევს წინააღმდეგობას მეურნეობასა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მასების მონაწილეობის ზრდას. კულაკი და ნეპმანი შეეცდებიან ჩაშალონ კრიზისიდან სოციალისტურ გზაზე გამოსვლის მთელი გეგმა.

მუშათა მასების მობილიზაცია იქცევა გადამწყვეტ პირობად ხუთ წლიანი გეგმის და პარტიის მთელი პოლიტიკის გატარებისათვის. ხოლო მასების დარაზმვა კულაკთან, ნეპმანთან და ბიუროკრატთან საბრძოლველად შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ გავაუმჯობესებთ მათ მდგომარეობას, თუ საქმით დავუმტკიცებთ მათ, რომ პარტიული ხაზის გატარება მოასწავებს მათი კეთილდღეობის ზრდას. ბრძოლა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის თვით მუშათა მასებისაგან მოითხოვს შრომის ნაყოფიერებისა და შრომის დისციპლინის აწევას, ხოლო პარტიისა და პროფკავშირებისაგან—ყურადღებას მასების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო ინტერესებისადმი და იმ ბიუროკრატიული უმოძრაობის დაძლევას, რომელიც ხშირად შლის პარტიის პოლიტიკას. ყოველი კომუნისტის მოვალეობაა, თავისი ძალ-ღონის მიხედვით, მონაწილეობა მიიღოს პარტიის ამ გამძაფრებულ ბრძოლაში გენერალური ხაზის გატარებისათვის, სწორედ ამ ამოცანის განსახორციელებლად ჩვენ გვსურს დავბრუნდეთ პარტიაში, ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ მასთან ერთად.

ვუკეთებთ რა ჯამს ჩვენს უთანხმოებას პარტიის უმრავლესობასთან რამდენიმე წლის განმავლობაში, ჩვენ უნდა განვაცხადოთ შემდეგი:

უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომელიც ჩვენ გამოგვყავდა პარტიის ც. კ.-ის პოლიტიკიდან, მდგომარეობდა იმაში, ვითომ ამ პოლიტიკას განსაზღვრულ სტადიაში აუცილებლად მივყავართ გადახვევამდე პროლეტარიატის დიქტატურიდან და ლენინური გზიდან ხელისუფლებისა და მისი პოლიტიკის ტერმიდორიანულ გადაგვარებისაკენ და ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა უბრძოლველად დათმობისაკენ. უმთავრესი ბრალდება, რომელსაც ჩვენ ვუყენებდით პარტიის ხელმძღვანელობას, მდგომარეობდა იმაში, ვითომ ეს ხელმძღვანელობა, თუმცა თავისი სურვილის წინააღმდეგ, ხელს უწყობს ასეთ გადახვევას, არ ებრძვის გადაგვარების ელემენტებს და მის მემარჯვენე ელემენტებს და ეკონომიური კრიზისის უმწვავეს მომენტში შეეცდება გამოსავლის გამონახვას მემარჯვენე პოლიტიკის გზებში და კულაკის მიმართ დათმობის გზებში, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის უარყოფაში და კაპიტულიაციაში მსოფლიო კაპიტალიზმის წინაშე.

ეს ჩვენი პოზიცია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტიკის მიმართ შემცდარი იყო, ამიტომ შემცდარი იყო განსაკუთრებული ფრაქციული ორგანიზაციის შექმნა და მისი ისეთი მწვავე საქმიანობა, რომელიც გაუგონარია პარტიის ისტორიაში (საიდუმლო სტამბები, 7 ნოემბერი და სხვ.).

ფრაქციული ბრძოლის ლოღიკამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენ ვაზვიადებდით ჩვენს უთანხმოებებს ცენტრალურ კომიტეტთან, რომელნიც წარმოიშვენ აღდგენის პერიოდიდან რეკონსტრუქციის პერიოდში გადასვლის დროს. ინდუსტრიალიზაციის ტემპის, კულაკთან ბრძოლის, კომინტერნის და სხვა საკითხების ირგვლივ, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, მხედველობიდან გავუშვით ის, რომ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა იყო და რჩება ლენინური. ამიტომ მართალი იყო პარტიის მე-15 ყრილობა, რომელმაც დაჰგმო ასეთი გეზისათვის ჩვენი პლატფორმა.

გამოვდივართ რა ზემოთქმულიდან, ვხსნით ჩვენს ხელმოწერას ფრაქციული დოკუმენტებიდან, ვაცხადებთ, რომ სავსებით ვეთანხმებით პარტიის ცენტრალურ ხაზს და გთხოვთ დაგვაბრუნოთ მის რიგებში.

მოვუწოდებთ ჩვენს თანამოაზრეთ ოპოზიციიდან—მიჰბაძონ ჩვენს მაგალითს. მათ უნდა შეიგნონ, რომ კიდევ დარჩენილი უთანხმოებანი ვერ ამართლებენ მათი, როგორც ოპოზიციის განკერძოებულ ორგანიზაციულ არსებობას და მით უფრო ვერ ამართლებენ მათ ბრძოლას პარტიასთან.

მხოლოდ პარტიასთან ერთად ლენინური პოლიტიკის საფუძველზე შეგვიძლია ჩვენ წარმატებით ვიბრძოლოთ მსოფლიო რევოლიუციისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

პრეობრაჟენსკი, რადეკი, სმილგა“.

პრეობრაჟენსკის, რადეკის და სმილგას განცხადებას უერთდებიან. მუშები — ივაშკინი, კოჩეტოვი, ბულანოვი, გირჩისი, პეტროვი, არსენოვიჩი, ერშოვი, ჟუხოვიცკი, კაპლინსკი და ვრაჩევი.

ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ამ უკანასკნელ დღეებში მიიღო დეპეშები ოპოზიციონერ ტროცკისტებისა და საპრონოვის მიმდევრებისაგან ოპოზიციიდან ჩამოშორების შესახებ. ერთ დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერენ ტროცკისტები და დეცისტები (საპრონოვის მიმდევრები), ოპოზიციონერები აცხადებენ:

„ჩვენ ვიზიარებთ პარტიის გენერალურ ხაზს და საჭიროდ მიგვაჩნია დავბრუნდეთ პარტიის რიგებში იმ მიზნით, რათა მონაწილეობა მივიღოთ ამ ხაზის გატარებასა და გაშლა-განვითარებაში, სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა დაძლევაში, ბრძოლაში მემარჯვენე საფრთხესთან, პროლეტარული დიქტატურის სოციალისტური პოზიციების განმტკიცებისა და გაფართოვებისათვის. ამით ვაცხადებთ, რომ ყოველი პირობისა და შენიშვნის გარეშე ხელს ვიღებთ ყოველგვარ ფრაქციულ ბრძოლაზე“.

დეპეშას ხელს აწერენ: ბიგოსი, ოზოლინი, ჟუკოვსკი, ბარსუჩენკო, ბოგდანოვი, გლობუსი, გლანი, გუზიკოვი, პეკელნი, ჩესნოკოვი, გინდინი, დეიანი, მაქსიმოვიჩი, პომორცევი, ეპიხინი, ნეიმშევი, ნოსოვი, ბრონშტეინ-ზაველგელსკი, გაევსკი, დრეიცერი, რაბინოვიჩი, მარენკო, მუსინიოხელი, კონოვალოვი, რუდერმანი, ბიბიკი, შილოვი, ვალენტინოვი, შტრობელი, ისაელი და პოლიაკოვი.

მეორე დეპეშა, რომელსაც ხელს აწერენ აღნიშნული პირები და აგრეთვე ივანოვი და სტაროჟილოვი, მიღებულია 10 ივლისს. ამ დეპეშაში ოპოზიციონერები აცხადებენ:

„ჩვენი ყოფილი უთანხმოებანი პარტიასთან, რომელნიც წარმოიშვენ აღდგენის პერიოდიდან რეკონსტრუქციის პერიოდში გადასვლის სიძნელეთა ნიადაგზე, მიგვაჩნია აღმოფხვრილად, პარტიის პოლიტიკას ვსცნობთ ლენინურ პოლიტიკად და ჩვენ მიერ 8 ივლისს გამოგზავნილი დეპეშის დასამატებლად ვაცხადებთ, რომ ვეთანხმებით რადეკის, სმილგას და პრეობრაჟენსკის განცხადების ძირითად დებულებებს. ვაცხადებთ, რომ გადაჭრით ვსწყვეტთ კავშირს ოპოზიციასთან, რომელიც ადგება უაღრესად შემცდარ და არა ლენინურ ხაზს, ყოველი შენიშვნის გარეშე ვემორჩილებით პარტიის გადაწყვეტილებებს, ვკისრულობთ ვალდებულებას განუხრელად გავატაროთ ისინი ცხოვრებაში და ვთხოვთ ცენტრალურ საკონტროლო კომისიას დაგვაბრუნოს პარტიის რიგებში“.

დეცისტებმაც: ბიბიკმა, ისაევმა, შტრობელმა, ვალენტინოვმა, პოლიაკოვმა ხელი მოაწერეს ამ დეპეშას და დასძინეს:

„ვუერთდებით ამ დეპეშას და ვაცხადებთ, რომ კავშირს ვსწყვეტთ ჯგუფთან და უარვყოფთ მტკიცებას პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გადაგვარების შესახებ“.

რედაქციის შენიშვნა: დრეიცერის შესახებ (ისე, როგორც ბევრი სხვის შესახებაც) ტროცკისტები თავის დროზე ავრცელებდნენ ხმებს, რომ იგი მოკვდა, თავი მოიკლა და სხვ. ტროცკისტების ფრანგულ ორგანოს „კონტრ ლე კურან“-ის ერთ-ერთ ნომერში ნეკროლოგიც კი დაიბეჭდა — „დრეიცერის ხსოვნას“. ტროცკისტები ასაფლავებენ ცოცხალ დრეიცერებს და სცდილობენ ისეთი მკვდრების გაცოცხლებას, როგორიც არის სუვარინი.

---

*) ვათავსებთ ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტის გუშინდელ ცნობას უფრო ვრცლად ა-კ. დეპეშათა სააგენტოს გადმოცემით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრამვაელების გაფიცვა

ნიუ-იორკი, 12 ივლისი. ახალ ორლეანში გრძელდება ტრამვაელების გაფიცვა. ტრამვაის მოძრაობა მეათე დღეა შეჩერებულია. პროფკავშირის ხელმძღვანელებმა ტრამვაის დირექციას მიმართეს შემდეგი წინადადებით: მუშები განაახლებენ მუშაობას და უარს განაცხადებენ მოთხოვნილებებზე, თუ დამქირავებლები სცნობენ პროფკავშირს. კამპანიამ უარყო წინადადება და დაემუქრა კავშირს სრული განადგურებით.

კავშირებმა მოიწვიეს მასიური მიტინგები, რომ გადასწყვიტონ საკითხი საერთო გაფიცვის შესახებ, მაგრამ ამერიკის შრომის ფედერაციამ მოახერხა მიტინგების გადადება. რესპუბლიკანურმა სასამართლომ, რომელიც აშკარაა, ნიუ-იორკის იმ ბანკების ზეგავლენით მოქმედებს, რომლებიც ტრამვაის კამპანიას ფინანსიურ დახმარებას უწევენ, გამოსცა განკარგულება, რომლითაც მუშებს ეკრძალება ტრამვაის მოძრაობისათვის ხელის შეშლა.

ამერიკის შრომის ფედერაციის ბიუროკრატებმა წინადადება მისცეს მუშებს დაემორჩილონ განკარგულებას. სასამართლოს დადგენილება ძალიან აძლიერებს მრეწველთა პოზიციას, რადგან დღემდე ბევრი ადგილობრივი პოლიციელი აცხადებდა უარს გაფიცულთა წინააღმდეგ გამოსვლაზე, ხოლო პოლიციის რეზერვები არ ასრულებდნენ ბრძანებას მობილიზაციის შესახებ; საერთო რესპუბლიკანური სასამართლოს ჩარევამ გამოიწვია აგრეთვე სპეციალური ფედერალური პოლიციის ჩარევა. შესაძლოა საზღვაო ქვეითი ნაწილების ჩარევაც.

უკანასკნელ დღეებში რამდენიმე პირი დააპატიმრეს. (ადს).

ორლოვსა და პავლონოვსკის აძევებენ პრუსიიდან?

ბერლინი, 12 ივლისი. ორლოვი და პავლონოვსკი პროცესის დამთავრების შემდეგ არ გაანთავისუფლეს, ისინი გაგზავნეს პოლიტიკურ პოლიციაში, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს პრუსიიდან მათი გაძევების საკითხი. დამცველებმა განასაჩივრეს განაჩენი და ამით გაძევების საკითხი ჯერ-ჯერობით გადადებულია. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი იუწყება, რომ პროკურატურასაც განზრახული აქვს განაჩენის განსაჩივრებაო.

გერმანიის პრესა აღნიშნავს სასჯელის ლმობიერებას. სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტს"-იც კი იძულებულია აღნიშნოს, რომ პროცესი არსებითად არაფრით დამთავრდა. „ფორვერტს"-ი აღნიშნავს, რომ ბრალმდებელთა წინადადება უფრო მეტად იწვევდა გაკვირვებას, ვიდრე გასაოცარი განაჩენი. (ადს).

დამცველების პროტესტი

ბერლინი, 12 ივლისი. დამცველებმა პროტესტი განაცხადეს ორლოვისა და პავლონოვსკის გაძევების წინააღმდეგ. ორლოვი საბუთად ასახელებს იმას, რომ მას სამი სახლი აქვს, ერთი ერთი ლანდაუში (გერმანია) და ორი ბერლინში. ამიტომ სურვილს გამოსთქვამს დარჩეს გერმანიაში და შესწყვიტოს თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა, რომელსაც ის მისდევდა სხვადასხვა დაწესებულებაში სამსახურის დროს (ადს).

„ველტ ამ აბენდ"-ი პროცესის შესახებ

ბერლინი, 12 ივლისი. „ველტ ამ აბენდ"-ი 10 ივლისის ნომერში ეხება ორლოვის პროცესს და სწერს:

„მთელი შეთქმულება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მიმართული ყალბი საბუთების ფაბრიკაციის გარშემო მიფუჩეჩებულია. პროცესს არა ჩვეულებრივი აჩქარებით და, შეძლებისამებრ, ფარულად ამთავრებენ, მაგრამ მთავრობა და იუსტიცია ამით თავიანთ თავს ასამართლებენ". (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რემნანტის განცხადება საბჭოთა კავშირის შესახებ

მოსკოვი, 13 ივლისი. „იზვესტია" ათავსებს ინგლისის მრეწველთა დელეგაციის თავმჯდომარის რემნანტის განცხადებას ინგლის-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის პერსპექტივების შესახებ. რემნანტი ამბობს:

„რუსეთმა უთუოდ უნდა დაიკავოს პირველი ადგილი იმ ბაზრებს შორის, რომლებისთვისაც ჩვენ ვიბრძვით. ერთად-ერთი დაბრკოლება ამ მხრივ არის საქმის ფინანსიური მხარის მოუწესრიგებლობა. რაც შეეხება რუსეთში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს, **როგორც სჩანს, არსებული წესწყობილება იქ საფუძვლიანად არის განმტკიცებული. ეხლანდელი მთავრობა იარსებებს რუსეთში ევროპის ყველა სახელმწიფოთა მთავრობებზე უფრო ხანგრძლივად.**

თუ შევეხებით ვალების საკითხს, საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს აშკარა პარადოქსს: ერთი მხრივ, უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ რუსეთს დაერღვიოს თავისი ვალდებულებანი, მეორე მხრივ, ჩვენ იმის მოწმე ვართ, რომ ბოლშევიკები არ სცნობენ რუსეთის ომის წინა დროის ვალებს.

მიუხედავად ამისა, მე მზად ვარ განვაგრძო საქმე ამ მოვალეებთან. საჭიროა ანგარიში გაეწიოს მთელ რიგ გარემოებებს".

შემდეგ რემნანტი ეხება საბჭოთა კავშირის საწარმოო საშუალებათა განვითარებას და სწერს, რომ **საბჭოთა სახალხო მეურნეობის წინსვლამ უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა ინგლისის მრეწველთა დელეგაციაზე.** საბჭოთა კავშირის აღმშენებლობის ეხლანდელი ტემპს თავის სიჩქარით სრულიადაც ვერ შეედრება ძველი რუსეთის აღმშენებლობა. საეჭვოა, რომ საბჭოთა კავშირმა შესძლოს მთელ რიგ პრობლემების გადაწყვეტა უცხოელების მრეწველებისა და ფინანსიურ ორგანოების დახმარების გარეშე. იმედი მაქვს, რომ ამ დახმარებას გაუწევს რუსეთს ბრიტანეთი.

ამის შემდეგ რემნანტი ახასიათებს ინგლისის მრეწველობის მდგომარეობას და განმეორებით აღნიშნავს საბჭოთა ბაზრების მნიშვნელობას ბრიტანეთის მრეწველობისათვის. რუსეთის ესაჭიროება გრძელვადიანი სესხი. სესხის მიღებაში მას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ინგლისის კრედიტორებს უარს ეუბნებიან ძველი ვალების განაღდებაზე. მაგრამ ეს საკითხიც გადაწყდებოდა, რომ ინგლისსა და რუსეთს შორის ადგილი არ ჰქონდეს პოლიტიკურ გაუგებრობებს, რაც შეეხება ბოლშევიკურ პროპაგანდას, უნდა განვაცხადო, საბჭოთა ელჩმა პარიზში და თვით ლიტვინოვმა მე დამარწმუნეს, რომ ბრიტანეთის მთავრობა არავითარ წინააღმდეგობას არ წააწყდება ამ საკითხის მოგვარებაში.

რემნანტი აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობა და მესამე ინტერნაციონალი ერთი და იგივე ორგანო არ არის, რომ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა რუსეთთან აუცილებელია ინგლის-რუსეთის ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებისათვის.

მასიური ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე

მოსკოვი, 12 ივლისი. მოსკოვში გაცხოველებით მიმდინარეობს წინასწარი ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე. ქარხანა „კრასნი ბოგატირში" მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში მუშებმა შეაგროვეს 6.000 მანეთი, „ანილტრესტი"-ს ქარხნებში შეგროვებულია 5.000 მანეთი.

ლენინგრადში შეგროვებულია უკვე ასი ათას მანეთამდე. მთელ რიგი სხვა ქალაქების მუშებიც გამოეხმაურენ მოსკოვისა და ლენინგრადის მუშების ინიციატივას.

მუშები ყველგან სიტყვას სდებენ, რომ ბოლომდე ხელზე შეინახავენ ობლიგაციებს.

ამიერ-კავკასია უზრუნველყოფილია ხორცით

მოსკოვი, 13 ივლისი. „პრავდა"-ში მოთავსებულია წერილი საბჭოთა კავშირის ხორცის ბაზრის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ხორცის დამზადების საქმე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რაიც იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ საბჭოთა კავშირის ბაზარი უკეთ იქნება დაკმაყოფილებული ხორცით. კერძოდ ამიერ-კავკასიის შესახებ წერილში ნათქვამია, რომ ამიერ-კავკასიის ბაზარი, მაისის თვეში არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, ბევრად უფრო იქნება უზრუნველყოფილი ხორცით.

უკანასკნელი ცნობები

„მუშათა" მთავრობის საფარველ ქვეშ

ლონდონი, 13 ივლისი. საფეიქრო მრეწველობის მწარმოებელთა ფედერაციამ დიდი უმეტესობით დაადგინა დაუყოვნებლივ შეამციროს ხელფასი მთელ მრეწველობაში 12,5 პროცენტით. ყველა ცალკე საფეიქრო წარმოებებს დაეგზავნათ ცირკულიარები, რომელშიაც წინადადება ეძლევათ გამოაკრან განცხადებები ლოკაუტის შესახებ და აცნობონ, რომ ხელფასი შემცირებული იქნება 29 ივლისიდან. (ადს).

ლიბერალების შესწორების უარყოფა

ლონდონი, 12 ივლისი. პარლამენტში კენჭი უყარეს ხელფა-სიტყვის იმ შესწორებას, რომელიც ლიბერალებმა შეიტანეს და რომელიც შეეხებოდა კონსერვატიული მთავრობის მიერ გამოცემული კანონის (ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ) გაუქმებას. კენჭის ყრის დროს კონსერვატორებმა მუშათა პარტიას დაუჭირეს მხარი. ლიბერალების შესწორება უარყოფილ იქნა 374 ხმით 51 ხმის წინააღმდეგ. (ადს).

მემალაროეთა განთავისუფლება

ლონდონი, 12 ივლისი. მუშათა პარტიის მთავრობის შექმნის დროს შინაგან საქმეთა მინისტრმა კლაინსმა მიიღო მრავალი თხოვნა იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნას ორი მემალაროე, რომელნიც დააპატიმრეს 1926 წელს, მემალაროეთა გაფიცვის დროს. კლაინსმა უარი განაცხადა მათ განთავისუფლებაზე.

ეხლა ორივე პატიმარი გაანთავისუფლეს ერთი დღით ადრე ვადის გასვლამდე, რათა თავიდან აეცილებიათ ის დემონსტრაცია განთავისუფლებულთა პატივსაცემად, რომელსაც რემედასი ამზადებდა მათი პატიმრობის ვადის გასვლის დღეს. (ადს).

უარი საბჭოთა კავშირში გამგზავრებაზე

ვენა, 12 ივლისი. ავსტრიელმა ფეხბურთელებმა უარი განაცხადეს საბჭოთა კავშირში გამგზავრების განზრახვაზე, რადგან ლიუცერნის რეფორმისტულმა სასპორტო ინტერნაციონალმა არ დართო ნება შეჯიბრებოდნენ საბჭოთა ფეხბურთელებს. (ადს).

ინგლის-საფრანგეთის დავა სარეპარაციო კონფერენციის ირგვლივ

ლონდონი, 13 ივლისი „დეილი ტელეგრაფი"-ს დიპლომატიური მიმომხილველი იტყობინება, რომ ინგლისის მთავრობამ საფრანგეთის მთავრობას მიმართა მეორე ნოტით, რომელშიაც ისევ მოითხოვს, რომ პოლიტიკური სარეპარაციო კონფერენცია მოწვეული იქნას ლონდონში. ჯერ-ჯერობით პასუხი ამ ნოტაზე არ არის მიღებული. (ადს).

მღელვარება რიგის ცენტრალურ ციხეში

რიგა, 12 ივლისი. ხუთშაბათს რიგის ცენტრალურ ციხეში დაიწყო სერიოზული მღელვარება ციხის მძიმე პირობების წინააღმდეგ. მღელვარება გამოიწვია პოლიტიკურ პატიმარ გემელის კარცერში ჩამწყვდევამ. 14 საკანში ჩამტვრეულია ფანჯრების მინები და ჩარჩოები. მღელვარების ჩასაქრობად გამოიწვიეს სამხედრო ნაწილი. დამაწყნარებლები სასტიკად გაუსწორდნენ პოლიტიკურ პატიმრებს, რომლებსაც სცემდნენ თოფის კონდახებით. დადის ხმები, რომ ესვროდნენ პატიმრებს და არის მსხვერპლიც. 70 პოლიტპატიმარმა პროტესტის ნიშნად გამოაცხადა სიმშილობა და მოითხოვა გემელის განთავისუფლება. მღელვარების 30 მონაწილე დამწყვდეულია კარცერში. (ადს).

დარბაზობა „საბჭოთა ფრთები"-ს ეკიპაჟთან

ბერლინი, 13 ივლისი. დღეს გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ მიიღო სადარბაზოდ საბჭოთა აეროპლან „საბჭოთა ფრთებზე" დედამიწის გარშემო გადაფრენის მონაწილენი. (ადს).

კომპარტიის ორგანოს რედაქტორის დაპატიმრება

პრაღა, 13 ივლისი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურ ორგანოს რედაქტორი გუტმანი გუშინ დააპატიმრეს, თავის ბინაზე და გადაგზავნეს ციხეში. (ადს).

ამხ. დობროჯეანუმ გაიმარჯვა

ვენა, 13 ივლისი. ბუქარესტიდან მიღებულ შეუმოწმებელ ცნობების თანახმად, ამხ. დობროჯეანუს, მესამე სიმშილობის შემდეგ, რომელიც გაგრძელდა 30 დღეზე მეტს—შეუფარდეს ამნისტია. (ადს).

ბოლდუინის სამხედრო პროგრამა

ლონდონი, 12 ივლისი. პოლიტიკურ წრეებში დაინტერესებულნი არიან იმ საკითხით, თუ როგორ გადაწყვეტილებას გამოიტანს მუშათა პარტიის მთავრობა ბოლდუინის მთავრობის მიერ შემუშავებული საზღვაო შეიარაღების პროგრამის შესახებ.

პოლიტიკური მოღვაწეების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ მაკდონალდი გააუქმებს დადგენილებას ექვსი წყალ-ქვეშა ნავის აგების შესახებ, მაგრამ პროგრამის დანარჩენი ნაწილი ალბად განხორციელებული იქნება იმის გამო, რომ ეშინიათ არ გაძლიერდეს უმუშევრობა გემთსაშენ საწარმოთა მუშებს შორის. (ადს).

ინგლისის „განიარაღება"

ინგლისის ახალი წყალქვეშა ნავი „პარფიანი", რომელიც 24 ივნისს ჩაუშვეს წყალში

ომის საფრთხესთან ბრძოლა

სტოკჰოლმი, 12 ივლისი. 11 ივლისს ბერლინში მოხდა კონფერენცია ომის საფრთხესთან ბრძოლის საკითხის გასარჩევად. კონფერენციას დაესწრო 135 დელეგატი, რომლებიც უშუალოდ წარმოებებმა გაგზავნეს; კონფერენციას დაესწრო აგრეთვე მრავალი მუშა.

კონფერენციამ ერთსულოვნად მოიწონა კომპარტიის პოზიცია, აირჩია დელეგატები გეტებორგის კონგრესზე გასაგზავნად და გამოჰყო განსაკუთრებული კომიტეტი დელეგატებისთვის სამგზავრო ფულის შესაგროვებლად. ბერგენის პროფკავშირთა საოლქო გაერთიანების გამგეობამ გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა გეტებორგის კონგრესში, რისთვისაც აირჩია დელეგატები. (ადს).

ეძებენ თავდამსხმელებს

ვენა, 12 ივლისი. ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლიაპჩევზე და გზათა მინისტრ ვასილიევზე თავდასხმის გამო მახლობელ სოფლებში დააპატიმრეს რამდენიმე პირი, მათ შორის გლეხთა კავშირის მემარცხენე ფრთის წევრები.

ხელისუფლებამ თითქოს აღმოაჩინა თავდასხმის ხუთი მონაწილე და იპოვა იარაღი, რომელითაც ისინი სარგებლობდნენ. ბულგარეთის მთავრობის პრესა თავდასხმას იყენებს კომუნისტების და გლეხთა კავშირის მემარცხენე ელემენტების წინააღმდეგ გალაშქრებისათვის და აცხადებს, რომ თავდასხმა წარმოადგენს იმ ტერორისტული კამპანიის დასაწყისს, რომლის ინიციატორები არიან „მთლიანი ფრონტის მომხრენი". (ადს).

ჰენდერსონზე თავდასხმის განზრახვა?

ლონდონი, 13 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„რამდენიმე პირი ცალ-ცალკე მივიდა ჰენდერსონის ბინაზე და ყოველმა მათგანმა განაცხადა, რომ სურს საგარეო საქმეთა მინისტრის ნახვა. ერთს მათგანს შენიშნეს რევოლვერი. მათ უპასუხეს, რომ ჰენდერსონს არ შეუძლია მათი მიღება და ურჩიეს საგარეო საქმეთა სამინისტროში მისვლა". (ადს).

სხვადასხვა

● **იაპონიის ახალი კაბინეტის დეკლარაცია.** გამოქვეყნებული ახალი კაბინეტის საპროგრამო დეკლარაცია.

„სიაკაი მინსიუტო"-ს (მემარჯვენე „სახალხო სოციალისტური პარტია") მოღვაწენი, ახასიათებენ რა მთავრობის დეკლარაციას, აღნიშნავენ, რომ დეკლარაციაში არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული იაპონიის მუშათა კლასის და გლეხობის მდგომარეობას. (ადს).

● **რუმინეთის პარლამენტის ოპოზიციის განცხადება.** ადმინისტრატიული მართვა-გამგეობის რეფორმის კანონ-პროექტის გამო, ოპოზიციამ რუმინეთის პარლამენტში განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს ხელი აიღოს დეპუტატობის რწმუნებებზე, თუ კანონპროექტში შეტანილი არ იქნება განსაზღვრული ცვლილებანი. მთავრობამ თანხმობა განაცხადა ცვლილების შეტანაზე. (ადს).

● **კატასტროფა ქვანახშირის მაღაროებში.** ინგლისის ქვა-ნახშირის მაღაროებში მოხდა კატასტროფა. აფეთქებისაგან დაიღუპა 11 კაცი, ბევრი დაშავდა. (ადს).

— **გამანადგურებლების დაჯახება.** მანევრების დროს ბუნგოს ყურეში, კიუსუს და სიკოკუს შუა, ორი გამანადგურებელი ერთმანეთს დაეჯახა. დაჯახების დროს 4 მეზღვაური დაშავდა (ადს).

გრძელვადიანი შვებულება ჯარში

მოსკოვი, 13 ივლისი. გამოქვეყნდა საკავშირო სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს ბრძანება; ამ ბრძანების თანახმად მიმდინარე წლის შემოდგომიდან გრძელვადიან შვებულებაში არიან დათხოვნილი მორიგი და უმცროსი მეთაურთა შემადგენლობის ის წითელარმიელნი და წითელფლოტელნი, რომელთაც დაამთავრეს განუწყვეტელი სამსახურის ვადა. დათხოვნა ჯარის ნაწილებიდან, მუშურ-გლეხური წითელი არმიის დაწესებულებებიდან, სახელმწ. პოლიტსამმართველოს ჯარისა და სანაპირო რაზმის გარდა, უნდა მოხდეს ამა წლის 25 სექტემბრიდან 15 დეკემბრამდე. საკავშირო გაერთ. სახელმწ. პოლიტსამმართველოს საშინაო ჯარის დათხოვა უნდა მოხდეს 1930 წლის 15 იანვრიდან, ხოლო საკავშირო გაერთ. სახელმწ. პოლიტსამმართველოს სანაპირო რაზმის—1930 წლის 1 აპრილიდან.

კატასტროფა მაღაროში

არტემოვსკი, 13 ივლისი. „მარია"-ს მაღაროში გამოურკვეველი მიზეზების გამო გაწყდა ჩასაშვები ბაგირი. ქვევით მომუშავე ორმა მემაღაროემ მოასწრო განზე გახტომა. კატასტროფის დროს არავინ დაშავებულა.

ყურადღება პურის დამზადებას

პურის დამზადების კამპანიის დაწყების დრო უკვე დამდგარია. პურის დამზადებას ჩვენში მიეცა გეგმიანი ხასიათი. სადირექტივო ორგანოების მიერ უკვე შემუშავებულია დამზადების მინიმალური გეგმა: დამზადებული უნდა იქნას ხორბალი 200.000 ფ. და ქერი—100.000 ფ. დაწესებულია აგრეთვე ხორბლის და ქერის დასამზადებელი ფასები, რომელნიც წარსულ წელთან შედარებით გაზრდილია 10 კაპ. ფუთზე. ძირითადი დამამზადებელი ორგანიზაციები—სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაცია—უკვე შეუდგნენ საქმეს. პურის დამზადებას მიმდინარე წელში ხელს უწყობს კარგი მოსავლიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ყანები უკვე გაჭრილია და გაცხოველებით სწარმოებს მისი გალეწვა.

პურის დამზადების კალენდარული გეგმა რეალურ შესაძლებლობაზეა აგებული და გულისხმობს ამ ოპერაციის დასრულებას სამი თვის განმავლობაში. ამიტომ დამამზადებელი ორგანიზაციების გულისყური სწორედ იქეთკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ვიდრე გლეხს საზამთროდ არ შეუნახავს ბეღელში პური, მთელი პროდუქციის სასაქონლო ნაწილი ივლისსა და აგვისტოში მოქცეულ იქნას კოოპერაციის არხში, რომ ადვილი გახდეს სახელმწიფოსათვის გეგმიანად მომარაგოს პურის მომხმარებელი რაიონები, ან გამოიყენოს ხორბალი როგორც სათესლე მასალა.

განსაკუთრებულ ყურადღების საგანს უნდა შეადგენდეს კოოპერაციის ორივე სისტემისათვის ისიც, თუ გლეხობის რომელი ფენები აბარებენ მათ პურს. წარსული წლის პურის დამზადებამ ცხადჰყო, რომ პურის დამამზადებელ ორგანიზაციებს მეტ წილს აბარებდა მხოლოდ ჩვენი სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორი: კოლმეურნეობანი, არტელები და სხვა ამხანაგობანი, ინდივიდუალური მეურნეობანი კი ამ მხრივ ძალიან იყვნენ ჩამორჩენილი. ეს გარემოება იმითაც აიხსნება, რომ პურის დამზადების კამპანიას წინ არ უძღოდა მოსამზადებელი მუშაობა ფართო მასების ჩასაბმელად. ჩვენი კოოპერაციის მმართველი ორგანოები ამ კამპანიას ჩვეულებრივი კამპანიის საზომით უდგებოდნენ და მათ ისიც კი ზედმეტად მიაჩნდათ, რომ ჩვენში პურის დამზადებას გეგმიანი ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან საქართველო პურის მომყვანი ქვეყანა არ არისო. რასაკვირველია, ასეთი შეხედულება არ არის სწორი, რამდენადაც ჩვენშიაც არის რაიონების მთელი რიგი, სადაც მხოლოდ პურის მოყვანას მისდევენ და ათეული, ათასი ფუთი ყოველწლიურად გადის ბაზარზე გასასყიდად. ჩვენი პურის დამამზადებელ ძირითად ორგანიზაციებს სავსებით დღესაც არა აქვთ გამორკვეული, თუ რამდენია ჩვენში სასაქონლო პური, რამდენ ჰექტარზეა ეს კულტურა დათესილი ამა თუ იმ რაიონში და კოლმეურნეობებში და სხვ. ამ მხრივ მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არავითარ შემთხვევაში ადგილი არ უნდა ექნეს წარსული წლის შეცდომებს. ჩვენ მთელი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ განვდევნოთ პურის დამწევთ ღარიბ და საშუალო გლეხების თვითმოზადებიდან კულაკები და ჩარჩები. ამას მივაღ[illegible]ქმედებით და მათი კოოპერაციასთან მჭიდრო დაკავშირებით.

მიმდინარე წლის პურის დამზადებაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, რომელსაც, გარდა დამზადების გეგმის შესრულებისა, დავალებული აქვს კონტრაქტაციის წესით 47.593 ფ. ხორბლის და 38.726 ფ. ქერის შეგროვება და გაზაფხულში გლეხებზე გაცემულ სათესლე მასალის—51.800 ფ. ხორბალის და 17.500 ფ. ქერის აკრეფა.

ყურადღება უნდა მიექცეს, რომ კოლმეურნეობებმა მთელი თავიანთი მოსავლის სასაქონლო ნაწილი ჩააბარონ სახელმწიფო დამამზადებელ ორგანიზაციებს და ადგილი აღარ დარჩეს წარსული წლის ცალკე შემთხვევებს, როდესაც კოლმეურნეობანი კერძო ბაზრის ფასების სიდიდის გამო პურს ჩარჩებზე ყიდდნენ.

პურის დამზადების წარმატებით ჩატარება პირველ ყოვლისა დამოკიდებულია თვით დამამზადებელ ორგანიზაციებზე. რამდენადაც მოქნილი იქნებიან დამამზადებელი ორგანიზაციების პურის მიმღები აპარატები, რამდენადაც ნაკლებად გააწვალებენ პურის ჩამბარებელ გლეხებს ეს ორგანიზაციები, მით უფრო ხალისით მოიტანენ გლეხები პურს და პირიქით, რაც უფრო გაძნელებული იქნება პურის ჩაბარების, ფულის და ფართლის მიღების ტეხნიკა, მით უფრო გლეხების ნაკლები რიცხვი ჩააბარებს პურს, რითაც ისარგებლებენ კულაკები და ჩარჩები.

პურის ძირითად დამამზადებლად აღიარებულია, როგორც ზევით აღვნიშნეთ, კოოპერაციის ორი სისტემა (სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო), რომელთაც ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე სამოქმედო რაიონში მოუხდებათ ამ ოპერაციის წარმოება. უპირატესობა კი ამ მხრივ სამომხმარებლო კოოპერაციის მხარეზეა, რამდენადაც მისი ქსელი უფრო ფართოა და ძალიან ხშირად მისი განყოფილებები ისეთ სოფლებშია, სადაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას არავითარი განყოფილება ან რაიმე პუნქტი არა აქვს. გარდა ამისა, სამრეწველო საქონელი გლეხებს მიეცემათ მხოლოდ და მხოლოდ სამომხმარებლო კოოპერაციიდან და, მაშასადამე, შესაძლებელი ხდება გლეხმა ირჩიოს ხორბალი მიიტანოს იქ, სადაც ნაკლებ მანძილზეა წასაღები, სადაც ერთ და იმავე დროს ფულსაც მიიღებს და საქონელსაც, ვიდრე წაიღოს სასოფლო სამ. საკრედიტო ამხანაგობაში, სადაც დაუკავებენ დავალიანებას საკონტრაქტაციო და, იქნებ, სხვა დავალიანებასაც და სადაც ნაწილს ფულად მიიღებს და დანარჩენზე ისევ სამომხმარებლო კოოპერატივში მოუხდება წასვლა ფართლის მისაღებად. ამიტომ ამ ორ სისტემას შორის გამონახული უნდა იყოს საერთო ენა, რომ ადგილი არ ჰქონდეს მეტოქეობას, რომ არ დაზიანდეს პურის დამზადების საქმე, საერთოდ და კერძოდ გლეხებისაგან კონტრაქტაციით და სათესლე მასალით ხორბლეულის სრულად შეგროვების საქმე.

პ. მოშნიაშვილი.

პ ა რ ტ ი ა შ ი

პარტია იშორებს მავნე და გამოუსადეგარ ბარგს

სომხეთის კ. პ. (ბ) ხელმძღვანელ მუშაკთა შემოწმების შედეგები

ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელ პარტმუშაკთა შემმოწმებელმა კომისიამ დაამთავრა სომხეთის კომპარტიის (ბ) ორგანიზაციის ხელმძღვანელი შემადგენლობის წმენდა ქ. ერევანში, ლენინაკანში, კარაკლისში, ალავერდში, ეჩმიაძინში და დელიჟანში. კომისიის მუშაობის შედეგები ასეთია:

1. **ხოჯიევი ი. კ.**, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი, უმუშევარი — გამორიცხულ იქნა პარტიიდან; 2. **ბეჟანიანი შ. ი.**, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი, რემონტის მუშა—შეუმოკლდა პარტსტაჟი და გამოეცხადა საყვედური; 3. **მანუჩარიანი ა.**, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის წევრი, სომხეთის სახმედვაჭრობის გამგეობის თავმჯდომარე—შეუმცირდა პარტსტაჟი; 4. **ვართანიანი ა.**, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი, სომხეთის რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარი—შეუმოკლდა პარტსტაჟი; 5. **სარატიკიანი ი.**, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო საკონტროლო კომისიის წევრი, სომხეთის რესპუბლიკის მიწსახკომის კოლეგიის წევრი—შეუმცირდა სტაჟი და გამოეცხადა საყვედური; 6. **ნაზარიანი მ.**, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი, არტელის ხელმძღვანელი—გამოყვანილ იქნა ცენტრალური საკონტროლო კომისიის შემადგენლობიდან; 7. **მარტიროსიანი ს. ო.**, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი და საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის წევრი, სომხეთის გზატკეცილების სამმართველოს უფროსის თანაშემწე—შეუმცირდა სტაჟი და მიეცა მითითება; 8. **ამდილიანი ქ. ა.**, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, ეჩმიაძინის სამაზრო კომიტეტის მდივანი — გამოყვანილ იქნა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან; 9. **დაშტოიანი რ. პ.**, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი, სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის ცაკის მდივანი—მიეცა მითითება; 10. **გული-კეხვეტიანი გ. გ.**, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი, სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი—შეუმცირდა პარტსტაჟი; 11. **სახაკიანი მ. მ.**, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე—შეუმცირდა პარტსტაჟი; 12. **აივაზიანი ქ. გ.**, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი—შეუმცირდა პარტსტაჟი; 13. **ახტვაცატურიანი ს. ა.**, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, სომხეთის პროფკავშირთა საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგე—მიეცა მითითება; 14. **საფარიანი რ. ნ.**, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი, ერევნის აღმასკომის სადგილ-მამულო განყოფილების გამგე—შეუმცირდა პარტსტაჟი და გამოყვანილ იქნა ცენტრალური საკონტროლო კომისიიდან; 15. **ალიევი მ. ს.**, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, საუბნო აღმასკომის თავმჯდომარე—მიეცა მითითება; 16. **გორდაშიანი მ. მ.**, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის ჯანსახკომი—მიეცა მითითება; 17. **ბადიკიანი ბ. ს.**, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, დელიჟანის სამაზრო კომიტეტის მდივანი—მიეცა მითითება; 18. **თონიხიანი ა. გ.**, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის, წევრი, უნივერსიტეტის რექტორი—მიეცა მითითება; 19. **ერემიანი ვ. დ.**, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, „ხორურდაინ ჰაიასტანი"-ს რედაქტორი—მიეცა მითითება; 20. **საადიანი ტ. ტ.**, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, ლენინაკანის პოლიტბიუროს და საზღვრის დაცვის უფროსი—შეუმცირდა სტაჟი.

წმენდის ზოგიერთი დეფექტი

ბაქო, 13 ივლისი. პარტიული რიგების წმენდა ქალაქის რაიონში გრძელდება. მასები უდიდეს აქტივობას იჩენენ წმენდის საქმეში.

წმენდა დამთავრდა სახკომსაბჭოს, ქალაქის სადგურის, რკინის გზის, განათლების სახალხო კომისარიატის, იუსტიციის სახალხო კომისარიატის, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის და ბაქოს საბჭოს უჯრედებში. ქალაქ. სადგურის უჯრედში 36 კაციდან 8 კაცმა მიიღო საყვედური. წმენდის შედეგები დანარჩენ დაწესებულებებში ჯერ არ არის გამორკვეული.

მუშაობის დეფექტად უნდა ჩაითვალოს უჯრედთა ბიუროების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება დახასიათების შედგენისადმი. პარტიის წევრს, რომელიც წმენდაში უნდა გატარდეს, ძალიან ხშირად აძლევენ არასწორ დახასიათებას, რითაც ხშირად ჩქმალავენ მის ნამდვილ სახეს. კარგი დახასიათება მიიღო ცენტრ. მუშათა კოოპერატივის უჯრედში ყოფილმა ვაჭარმა—ამჟამად პარტიის წევრმა.

პირადი ანგარიშების ნიადაგზე ცუდი ატმოსფერა შეიქმნა იუსტიციის სახალხო კომისარიატის უჯრედის მდივანის მიმართ. ასეთივე ბედი ეწვია სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის უჯრედის მდივანსაც. უკანასკნელ დროს საწარმოო უჯრედებმა, რომლებიც მიმაგრებულნი არიან საბჭოთა უჯრედებზე, შეასუსტეს თავისი ყურადღება წმენდისადმი. (ადს).

რა გვიჩვენა წმენდამ

იუსტიციის სახ. კომისარიატის უჯრედში

წმენდამ იუსტიციის სახალხო კომისარიატის უჯრედში აღმოაჩინა მრავალი გადაგვარებული, იდეურათ მერყევი გახრწნილი და უცხო ელემენტი.

დავიწყოთ ავანოვიდან. ეს კაცი შემოსულა პარტიაში 1927 წელს. წინად უმსახურნია დაშნაკთა ჯარში მოხალისედ, ჰქონია საკუთარი საბილიარდო, ეხლა კი იუსტიციის სახ. კომისარიატში პასუხისმგებელი მუშაკის პოსტზეა გამოჭიმული. რასაკვირველია ასეთი საეჭვო წარსულის ხალხს პარტიაში ადგილი არ აქვს, კომისიამაც შესაფერი დასკვნა გამოიტანა: ავანოვი გაირიცხა პარტიის რიგებიდან.

ქ. ბესელია ძალიან გატაცებული იყო „მშვენიერი სქესის" წარმომადგენლებით. მათი დანახვა ბესელიას პარტიასაც ავიწყებდა და ხელისუფლებასაც. ბესელია მაზრისა და ქალაქის პროკურორი იყო და ის ამ ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობას მარჯვედ იყენებდა საკუთარი ვნებების დასაკმაყოფილებლად. ის სისტემატიურად ანთავისუფლებდა დამნაშავეებს ლამაზი ქალების პროტექციით და შემდეგ, რასაკვირველია, სათანადო „კომპენსაციასაც" იღებდა.

ფაქტები ამტკიცებენ, რომ ბესელია 1922 წელში შემოვიდა პარტიაში, მაგრამ მას სურდა სტაჟი 1918 წლიდან ჰქონოდა, კომისიამ კი ის სრულიად შეუფერებლად მიიჩნია პარტიის რიგებისთვის, როგორც გახრწნილი ელემენტი, დამთავრდა ბესელიას პარტიული სტაჟიც და მისი იურიდიული კარიერაც.

კაციტაძე ფედერალისტთა პარტიის ყოფ. წევრი 1925 წლიდან დღემდე ითვლება კომპარტიის კანდიდატათ. მას უყვარს მივლინებები და სამივლინებო ფულის ორმაგათ მიღება. კაციტაძეს გამდიდრებისაკენ სწრაფვა იმაშიც გამოიხატა, რომ ის ედავებოდა ქვრივ რძალს და სურდა მისთვის სახლის წართმევა. ცხადია, გამწმ. კომისია კაციტაძეს პარტიაში არ დასტოვებდა.

პროკურორ საკოვს პარტსტაჟი 1921 წლიდან აქვს, მას ვაჭრობის სტაჟი კი გაცილებით უფრო დიდი ჰქონია. საკოვი პროკურორობის დროსაც კი დაუჭერიათ სპეკულიანტობისათვის. საკოვს ეხლაც კავშირი აქვს მეზობლად მცხოვრებ ვაჭრებთან და მთელი თავისი „პროკურორული" ავტორიტეტით იცავს მათ. საკვირველია, სად იყო უჯრედი, რომ ამდენხანს ვერ ახადა ნიღაბი ამ პირწავარდნილ ექსპლოატატორს? გამწმენდმა კომისიამ მიაიძანა საკოვი მისთვის უცხო ორგანიზაციის რიგებიდან.

ამ უჯრედში „ღვთის მოსავი კომუნისტები" აღმოჩნდნენ. აღდგომის პასკა-ტაბლებით ქეიფი მათ შორის ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა, აღმოჩნდნენ სისხლის სამართლის დამნაშავენიც, მაგრამ ყველას ჩამოთვლა მოსაწყენია. შევჩერდებით მხოლოდ ოპოზიციონერებზე.

აქაური ფარული ტროცკისტები სიტყვით პარტიას და გამწმენდ კომისიას ეფიცებიან, „უმტკიცებენ" ერთგულებას, გულახდილობას, აცხადებენ, რომ დასტოვეს კონტრ-რევოლიუციონური მუშაობა, რომ სრულიად გაწყვიტეს იდეური და ორგანიზაციული კავშირი ტროცკიზმთან. საქმით კი ისინი თვით წმენდის დროსაც პირნათლად ასრულებენ ტროცკისტულ ორგანიზაციის დავალებებს, მოქმედებენ დირექტივების მიხედვით. ისინი აქტიურად გამოდიოდნენ სხვისი შემოწმების დროს, ხოლო, როცა მათ ამხანაგს წმენდავენ—უჩვეულო გულმავიწყობას იჩენენ და „არაფერი იციან" ოპოზიციონური მუშაობის შესახებ. მიუხედავად ამ „ეშმაკური ტაქტიკისა" გამწმენდმა კომისიამ შეუბრალებლად გამოამჟღავნა ფარული ტროცკისტები და გარიცხა ისინი პარტიის რიგებიდან.

კომისია თავის დასკვნაში აღნიშნავს, რომ იუსტსახკომის მუშაკთა შერჩევა შემთხვევით ხასიათს ატარებდა. აქ ღებულობდნენ ყველას, ვინც სხვაგან გამოუსადეგარი ან უმუშევარი იყო. სწორედ ამით აიხსნება იუსტიციის სახ. კომისარიატის სუსტი მუშაობა და დაბალი ავტორიტეტი.

კომისიას საჭიროდ მიაჩნია სერიოზულად გაიწმინდოს იუსტსახკომის აპარატიც. თუ უჯრედი ასე დაავადდა, ცხადია, არც დაწესებულებაში იქნება ყველაფერი რიგზე.

უჯრედის მუშაობას მრავალი სხვა ნაკლიც აღმოაჩნდა. მათ შორის მთავარია ის, რომ უჯრედი ვერ ხელმძღვანელობდა მასიურ მუშაობას და არ აწარმოებდა პოლიტ. აღმზრდელობით მუშაობას.

უჯრედში წმენდის დროს ადგილი ჰქონდა ურთიერთ დაცვას, „შენც იცოცხლე მეც მაცოცხლეს" პოლიტიკას.

კომისიამ წმენდაში სულ გაატარა 72 კომუნისტი, ამათგან: გარიცხა 14, საყვედური გამოუცხადა—3, გადასცა საკონტ. კომისიას—1.

ქალაქის მუშები და სოფლის კოლექტივიზაცია

(თათბირი კ. პ. (ბ) ლენრაიკომში)

10 ივლისს ლენინის რაიკომში შესდგა, უჯრედის მდივნების, საშეფო უჯრედების წარმომადგენლების და საქ. კ. პ. (ბ) მე-6 ყრილობაზე ჩამოსულ გორის, გურიის, სამხრეთ-ოსეთის და ქუთაისის ორგანიზაციების დელეგატების თათბირი.

თათბირზე მოხსენება გააკეთა ამხ. **წოდლიძემ**, რომელმაც აღნიშნა, რომ ლენრაიონში მომუშავე მუშების დაახლოვებით 60 პროცენტს კავშირი არ გაუწყვეტიათ სოფლის მეურნეობასთან. ეს კავშირი გამოიხატება სოფლის მეურნეობისათვის ფულად დახმარებაში. იმ დროს, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის—კოლექტივიზაციის შესახებ ჩვენ უნდა აღვრიცხოთ ყველა ის ძალები, რომლებსაც შეუძლია ამ საქმისათვის დახმარების გაწევა.

ჩვენ დღემდე არ გვყავს აღრიცხული ის მუშები, რომლებსაც კავშირი აქვთ სოფლის მეურნეობასთან, არ გვიწარმოებია მათ შორის სპეციალური მუშაობა, რაც უდიდეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აღნიშნული მუშები თავის მხრივ თითქმის არაფერს არ აკეთებენ იმისათვის, რომ სოფლად დარჩენილი ოჯახის წევრებს შთააგონონ კოლმეურნეობაში გაერთიანების საჭიროება.

ეს დეფექტი მომავალში გამოსწორებული უნდა იქნეს მუშებიდან. ჩვენ უნდა შევქმნათ „სათვისტომოები" და „დამკვრელი ბრიგადები", რომლებმაც, შეფორგანიზაციის ხელმძღვანელობით, ხელი უნდა შეუწყონ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. ეს იქნება პროლეტარული ხელმძღვანელობის განმტკიცებაც სოფლის მშრომელებზე.

კამათში გამოსული ამხანაგები მოითხოვდნენ ამ მიმართულებით მუშაობის დაწყებას უახლოეს ხანში. ზოგი ორატორი აღნიშნავდა, რომ ბევრგან კულაკური ელემენტებიც მოყვნენ ქარხნებში „მუშებათ" ისინი არამც თუ არ დაეხმარებიან სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, არამედ ხელსაც შეუშლიან მას. ასეთი ტიპის „მუშები" რელიგიურ დღესასწაულებზე ჩამოდიან სოფლად და ღვინით ილეშებიან. სოფლის ორგანიზაციების საშუალებით ისინი გამომჟღავნებული უნდა იქნენ.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ უახლოეს ხანში ჩატარებული იქნეს პარტორგებისა და პარტიის შემმოწმებელი კომისიების საშუალებით იმ კომუნისტების, ხოლო ფაბქარხადგილკომების საშუალებით უპარტიო მუშების აღრიცხვა, რომლებსაც კავშირი აქვთ სოფელთან, ამავე მიზნისათვის გამოყენებულ იქნეს საშვებულებო კომპანიაც. შეფორგანიზაციებს და აგიტპროპგანყოფილებას დაევალა ამ მუშათა შორის მუშაობის გეგმის შედგენა. აღრიცხვა დამთავრებული უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში. ადგილებზე უნდა მოეწყოს საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც დაივალებენ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის ხელის შეწყობას.

—:—

შეცდომის გასწორება

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ახალი შემადგენლობის სიაში, რომელიც მოთავსებული იყო „კომუნისტის" 11 ივლისის ნომერში, შეცდომითაა ნაჩვენები ამხ. ვ. მეტონიძის პარტსტაჟი. სწერია: **პარტიის წევრი 1921 წლიდან**, უნდა იყოს: **პარტიის წევრი 1919 წლიდან.**

ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ თვითღირებულება

თბილისის ორგანიზაციის ყველა რაიკომებს და უჯრედებს

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება პარტიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს. სოციალისტური მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად წარმატებით გადასწყვეტს პარტია და საბჭოთა სახელმწიფო თვითღირებულების შემცირების ამოცანას.

მიუხედავად მთელი რიგი დირექტივებისა, რომლებიც ქვედა საფეხურის პარტიული, პროფესიონალურ და აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციებს მიეცა, დღემდე ამ დარგში არ გვაქვს საგრძნობი შედეგები. პარტიის დირექტივა თვითღირებულების 8 პროცენტით შემცირების შესახებ გასულ ნახევარი წლის განმავლობაში არა თუ გადაჭარბებით არ არის შესრულებული, არამედ ჯერ-ჯერობით კიდევ ბევრი აკლია მის მთლიანად განხორციელებას. საშუალოდ 28—29 წლის პირველ ნახევარში ჩვენ გვაქვს თვითღირებულების შემცირება მხოლოდ 5,9 პროცენტით, ხოლო ზოგიერთ დარგში (თბილისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობა), პირიქით, შემცირების ნაცვლად შემჩნეული იყო თვითღირებულების გადიდება ან თვითღირებულების შემცირება პროდუქციის ხარისხის გაუარესების ხარჯზე. უკეთესად არც შრომის ნაყოფიერების აწევის საქმეა დაყენებული. ს.მ.უ.ს. საწარმოებში ნაყოფიერება ნაცვლად 15 % (რომელიც გეგმით გათვალისწინებული მინიმალური ნორმაა, 10,2 % გაიზარდა) თბილისის კომიტეტი ამ საკითხის ასეთ ცუდ მდგომარეობას ხსნის იმით, რომ დღემდე მას საკმაო ყურადღება არ ექცევა პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანიზაციების მხრით. ამასთანავე მუშათა ფართო მასები სუსტად არიან ჩაბმულნი თვითღირებულების შემცირებასთან დაკავშირებულ საკითხების განხილვაში.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადაიდგას და წლის მეორე ნახევარში უეჭველად გადაჭარბებით უნდა შესრულდეს პარტიის დირექტივა თვითღირებულების 8 პროცენტით შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების 15,8 პროცენტით გადიდების შესახებ, რადგან ეს დავალება მინიმალური და ფრიად არა საკმაოა.

გამოდის რა იმ ნაკლოვანებებიდან, რომლებსაც განვლილი ნახევარ წლის გასწვრივ ჰქონდა ადგილი მრეწველობის სხვადასხვა დარგში, თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა მიმდინარე ნახევარ წელში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს:

ა) ხელფასის და შრომის ნაყოფიერების ზრდის წესიერ შეფარდებას ორგანიზაციული და ტეხნიკური ღონისძიების გატარების, შეფასების ნორმების გადასინჯვის (იქ, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს), შრომის დისციპლინის შემდეგი განმტკიცების და სხვ. გზით;

ბ) არ იქნეს დაშვებული თვითღირებულების შემცირება პროდუქციის ღირსების გაუარესების ხარჯზე;

გ) ყურადღება მიექცეს როგორც პერიოდული მაჩვენებლების შედგენის, ისე განაკვეთის შესრულების კონიუნქტურული თვალყურის დევნების და შემოწმების აუცილებლობას კვარტალების მიხედვით;

დ) წარმოებათა შეუფერხებელი მოქმედების მოგვარების აუცილებლობას ნედლეულის და დამხმარე მასალების თავის დროზე მიწოდებით და აგრეთვე საქარხნო მოწყობილობათა მოუწესრიგებელი მუშაობით გამოწვეული გაცდენის თავიდან აცილებით;

ე) მუშების საქმიან წინადადებათა მაქსიმალურად გამოყენებას;

ვ) ორგანიზაციულ-ტეხნიკური მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობას;

ზ) მორიგი შვებულებების მოწესრიგებას (განსაკუთრებით ივლისში და აგვისტოში) ისეთი ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილი იყოს თვითღირებულების შემცირების გეგმის შესრულება. არავითარ შემთხვევაში არ იქნას დაშვებული საწარმოების შეჩერება შვებულების გამო, სადაც ამას წარმოების თავისებურება არ მოითხოვს;

ჰ) შრომის დისციპლინის შემდეგი განმტკიცებისათვის გადამჭრელი ზომების მიღებას;

თ) გაცდენის შემთხვევების აღმოფხვრას და მასთან დაუნდობელ ბრძოლას;

ი) ნედლეულის და დამხმარე მასალების დაზოგვით ხარჯვას, მანკიანი პროდუქციის დაკლების, სათბობი მასალის და ელექტრო-ენერგიის ხარჯის შემცირებას და სხვ.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში დასახულ ამოცანის შესრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მას ყოველდღიურად ფხიზელი ყურადღება მიექცევა სამეურნეო მუშაკებისა და პროფესიონალისტთა მხრით, ჩაბმული იქნებიან ამ მუშაობაში, ერთის მხრით, სპეცები და, მეორეს მხრით მუშათა ფართო მასები. ეს ამოცანა უნდა იდგეს პარტორგანიზაციათა ყურადღების ცენტრში.

მიმდინარე სოციალისტურ შეჯიბრებაში საჭიროა მუშათა მასების ფართო საზოგადოებრივი აზრი მიექცეს თვითღირებულების მაქსიმალურად შემცირებას და შრომის ნაყოფიერების აწევას, რისთვისაც თვითღირებულების შემცირების საკითხები, სამრეწველო ფინანსიური გეგმის შესრულება და სხვ. სისტემატიურად უნდა გაირჩეს საწარმოო თათბირებზე და მუშათა კრებებზე. საამქრო ორგანოებმა, და კედლის გაზეთებმა მაქსიმალური ენერგია უნდა გამოიჩინონ იმისათვის, რომ მუშების არც ერთი საქმიანი წინადადება არ დარჩეს განუხილველი და გადაუსინჯავი.

შემოქმედებითი ინიციატივის წასახალისებლად და მასების აქტიურად ჩასაბმელად სოციალისტური შეჯიბრების პროცესში, საჭიროა მოეწყოს სპეციალური ფონდი იმ მიზნით, რომ საუკეთესო წარმოებას, საამქროს, განყოფილებას, მუშებისა და სპეციალისტების ჯგუფს და ცალკე მუშაკებსა და მუშებს მიეცეს პრემია.

მიცემული დირექტივის შესამოწმებლად თბილისის კომიტეტთან ეწყობა ცალკე ტრესტების მოხსენებათა კვარტალური მოსმენა. თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა რაიონულ კომიტეტს ასევე მოისმინოს ცალკე წარმოებათა მოხსენებები. რაიკომებმა სამი დღის ვადაში უნდა შეადგინონ მოხსენებათა კალენდარული გეგმა და რეგულარულად მიაწოდონ თბილისის კომიტეტს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს თვითღირებულების შემცირების შემოწმება.

თვითღირებულების შემცირების და შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხის გადაწყვეტის დროს აუცილებლად შეხვდებით დაბრკოლებებს მუშათა მასების ჩამორჩენილი ფენების მხრით, რომლებიც თავიანთ ცეხურ ინტერესებს მთელი მუშათა კლასისა და ქვეყნის წინაშე მდგომ ამოცანებზე მაღლა აყენებენ.

მხოლოდ გადამჭრელი ბრძოლით ამგვარ განწყობილებათა წინააღმდეგ, განწყობილებების, რომელთაც ხშირად იყენებენ ტროცკისტები, და ამ საქმეში მთელი მუშათა მასის და წარმოებების სამრეწველო-ტეხნიკ. პერსონალის მაქსიმალური ჩაბმით პარტია შეასრულებს თვითღირებულების შემცირების ამოცანას.

ს.კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი—
სტუხიშვილი.

ს.კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგ.
განყ. გამგე შოგირაძე.

საკონტროლო კომისიისა და მ. და გ. ინსპექციის ორგანოების შემოწმება ა.-კავკასიაში

(შემოწმებული კომისიის წევრის წერილი)

სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან და მისი ცალკე ნაწილების გადაგვარებასთან ბრძოლაში, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივების მტკიცედ გატარებისათვის ბრძოლაში, ჩვენი პარტიის ბოლშევიკური რიგების იდეური მთლიანობისა და დარაზმულობისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვთ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მუშაობას.

ამიერ-კავკასიის ფედერაციას უკანასკნელ წლებში უეჭველად მიღწევები აქვს ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში, აგრეთვე კულტურულ-პოლიტიკური ზრდის და ეროვნული შუღლის აღმოფხვრის მხრივ.

ამავე დროს ამ დიდ შემოქმედებით მუშაობაში ადგილი აქვს დეფექტებსაც, ზოგჯერ საკმაოდ დიდ დეფექტებსაც.

ჩვენი გამოკვლევის ამოცანას შეადგენს იმის გამორკვევა, თუ რამდენად ღრმულად და მედგრად ებრძოდნენ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები ამ დეფექტებს, როგორი დახმარება აღმოუჩინეს მათ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სოციალისტური მშენებლობის გაშლა-განვითარებაში.

პირველ რიგში ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა გააკეთა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ სახელმწიფო აპარატის, განსაკუთრებით ქვედა საფეხურის საბჭოთა ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისა და გამარტივებისათვის, როგორია ბიუროკრატიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან და დაწესებულებებში საქმეზე მოსულთადმი უხეშ მოპყრობასთან ბრძოლის რეალური შედეგები.

ამასთან დაკავშირებით უნდა გამოვარკვიოთ, რამდენად უწყობდა ხელს საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა ამიერ-კავკასიის მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას საბჭოთა მშენებლობაში. კერძოდ, უნდა შევამოწმოთ მომზადება იმ მეტად მნიშვნელოვანი მუშაობისათვის, როგორიც არის საბჭოთა აპარატის წმენდა.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში დიდი თანხებია დაბანდებული. ყურადღებით უნდა შევამოწმოთ, ადევნებდნენ თუ არა საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები თვალყურს იმას, რომ ეს თანხები რაციონალურად ყოფილიყო გამოყენებული.

ჩვენ არ შეიძლება არ გვაინტერესებდეს, როგორი გამოხატულება ჰპოვა მათ მუშაობაში ისეთი დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხებმა, როგორიცაა კაპიტალური სამრეწველო მშენებლობა, თვითღირებულების შემცირება, მოსავლიანობის გადიდება, დახმარების აღმოჩენა ღარიბთათვის და სხ.

ჩვენი გამოკვლევის შემდეგ ამოცანას შეადგენს იმის შემოწმება, თუ როგორ იბრძოდნენ საკონტროლო კომისიები პარტიის ლენინური ხაზის სიწმინდისათვის სხვადასხვა ანტიპარტიული გადახრების და ჯგუფების წინააღმდეგ. ასევე სერიოზულ მნიშვნელობას ვაძლევთ იმის შემოწმებას, თუ როგორ მუშაობას აწარმოებენ საკონტროლო კომისიები ყოფა-ცხოვრებით გახრწნის, ლოთობის, ოჯახური საქმეებით გატაცების და სხ. ამგვარი მოვლენების აღმოსაფხვრელად პარტორგანიზაციებში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმის შემოწმებას, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკულად ჩვენი პარტიის ცეკას მიმართვა მასების თვითკრიტიკის გაშლის შესახებ.

მუშათა მასების გარეშე, მათი მონაწილეობის გარეშე საკონტრ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს არ შეუძლიათ რამდენადმე საგრძნობი შედეგების მიღწევა თავიანთ მუშაობაში. ამიტომ მასების მონაწილეობის საკითხს, საკონტროლო კომისიების და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში მუშებისა და გლეხების ჩაბმის საკითხს ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭირება ჩვენს გამოკვლევაში.

ჩვენი მომავალი მუშაობა მეტად რთული და ძნელია. ჩვენი ამოცანების შესრულებას შევძლებთ მხოლოდ მაშინ, თუ ამ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ თვით გამოსაკვლევთა საკონტრ. კომისიებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები და განსაკუთრებით მუშებისა და მშრომელი გლეხების ფართო ფენები.

ჩვენ უკვე ეხლავე გვაქვს ზოგიერთი მასალა, რომელიც მიიღო ცენტრ. საკონტრ. კომისიამ და „პრავდა"-მ. მაგრამ ეს არა კმარა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ პარტიის წევრები და მშრომელი მასები აქტიურ დახმარებას გაგვიწევენ და ხელს შეგვიწყობენ ამ მუშაობაში.

კოკოშკინი.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

ლაშქრობა და მანევრი

ლაშქრობები და მანევრები წარმოადგენენ საუკეთესო საშუალებას თავდაცვა-ავიაქიმის წევრების გასაცნობად სამხედრო საქმესთან და ბრძოლისა და თავდაცვის ხერხების შესასწავლად.

ლაშქრობის ჩატარება შეიძლება სხვადასხვა მიზნით, როგორიც არის: ტაქტიკური მეცადინეობის წარმოება, ბანაკების დათვალიერება, გავარჯიშება სიარულში, დასწრება ჯარის ნაწილების მეცადინეობაზე და სხვა.

რა მიზნითაც არ უნდა იქნეს წარმოებული ლაშქრობა, საჭიროა მისი სათანადოთ მოწყობა და ყოველივე წვრილმანის გათვალისწინება.

ლაშქრობის მოწყობის წინ დაწვრილებით შესწავლილ უნდა იქნეს ის არე-მარე, სადაც ლაშქრობა ეწყობა. ეს შესწავლა უნდა გამოიხატოს ლაშქრობის გეგმის შედგენაში

შემდეგ შედგენილი უნდა იქნეს თვით ლაშქრობის ჩატარების გეგმა, სადაც უნდა აღინიშნოს: ლაშქრობის მიზანი, ზომები, რომლებიც იქნება მიღებული ლაშქრობაში მონაწილე ცალკე ერთეულების შესადგენად და მათი ორგანიზაციულად ჩამოსაყალიბებლად, ერთეულების მოძრაობის, კვების და დასვენების ორგანიზაცია. ამასთანავე გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყვეს „მოწინააღმდეგეც", რომელიც შეეცდება შეიტანოს არევ-დარევა ერთეულების მოძრაობაში. ამისათვის საჭიროა გეგმაში აღნუსხვა იმ ზომების, რომლებიც უზრუნველყოფენ „მოწინააღმდეგის" მოქმედების შეზღუდვას.

ყოველ ლაშქრობას დასახული უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი, გარკვეული მიზანი, მაგ., საჰაერო-ქიმიური თავდაცვის საშუალებების შესწავლა, ჯარის დაცვა მოძრაობის დროს, ბრძოლა თვითმფრინავების წინააღმდეგ და სხვა.

ლაშქრობას ყოველთვის წინ უნდა უძღოდეს საველე მეცადინეობა, სადაც ავიაქიმელები გაეცნობიან მიდამოს შესწავლის ხერხებს, შენიღბვას, ტოპოგრაფიული რუკების ხმარებას, გზის გაგნებას ყიბლანის საშუალებით, ცალკე ერთეულების მართვას და სხვ.

როდესაც ლაშქრობა ეწყობა ბანაკის დასათვალიერებლად, საჭიროა წინასწარი შეთანხმება სათანადო სარდლობასთან.

როდესაც ლაშქრობას მიზნად აქვს დასწრება წითელი ჯარის მეცადინეობაზე, ამისათვის საჭიროა, რომ მოლაშქრეები წინასწარ გაეცნონ ამ მეცადინეობის თემას, რათა ჰქონდეთ შესაძლებლობა ზედმიწევნით გაერკვიონ მეცადინეობის სხვადასხვა მომენტებში.

მანევრები ისახავენ მიზნად: მისცენ კადრის და თადარიგის მეთაურებს გამოცდილება ჯარის მართვაში, შეასწავლონ ავიაქიმელებს ორ მხრივი ტაქტიკური ამოცანების გადაჭრა და გამოამჟღავნონ სწავლების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

ავიაქიმის მანევრები უნდა ტარდებოდეს იმავე გეგმით, როგორც წითელი ჯარის მანევრები.

სასურველია, რომ ავიაქიმის მანევრები ტარდებოდეს წითელი ჯარის მანევრებთან ერთად. მაშინ, როდესაც მანევრებში მონაწილეობას ღებულობენ მხოლოდ ავიაქიმელები, ხელმძღვანელებათ მიწვეული უნდა იქნენ წითელი ჯარის კადრის მეთაურები. თადარიგის მეთაურები უნდა დაინიშნოს კადრის მეთაურების თანაშემწეებათ.

როგორც ლაშქრობები, ისე მანევრები უნდა მოეწყოს ისე, რომ მათში, სწავლების გარდა, იყვეს გართობაც, როგორიც არის ბანაობა, შეჯიბრება სროლაში, სირბილში და სხვ. თამაშობანი.

მანევრების და ლაშქრობების ჩატარებაში ფართოდ უნდა იქნენ მიზიდული ისეთი ამხანაგები, რომლებსაც აქვთ წინასწარი სამხედრო მომზადება. ასეთებია: სამხედრო ცოდნათა წრეების წევრები, თადარიგის მეთაურები, წვევამდელნი და გრძელვადიან შვებულებაში მყოფი არმიელები.

მხედარი

უმოქმედო ორგანიზაცია

(წერილი სენაკიდან)

შეიძლება თამამად ითქვას, რომ, თავდაცვა-ავიაქიმის სენაკის სამაზრო ორგანიზაცია არსებობს მხოლოდ ქაღალდზე, რადგან დღევანდლამდე მას არ უწარმოებია არავითარი პრაქტიკული მუშაობა.

ორგანიზაციის მიერ უყურადღებოთ არის დატოვებული მშრომელი გლეხობის გასამხედროების საქმე.

მაზრის სხვადასხვა სოფლებში არსებობს 28 სამხედრო კუთხე. ამ კუთხეებში არ არის არავითარი სამხედრო ლიტერატურა, არსად არ მოიძებნება გაზეთი „წითელი არმიელი", თუმც მასზე მოთხოვნილება დიდია.

უმოქმედოთ არიან ავიაქიმის უჯრედები. არ ექცევა ყურადღება უჯრედების წევრების ჩაბმას პრაქტიკულ საქმიანობაში. არ ტარდება არც ლაშქრობები, არც სროლა, არც საუბრები და მოხსენებები.

უჯრედები არ ზრუნავენ შვებულ წითელ არმიელების და ცვლებადელების აღრიცხვაზე და მათ ჩაბმაზე მუშაობაში.

ავიაქიმის უჯრედებში, ისე როგორც სამხედრო კუთხეებში, არ მოიძებნება სამხედრო ლიტერატურა და ხელსაწყოები.

კედლის გაზეთები სდუმან, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ კედლის გაზეთში ყოფილიყო გაშუქებული ამა თუ იმ სამხედრო კუთხის, ან ავიაქიმის უჯრედის მდგომარეობა.

თავდაცვა-ავიაქიმის სენაკის მაზრის ორგანიზაციას სჭირია გაჯანსაღება. ამაზე უნდა იზრუნოს საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ.

ფ. ქ.

სამაგალითო შეფი

(№ ქართ. საარტ. ლეგიონი)

სამი თვის წინად ამიერ-კავკ. წყალთა სამმართველომ აიღო შეფობა № ქართ.საარტ. ლეგიონის სამნეო ასეულზე. წყალთა სამმართველო სამაგალითოდ ასრულებს თავის მოვალეობას არმიელთა წინაშე და ზრუნავს ასეულის კულტურული და ნივთიერი დონის ამაღლებაზე.

ბანაკად გასვლამდე შეფს ჰქონდა დამყარებული ასეულთან და ლეგიონთან მჭიდრო კავშირი. ეს კავშირი არ შეწყვეტილა ბანაკად გასვლისასაც.

ვაზიანში, სადაც დაბანაკებულია ლეგიონი, წყალთა სამმართველოს წარმომადგენლები ორჯერ ესტუმრენ საშეფო ასეულს.

სტუმრობის დროს სამმართველოს წარმომადგენლები, რიცხვით 35 კაცი, დაწვრილებით გაეცნენ არტილერისტების ყოფა-ცხოვრებას ბანაკად. ამასთანავე მათ გადასცეს სამნეო ასეულის არმიელებს მრავალი ძვირფასი საჩუქარი, როგორიც არის: ჩვენი ბელადების სურათები, ალბომები, რვეულები, კალმის ტარები, საპონი, კბილის საწმენდი ჩოთქები და სხვ. წყალთა სამმართველოს გამოწერილი აქვს ასეულის ლენკუთხისათვის სხვადასხვა გაზეთები.

წითელი არმიელები კმაყოფილნი არიან თავისი შეფით და იმ კავშირით, რომელიც დამყარებულია მათსა და სამმართველოს თანამშრომელთა შორის.

გ. გზვანელი.

ქრონიკა

შვებულ არმიელთა მომზადება

ქართულ წითელი ჯარის ნაწილებში დაიწყო შვებულ წითელ არმიელთა მომზადება სოფლად მუშაობისათვის.

ყველა ნაწილებში ჩამოყალიბებულია კოლმეურნეობის საფუძვლების შემსწავლი ჯგუფები. ჯერ-ჯერობით ჯგუფებში ირიცხება—300-მდე არმიელი.

მოკლე ხანში ნაწილებში დაიწყებს მუშაობას კოოპერატიული, ქოხ-სამკითხველოების და სამხედრო კუთხეების გამგეების მოსამზადებელი წრეები.

კინო-კურსები

საბანაკო პერიოდის დამთავრების შემდეგ ჯარის ნაწილებში დაიწყებს მუშაობას კინო-კურსები. კინო-მექანიკების მოსამზადებლად შვებულ წითელ არმიელებისაგან.

სოციალისტური შეჯიბრება

გაზეთი „წითელი არმიელი" შეუდგა სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობის შემოწმებას ქართულ წითელი ჯარის ნაწილებში.

შემოწმებაში ფართოდ არიან ჩაბმულნი სამხედრო ორგანიზაციები.

მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

მორიგი გაწვევა წითელ ჯარში ჩატარებულ იქნება მიმდინარე წლის შემოდგომაზე. სამუშაოდ გამწვევ კომისიებში მიზიდული იქნებიან თადარიგის მეთაურები.

იმ მიზნით, რომ გასაწვევთა გადარჩევა ტერიტორიალური ნაწილების სკოლებში გასაგზავნად ჩატარდეს მიზანშეწონილად, გაწვევის დროს წარმოებული იქნება გასაწვევთა ფსიქო-ტეხნიკური გამოკვლევა.

საბჭოთა აპარატის გაჯანსაღებისათვის

ბიუროკრატები, პროტექციის ხელის შემწყობნი და სხვა გვარი მავნებლები უნდა განიდევნონ საბჭოთა დაწესებულებებიდან

როგორ „დააწინაურეს" მუშა-ქალი ამხ. გრიგოლაშვილი

გასული წლის ოქტომბერში, ქალაქის 1-ლ კლინიკურ ინსტიტუტში, ადგილკომის თავმჯდომარედ დაწინაურების სახით წამოაყენეს ამავე კლინიკის მომვლელი ქალი, ამხ. ანა გრიგოლაშვილი, რომელიც მოვალეობის შესრულებას ფაქტიურად შეუდგა ნოემბრიდან, მაგრამ ეს დაწინაურება მოხდა მხოლოდ ფორმალურად, ანგარიშის გულისათვის, სინამდვილეში კი სავსებით გაუარესდა დაწინაურებული მუშა-ქალის მდგომარეობა; არავინ მას არ უწევდა დახმარებას და არავინ უწყობდა ხელს მის მუშაობას. დღიდან მისი არჩევისა, მის გარშემო თავი მოიყარა განსაკუთრებულმა „ჯგუფმა", რომელიც ყოველ წუთში ცდილობდა დაწინაურებულ მუშის უკან დაწევას. ეს ჯგუფი შესდგებოდა ადგილკომის ზოგიერთი წევრებისაგან და მისი სულის ჩამდგმელი და მთავარი ხელმძღვანელი იყო სურენ კარტაშიანცი, რომელმაც კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ მუშა-ქალის წინააღმდეგ, მიაღწია თავის მიზანს და გახდა „ადგილკომის თავმჯდომარე".

ადგილკომის არც ერთი კრება ნორმალურად არ ჩატარებულა; ინტრიგანები და კარიერისტები ყოველთვის ილაშქრებდნენ თავმჯდომარის წინააღმდეგ და ხელს უშლიდნენ მის ნაყოფიერ მუშაობას. ადგილკომის ყოველ მორიგ სხდომაზე იმართებოდა დიდი ჩხუბი და ლანძღვა, რომელსაც იწყებდა კარიერისტი სურენ კარტაშიანცი. აღსანიშნავია, რომ მოქ. სურენა ადგილკომის სხდომაზე გააფთრებით იბრძოდა თავმჯდომარის წინააღმდეგ, სხდომის გათავების შემდეგ კი ასეთი სიტყვებით მიმართავდა დაჩაგრულ თავმჯდომარეს: „რა უყოთ, კრებაზე ყველამ თავისი აზრი უნდა სთქვას, შენც იტყვი, მეც ვიტყვი, ცოტა ჩხუბიც კი მოგვივა, მაგრამ ამისათვის არ უნდა გაიბუტო, გარეთ ისევ მეგობრები უნდა ვიყოთ"-ო. ასე მშვენივრად იკაფავდა გზას თვითკრიტიკის „მოყვარული" კარტაშიანცი, რომელმაც ინტრიგანთა ჯგუფი აამოძრავა თავის ზრახვების განსახორციელებლად. ყველა თავმჯდომარის წინააღმდეგ იყო განწყობილი. პარტიული თუ უპარტიო ხელს უშლიდა მის მუშაობას. არც სამნეო ნაწილის გამგე გორდელაძე აქცევდა ყურადღებას თავმჯდომარის ასეთ მდგომარეობას, პირიქით, რამდენჯერმე მასაც მოუვიდა უსაფუძვლო შეტაკება თავმჯდომარესთან.

აი ამის მაგალითი: 16 მაისს № 580—003—4 ივნისის თარიღით კავშირის ც. გამგეობა ადგილკომს უგზავნის მიმართვას, რომელშიც ნათქვამია, რომ 1929—30 წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენაში ადგილკომმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოსო. თავმჯდომარემ ეს მიმართვა აჩვენა გორდელაძეს და მოითხოვა მისგან ხარჯთაღრიცხვის ასლი. გორდელაძემ ამაზე შემდეგი უპასუხა: ხარჯთაღრიცხვას 3 თვის შემდეგ შევადგენო. მეორე დღე კი გორდელაძე რემინგტონზე აბეჭდინებდა ხარჯთაღრიცხვას. აქედან ნათლად სჩანს, რომ ადმინისტრაცია პარტიული ამხანაგის, გორდელაძის სახით, არამც თუ ხელს უწყობდა დაწინაურებულ მუშას მუშაობაში, არამედ ცდილობდა როგორმე ხელი შეეშალა მისთვის. თავის-თავად ცხადია ასეთი მდგომარეობა შეაფერხებდა ადგილკომის მუშაობას.

გარდა ამისა ადგილკომის ოთახში ხშირად იკარგებოდა ქაღალდები. იყო შემთხვევა, როცა თავმჯდომარის მაგიდის დაკეტილი უჯრა გააღეს და წაიღეს სხვადასხვა ქაღალდები. 15 მაისს ყარტაშიანცმა შეადგინა ეკონომკომისიის სხდომის ყალბი ოქმი, რომელზეც ხელს აწერს თავმჯდომარის და მდივნის მაგიერ თითონ კარტაშიანცი. სინამდვილეში კი ამ ოქმში ნაჩვენები სხდომა არც შემდგარა და არც ამხ. გრიგოლაშვილს მოუწერია ოქმზე ხელი. თანამშრომლების მიღება-დათხოვნაც ხდებოდა ისე, რომ ადგილკომის თავმჯდომარემ ამის შესახებ არაფერი იცოდა.

მიმდინარე თვის პირველ რიცხვებში ადგილკომის თავმჯდომარე ღებულობს კავშირის ც. გ.-ის სხდომის ოქმის ასლს, სადაც ნათქვამია, რომ მორიგეებს სადილები არ ეძლევათ და კლინიკაში პროფმუშაობა მოისუსტებსო. ამიტომ ც. გამგეობა ადგენს: მოხდეს ადგილკომის „ვადამდე გადარჩევა". გამოდის, რომ მორიგეებისთვის სადილის მიცემაზე ადგილკომს უნდა ეზრუნა. სრულებითაც არა. ეს ადმინისტრაციის საქმე იყო, მხოლოდ თუ უკანასკნელი არ დააკმაყოფილებდა მორიგე პერსონალს, იმ შემთხვევაში უნდა მიეღო ადგილკომს რაიმე ზომები, მაგრამ რას იზამდა ადგილკომის თავმჯდომარე, როდესაც მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. მით უმეტეს, რომ როგორც აღვნიშნეთ, ყველაფერი ადგილკომის თავმჯდომარესთან შეუთანხმებლად კეთდებოდა. რაც შეეხება პროფმუშაობის სისუსტეს, ამაზე უნდა ითქვას, რომ ადგილკომის თ-რე როგორ გააკეთებდა ადგილკომთან არსებულ ყველა კომისიების საქმეს, როდესაც თვითეული მათგანი არ მუშაობდა. თავმჯდომარე ყოველგვარ ზომებს ხმარობდა კომისიების მუშაობის გასაცხოველებლად, მაგრამ ინტრიგანობის გამო ვერას ხდებოდა. ამიტომ მართალი იყო კავშირის ც. გ.-ის თ-რე ამხ. ჯიჯაძე, როდესაც მან განაცხადა, რომ „საჭიროა ადგილკომის წევრების გადარჩევა"-ო, მაგრამ ითქვა ერთი და გაკეთდა მეორე.

ც. გ.-ის დადგენილების თანახმად კავშირიდან მოდის წარმომადგენელი აკოფოვი, რომელმაც უნდა გადაარჩიოს ადგილკომი, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, რადგანაც გადარჩევის საკითხი ჯერ უნდა გარჩეულიყო აქტივის სხდომაზე. ერთი კვირის შემდეგ კიდევ მოდის წარმომადგენელი კავშირიდან, მაგრამ კვლავ გადაიდო აქტივის სხდომა, რადგანაც ჯერ ბიუროში უნდა გარჩეულიყო საკითხი. მოდის წარმომადგენელი მესამედ. სხდომა ისევ გადაიდო. მოდის მეოთხეჯერ კავშირის წარმომადგენელი აკოფოვი, მაგრამ აქტივის სხდომა მაინც ვერ შესდგა. ბოლოს აქტივის სხდომაზე გაურჩევლად დასვეს ადგილკომის ვადამდე გადარჩევის საკითხი 17 ივნისის საერთო კრებაზე, რომელსაც დაბალი პერსონალის ძალიან მცირე ნაწილი დაესწრო. კავშირის წარმომადგენელმა აკოფოვმა სრულიად უპასუხისმგებლოდ განაცხადა კრებაზე, რომ ადგილკომი ერთ წერტილზე იყო გაჩერებულიო. ხარჯთაღრიცხვა არ იყო შედგენილი, სადილები არ ეძლეოდათ მორიგეებს და სხვა. ეს იმ დროს, როდესაც აკოფოვი სრულიად არ იცნობდა ადგილკომის მუშაობას და არც მოუსმენია მისი მოხსენება. ამნაირად მოხდა ადგილკომის თ-რის, ამხ. გრიგოლაშვილის თანამდებობიდან გადაყენება; რაც ნიშნავს ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების არცოდნას კავშირის წარმომადგენელის მიერ და მის დამახინჯებას მუშათა დაწინაურების საქმეში.

ყველას რომ ეპატიოს დაწინაურებულ მუშის ასე დაჩაგვრა, მედსანშრომის კავშირის ცენტრალურ გამგეობას მაინც არ უნდა ეპატიოს, რადგან მან სრულიად გამოუძიებლად და საქმის შეუსწავლელად გამოიტანა ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება. ეს ფაქტი ნათელჰყოფს იმას, რომ მუშათა დაწინაურების საქმე მედსანშრომის კავშირში ვერა სდგას სათანადო დონეზე.

დასასრულ სად იყო კომუჯრედი, რომელმაც წამოაყენა ამხ. გრიგოლაშვილი ადგილკომის თავმჯდომარეთ, რატომ არ უწევდა მას დახმარებას და არ აჯანსაღებდა ადგილკომს ინტრიგანებისგან.

ვ.

ვინ მოაწყო კვლავ სამსახურში

(სამტრედია)

სამტრედიის აბრეშუმის ძაფ-სახვევ ფაბრიკაში გამგის თანამდებობაზე მსახურობს მეტრე პავლეს ძე კუტუხიძე. გასულ წელს ეს ამხანაგი გახლდათ გომის თემის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ, მაგრამ მრავალ ბოროტმოქმედების გამო მოხსნეს იგი სამსახურიდან და სამ თვეს მოთავსებული იყო გამსახლში.

კუტუხიძე საშინლად ავიწროებდა ადგილობრივ მცხოვრებლებს; მეჯოგეებს ართმევდა ცხვრებს და გლეხებს ამუშავებდა საკუთარ საქმეზე. ამის შესახებ თავის დროზე იყო გაზეთში მოთავსებული წერილი, რის გამოც მოქ. კუტუხიძეს სათანადო სასჯელი ჰქონდა მისჯილი სამტრედიის სასამართლოს მიერ, მაგრამ კუტუხიძეს ეს სასჯელი არ მოუხდია. პირიქით, მეორე დღესვე კუტუხიძე ესტუმრა წითელი ჯვრის კომიტეტს და შემდეგ კი აბრეშუმის ძაფ-სახვევ ფაბრიკას გამგეთ მოევლინა.

საინტერესოა ვიცოდეთ; თუ კუტუხიძეს არ დაუმტკიცდა წაყენებული ბრალდება, რატომ არ მიიღო მან გაცდენილი თვეების ხელფასი?

აქ საქმე „ძმა-ბიჭობით" და პროტექციით უნდა იყოს მოწყობილი, მაგრამ ვფიქრობთ, მუშათა და გლეხთა ინსპექცია სათანადო ყურადღებას მიაქცევს ასეთ უმსგავსო მოქმედებას და მოქ. კუტუხიძეს მიუჩენს შესაფერ ადგილს.

მახვილი.

პროტექციის დაკანონება

პროტექციის მაგალითები ჩვენს სინამდვილეში ხშირი მოვლენაა, მაგრამ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც ცდილობენ პროტექციის გამართლებას და მის დაცვას არსებულ კანონის მიხედვით. ასეთი იშვიათი შემთხვევის მაგალითია მე-6 პროფსკოლის მასწავლებელ ვინმე ვართანოვას საქმე.

ვართანოვას, არა კავშირის წევრს, უმაღლესი აგრონომიული განათლებით და მატერიალურად უზრუნველყოფილ ოჯახიდან, თბილისის განათლების განყოფილება კავშირთან და ბირჟასთან შეუთანხმებლად ნიშნავს პრაქტიკის მასწავლებლად მე-6 პროფსკოლაში, იმ დროს, როდესაც ამავე სკოლაში პრაქტიკის მეორე მასწავლებელი მარტო 6 გაკვეთილზე იმყოფება.

ეს ფაქტი საკმარისი იყო იმისათვის, რომ კავშირს მოეხსნა სამსახურიდან პროტექციით მიღებული არაკავშირის წევრი, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ამით პროტექციონერებმა შესძლეს დანიშვნის ფაქტის დაფარვა 2 თვის განმავლობაში. შემდეგ, როცა გაიგო ვართანოვამ, რომ მას ადგილკომი მოხსნას უპირებს, პროფსაბჭოდან მოაქვს შემდეგი შინაარსის ოფიციალური ცნობა: „სამსახურიდან მოხსნისათვის საკმარისი არ არის მარტო არაკავშირის წევრობა"-ო. ამგვარად ხელშეუხებლობის უფლება ვართანოვას ქალმა უკვე მოიპოვა. მიუხედავად ამისა მე-40 ადგილკომმა ვართანოვას საკითხი ვერ მიატოვა უყურადღებოდ და ამის შესახებ ოფიციალურად აცნობა განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობას—ვართანოვას მოხსნაზე დასტურის მისაღებად. კავშირმა არავითარი გარკვეული პასუხი არ მისცა ადგილკომს. პირიქით გამგეობაში მომუშავე ზოგიერთი ამხანაგები აცხადებდნენ, რომ სამსახურიდან მოხსნა ადგილკომის ფუნქციებში არ შედისო.

ვართანოვა სამსახურში დაინიშნა 1928 წ. ნოემბერს. ამიტომ რამდენიმე თვის შემდეგ ადგილკომი იძულებული გახდა, თუ ვართანოვა არ მოიხსნებოდა სამსახურიდან. დაესვა საკითხი მისი კავშირში მიღების შესახებ. ასეც მოხდა, მაგრამ სკოლის თანამშრომლებმა კავშირში მიღებაზე უარი უთხრეს, როგორც სამსახურში პროტექციით მიღებულს, მატერიალურად უზრუნველყოფილს (ვართანოვას ქმრის შემოსავალი თვიურად 200—300 მანეთს აღწევს) და ამავე დროს ინტრიგანს. ამიტომ ცენ. გამგეობის 4 თებერვლის ცირკულიარის თანახმად, ადგილკომმა შუამდგომლობა აღძრა ც. გამგეობის წინაშე რათა ვართანოვა მოხსნილი ყოფილიყო სამსახურიდან როგორც არაკავშირის წევრი და პროტექციით მიღებული. მის ადგილზე კი ადგილკომი მოითხოვდა კავშირის უმუშევარი წევრის მიღებას. ცენტრ. გამგეობა შეპირდა ადგილკომს ვართანოვას სამსახურიდან მოხსნას, მაგრამ ეს დაპირებაც ქაღალდზე დარჩა. არაკავშირის წევრი ვართანოვა კვლავ განაგრძობს სამსახურს სკოლაში. ადგილკომმა ამის შემდეგ კიდევ ერთხელ დასვა საკითხი ვართანოვას შესახებ კავშირის წევრთა საერთო კრებაზე, მაგრამ კრებამ ერთხმად დაადგინა: „ამხ. ვართანოვას კავშირში მიღებაზე უარი ეთქვას და დაევალოს ადგილკომს თავისი დადგენილება ვართანოვას სამსახურიდან მოხსნის შესახებ მოიყვანოს სისრულეში". არც ამ დადგენილებით გამოვიდა რამე; ც. გამგეობის საორგანიზაციო განყოფილება დღესაც აცხადებს, რომ ვართანოვა მიღებული უნდა იქნეს კავშირში და დარჩეს სამსახურში.

რას იტყვიან ამის შესახებ სხვა ორგანიზაციები. ჯერ-ჯერობით არ ვიცით, მაგრამ ის კი ცხადია, რომ პროტექციის დაკანონებას უფლებას მუშათა და გლეხთა ინსპექცია არავის არ მისცემს.

ალ. კალაძე.

მეაბრეშუმეობა საქართველოში

მიუხედავად სტიქიური მოვლენებისა, აბრეშუმის მოსავალი საშუალოა

მეაბრეშუმეობა ვითარდება საქართველოს თითქმის ყველა რაიონებში

სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი

მეაბრეშუმეობა საქართველოს ზოგიერთ მაზრებში, როგორც მაგალითად: ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის და ლეჩხუმის მაზრებში ძველთაგანვე იყო საკმაოდ განვითარებული და მას გლეხის ბიუჯეტში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა.

იმპერიალისტური ომის და შემდგომ მენშევიკური წყობილების დროს ერთის მხრივ ბაზრების დაკეტვამ და მეორეს მხრივ მეაბრეშუმეობისადმი ხელისუფლების მიერ უყურადღებობამ მეურნეობის ეს მნიშვნელოვანი დარგი კატასტროფიულად დასცა და განადგურებამდი მიიყვანა.

სულ სხვა მდგომარეობა შეიქნა მეაბრეშუმეობისათვის საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ. საბჭოთა ხელისუფლებამ პირველ ყოვლისა ყურადღება მიაქცია მეაბრეშუმეობის საქმის აღდგენას, უდიდესი დახმარება აღმოუჩინა მეურნე გლეხებს როგორც კარგი ხარისხის თესლის მიწოდებით, ისე თუთის ხეების მოშენებით, პარკის ბაზრის გამონახვით, აგრონომიული სამსახურის გაწევით და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებები მარტო ამით არ ამოიწურება. თუ წინედ აბრეშუმის პარკის მოსავალი მხოლოდ საექსპორტო ნედლ მასალას წარმოადგენდა, ამჟამად ოზურგეთში, სამტრედიაში, ქუთაისში, ხონში და თელავში აგებულია და მთელი დატვირთვით მუშაობენ აბრეშუმის ძაფ-საღები და ძაფ-სართავი ქარხნები. ამ ქარხნების ამუშავებამ სამუშაო გაუჩინა რამდენიმე ათას ღარიბ მშრომელს. გარდა ამისა თბილისში მუშაობს აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, რომლის პროდუქცია თანდათან უმჯობესდება. თუ წინედ აბრეშუმის თესლის მთელი რაოდენობა საზღვარგარეთიდან შემოდიოდა, ამჟამად ის თითქმის საკმაო რაოდენობით მზადდება ადგილობრივ. საინკუბაციო სადგურების საშუალებით გლეხობას ურიგდება გამოსული ჭიის თესლი, რითაც საგრძნობლად მცირდება ჭიის წახდენის შემთხვევები და იზრდება მოსავლიანობა. ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეაბრეშუმეობა გარდა ზემოდ ჩამოთვლილ მაზრებისა ვითარდება აგრეთვე აჭარისტანში, შორაპნის, რაჭა-ლეჩხუმის, თბილისის, გორის და კახეთის მაზრებშიაც.

ასეთია მოკლედ ის მიღწევები, რომელიც მეაბრეშუმეობას აქვს საქართველოში.

მართალია წელს აბრეშუმის მოსავალი საგრძნობლად დააზიანა სტიქიურმა მოვლენებმა, მაგრამ საშუალოდ მოსავალი მაინც ნავარაუდევია 120—130 ათას ფუთამდე.

მომავალისათვის საჭიროა მეურნეობის ამ უდიდესი მნიშვნელობის დარგს მიექცეს კიდევ უფრო მეტი ყურადღება, რაც საგრძნობლად შეუწყობს ხელს მშრომელი გლეხობის ეკონომიურად მოღონიერებას და საბჭოთა რესპუბლიკის კეთილდღეობას.

ბ. ბ.

აბრეშუმის მოსავალი კახეთში

(წერილი კახეთიდან)

წინედ კახეთში ძალზე ნაკლები ყურადღება ექცეოდა მეაბრეშუმეობას და ამ კულტურულ მეურნეობის ერთი თვალსაჩინო დარგის ბედის ანაბარად იყო მიტოვებული. მას შემდეგ, რაც 1926 წელს, თელავში აშენდა აბრეშუმის ძაფ-სახვევი ქარხანა, პარტიის და ხელისუფლების მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეაბრეშუმეობის გავრცელებას.

უკვე დადასტურებულია, რომ კახეთში ზომიერი, მშრალი ჰავის და ნოყიერი ფურცლის მეოხებით, არა თუ ჭია კარგ მოსავალს იძლევა, არამედ აბრეშუმის პარკი მაღალი ღირსებისაა და საუკეთესო ძაფი გამოდის.

1926 წელში კახეთში მოსული აბრეშუმის პარკი 3—4 თვეს ძლივს ეყო თელავის ქარხანას, შემდეგ წლებში ეს ნედლი მასალა თანდათან მატულობს და წელს იმედია, რომ მთელი წლის საყოფი პარკი მოიწევა.

წელს სულ დარიგდა 6.600 კოლოფი ჭიის თესლი, შარშანდელთან შედარებით 2.600 კოლოფით მეტი. გაზაფხულიდანვე მთელი კახეთი მოიფინა აგროკულტურულ დარგის მუშაკებით, ყველა რაიონში მოეწყო ინკუბატორები ჭიის გამოსაყვანად, მეურნეებს მიეცათ ქაღალდი, თერმომეტრები და სხვა იარაღები უფასოდ.

ყველა ამან შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო. საერთოდ პარკის მოსავალი საშუალოზე მეტია. საორიენტაციო რიცხვი აღებულია კოლოფზე—1 ფ. 25 გ. პარკი, მაგრამ ჯერჯერობით საშუალოდ 2 ფუთს აღემატება, ხოლო არის ხშირი შემთხვევა, როცა კოლოფზე 3—4 ფუთი გამოდის.

გეგმით მთელ კახეთში უნდა დამზადდეს 9,800 ფუთი პარკი, მაგრამ ამ რიცხვს ბევრად გადააჭარბებს.

მოსახლეობას რომ გაუადვილდეს პარკის ჩაბარება, მთელი კახეთი დაყოფილია რაიონებად: შაშიანი, ენისელი, ვარდისუბანი, წნორი, ლაგოდეხი, ფშაველი და ახალ-სოფელი. ამ სოფლებში მოწყობილია მიმღებ-დამამზადებელი პუნქტები, სადაც პარკს იღებენ, გლეხებს მაშინვე აძლევენ ღირებულებას, ხოლო შემდეგ ორთქლებენ და იქვე საგანგებოდ აგებულ ფარდულებში ინახავენ. მიმღები პუნქტები დაარსებულია აგრეთვე გურჯაანში, ყვარელში, აწყურში, ახმეტაში და საბათლოში.

წელს პარკზე დადებულია შემდეგი ფასები: ყვითელი: 1 ხარისხის—28 მ. 32 კ. მე-2 ხ.—23 მ. 44 კ. და მე-3 ხ.—23 მ. 36 კ. თეთრი პარკი 1 ხარ.—25 მ. 44 კ., მე-2 ხარ. 22 მ. 40 კ. და მე-3 ხარ. 20 მან. 70 კ.

აღსანიშნავია, რომ ჭიის თესლის საფასურს კოლოფზე 2 მან. 75 კ. გლეხებს არ უხდიან. ამას გარდა ეძლევა ფართალი თითო ფუთ ჩაბარებულ პარკზე 12 მეტრი.

მართალია ჭიის თესლი დარიგდა გათვალისწინებულ თუთის ხეების მარაგის მიხედვით, მაგრამ უმრავლესობას საკვები მაინც შემოაკლდა, რის გამო ფურცლის ფასმა საგრძნობლად აიწია. თითო ხე იყიდებოდა 4—5 მანეთად. ამ გარემოებამ იმოქმედა აბრეშუმის პარკის თვითღირებულების გადიდებაზე. მომავლისათვის უნდა შევეცადოთ თუთის ხეების ფართოდ გავრცელებას.

ვან-ლი.

მეაბრეშუმეობა ჩვენშიაც ვითარდება

(ქედის მაზრა, აჭარისტანი)

გასულ წლებში მეაბრეშუმეობის განვითარებას ქედის მაზრაში ნაკლები ყურადღება ექცეოდა 1929 წლიდან კი საქართველოს აბრეშუმის ტრესტმა ქედის მაზრაში გამოაგზავნა ორი ინსტრუქტორი, რომლებიც აწარმოებენ საუბრებს გლეხობაში მეაბრეშუმეობაზე, ჭიის მოვლაზე და სხვ. სხვადასხვა სოფლებში მოეწყო საჩვენებელი საკვები პუნქტები, კერძოდ ასეთი პუნქტები მოეწყო ქედის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლაში და ცხმორისში. ქედაში აგებულ იქნა პარკის სახმობი ფარდული და მისი მოსახმარში დუშილი. გლეხობას მიაწოდეს ბროშურები მეაბრეშუმეობის შესახებ და სხვ.

გლეხობა საკმაოდ დაინტერესებულია მეაბრეშუმეობით, ვინაიდან აქ სხვა კულტურა ნაკლებად არის განვითარებული. მეაბრეშუმეობის სწრაფად განვითარებას ხელს უშლის თუთის ფოთლის ნაკლებობა. თუთის ხეების მოსაშენებლად აუცილებელია ნერგის რაოდენობის გადიდება. აბრეშუმის მოვლა ქედის მაზრის სოფლებში პრიმიტიული წესით სწარმოებს. მომავლისთვის საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს მეაბრეშუმეობის განვითარებას აჭარისტანში და კერძოდ ქედის მაზრაში.

ქედელი.

მეაბრეშუმეები სტიქიამ დააზარალა

(წერილი ქუთაისის მაზრიდან)

მეაბრეშუმეობას ქუთაისის და ოზურგეთის მაზრაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობაში. მეაბრეშუმეობის დარგით და მისი მოწევით დაინტერესებულია დიდი და პატარა, ყველა აღფრთოვანებით ეგებება მას. და არ ზოგავენ არავითარ ძალღონეს, რათა კარგად მოუარონ აბრეშუმის ჭიას და მეტი მოსავალი მიიღონ პარკის სახით.

ასეთ მეურნეობით დაინტერესებულ გლეხს თავისი წვლილი შეაქვს სახელმწიფოს ეკონომიურად აღორძინების საქმეში. მაგრამ დასავლეთ საქართველოს მეაბრეშუმეებს წელს სტიქიური მოვლენების გამო უბედურება დაატყდათ თავზე.

მეაბრეშუმეობით დაინტერესებულ გლეხობამ, გაიტანა იმდენი აბრეშუმის თესლი, რამდენიც ამისათვის თუთის ფოთოლი ეყოფოდა. (ყველა გლეხმა იცის, თუ რამდენ გრამ აბრეშუმის თესლს ყოფნის მისი ფოთოლი). გატანილი აბრეშუმის თესლი კარგი ღირსების შეიქნა, აბრეშუმის ჭია თვალწინ მიდიოდა, დიდ კანშიც კარგად ამოვიდა, გლეხობა გახარებული იყო აბრეშუმის ჭიის სიკარგით, მაგრამ სახარული უცებ სიმწუხარედ შეიცვალა.

ამოვარდა საშინელი ზენა ქარი, რომლის სიძლიერე არ ახსოვს რამოდენიმე ათეულ წლებში დასავლეთ საქართველოს გლეხობას.

ძლიერი ქარის შემდეგ თუთის ხეს შერჩა მხოლოდ მესამედი რაოდენობა იმ ფოთოლისა, რომელიც მას ჰქონდა.

გადასწყვიტეს მეაბრეშუმეებმა არ გადაყარონ აბრეშუმის ჭიები, მაგრამ ფოთოლი შემოაკლდათ, აბრეშუმის ჭია სანახევროთ მშივრები რჩებოდა. სოფ. დიდი-ჯიხაიშში იყო ისეთი შემთხვევები, რომ დღენახევრის, ორი დღის განმავლობაში ჭიას ფოთოლი ვერ მიაწოდეს, რადგან გასაყიდი ფოთოლიც არ იშოვებოდა. ვისაც კი ფოთოლი ჰქონდა გასაყიდი, ისინიც წარმოუდგენელ ფასს ადებდნენ და ფულს წინ და წინ თხოულობდნენ. ვერ ნახავთ ისეთ გლეხს, რომელსაც არ ჰქონდეს 20 მანეთიდან 40 მანეთამდე ფოთოლი ნაყიდი. ეს იმ დროს, როდესაც აბრეშუმი ზოგ ადგილას სულ გაფუჭდა და ზოგ ალაგას კი განახევრდა.

თუ კარგ მეაბრეშუმეს 4—5 ფუთ აბრეშუმის პარკი მოუწევდა წინად, წელს შეიძლება მას მოუვიდეს 1 ნახ., ან 2 ფუთი პარკი. ასეთ მეაბრეშუმეს კი ფოთოლი ნაყიდი აქვს არა ნაკლები 30 მანეთისა, ზოგსაც მეტი.

ამიტომ საჭიროა ასეთ დაზარალებულ მეაბრეშუმე გლეხობას აღმოეჩინოს დახმარება, აბრეშუმის პარკზედ ფასის მომატების სახით იქნება ეს, თუ სხვა რომელიმე წყაროდან. მომავლისათვის მეაბრეშუმეობის განვითარება მოითხოვს ამ მიმართულებით ეხლავე ზომების მიღებას.

ჯიხაიშელი.

შევინარჩუნოთ სესხის ობლიგაციები

გავაძლიეროთ საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ფონდი

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესრულება, რომელიც საფუძველია საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერებისა და სოციალისტური მშენებლობის განმტკიცებისა, თვით საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხის საქმეა. კაპიტალისტური ქვეყნები ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ ჩვენი ქვეყნის მეურნეობის განვითარებას და შეანელონ საერთოდ მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობა. ხუთწლიანი გეგმა, ეს არის მძლავრი დარტყმა ბურჟუაზიულ ქვეყნებზე. ამიტომ საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი მოვალეა ხელი შეუწყოს ამ გეგმის განხორციელებას და საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერებას. მუშათა კლასმა საკუთარი საშუალებით უნდა შექმნას ისეთი წარმოება, რომელიც მოგვცემს მანქანა-იარაღებს და სავსებით დააკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებებს.

სოციალისტური შეჯიბრება, ინდუსტრიალიზაციის სესხის გამოშვება და სხვა ღონისძიებები, აუცილებელი საშუალებაა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დასამყარებლად, ამიტომ საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ფონდის გასაძლიერებლად, სამუდამოდ ვსტოვებ 50 მანეთს ინდუსტრიალიზაციის მეორე ობლიგაციიდან მისი ვადის გასვლის შემდეგ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქირაქაძე ალექსანდრე, გომელაური მარო, ნიშნიანიძე დომენტი, ბაზინჯაგოვ არმენაკ, ბერია ლუკა, კაზაროვი ვასილი, ვისნიევსკი ლევან, კურაშვილი ვლადიმერ, კუპარაძე გიორგი, მურადოვ გარეგინ და ჯიოევი თედორე.

მხოლოდ მუშების აქტიური მონაწილეობით და მთელი ჩვენი საკუთარი ძალების მობილიზაციით შევძლებთ მთელი ასი პროცენტით შევასრულოთ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა და დავაჩქაროთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპი.

გ. ქვარაცხელია.

კოლექტიურად შევინახოთ ობლიგაცია

ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის ობლიგაციების გაყიდვამ ზოგიერთ მუშებისა და მოსამსახურეების მიერ უკანასკნელ ხანებში ფართო ხასიათი მიიღო. ამის მაგიერ, რომ მათ შეასრულონ საერთო კრებების დადგენილება ობლიგაციების კოლექტიურად შენახვის შესახებ, გამოაქვთ ეს ობლიგაციები და ანაღდებენ ნაღდ ფულზე. ამით ისინი ანგრევენ იმ შენობას, რომლითაც აშენებულია მათ მიერ შექმნილი ობლიგაციებით. აღსანიშნავია, რომ ხშირად ობლიგაციებს ჰყიდიან თვით აქტიური და პასუხისმგებელი მომუშავეებიც, რომლებიც საერთო კრებებზე სასტიკად ილაშქრებენ ობლიგაციების გაყიდვის წინააღმდეგ და მოითხოვენ მათ კოლექტიურად შენახვას სახელმწიფო სალაროში. ასეთი მაგალითები ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში ძალიან ბევრია და ამას უნდა გამოეცხადოს სასტიკი და ულმობელი ბრძოლა.

სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის განხორციელება სავსებით არის დამოკიდებული იმაზე თუ რამდენად ენერგიულ მონაწილეობას ღებულობენ მუშა-მოსამსახურენი სოციალისტურ მშენებლობაში და ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერებას. მუშები საკუთარი საშუალებებით ჰქმნიან ისეთ წარმოებას, რომელიც მოგვცემს საწარმოო ხელსაწყო იარაღებს. მძიმე ინდუსტრიის შექმნა და მისი განვითარება, აუცილებელი საშუალება არის სოციალიზმის განსახორციელებლად ჩვენს ქვეყანაში. მშრომელმა ხალხმა იცის ეს გარემოება და ამიტომ ყოველმხრივ ხელს უწყობს ჩვენი მეურნეობის განმტკიცებას.

ამ მხრივ კომკავშირელები მაგალითები უნდა იყვნენ სხვა მუშებისა. ისინი ყოველგვარ საშუალებას უნდა ხმარობდნენ იმისათვის, რომ ყველა მუშა ინარჩუნებდეს ობლიგაციებს. ლენინის რაიონის კომკავშირელებმა ამ მხრივ საუცხოვოდ ჩაიბარეს გამოცდები. თვითეულ უჯრედს, საერთო კრებებზე გამოაქვთ გადაწყვეტილება არა მარტო ინდუსტრიალიზაციის ობლიგაციების შენარჩუნებისა და მათი კოლექტიური შენახვის შესახებ, არამედ მუშებში საუბრებისა და აგიტაციის ჩატარების შესახებ ობლიგაციების შესანარჩუნებლად.

ამას წინად სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის სამჭედლო-საამქროს ახალგაზრდა ლენინელ კომკავშირელთა უჯრედის კრებამ, რომელსაც დაესწრო უჯრედის მთელი შემადგენლობა, იქონია მსჯელობა ამ საკითხზე და დაადგინა, რათა ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები შეინახონ კოლექტიურად. გარდა ამისა კრებამ ობლიგაციების ხელზე შენარჩუნების შეჯიბრებაში გამოიწვია ამავე ქარხნის სალითონო და სახარატო საამქროების და სახელმწიფო კინო-მრეწველობის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის უჯრედების წევრები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კომკავშირელები პირნათლად შეასრულებენ ამ დადგენილებას და დაუმტკიცებენ ყველას, რომ კომკავშირელები, როგორც სხვაგან, ისე ამ საქმეშიც, მაგალითები არიან ყველასი. კომკავშირელმა არ უნდა დაივიწყოს ის გარემოება, რომ მას თავისი საქციელით შეუძლიან ყოველმხრივ გავლენა მოახდინოს მუშათა ფართო მასებზე და კერძოდ ახალგაზრდობაზე. ამიტომ მათ შეგნებულად თავი უნდა შეიკავონ ობლიგაციების გაყიდვიდან და ამით ხელი შეუწყონ სოციალისტურ აღმშენებლობის წარმატებით დაგვირგვინებას.

ვ.

კოლექტიურად გაყიდეს

(მეორე ზეთ-სახდელი ქარხანა)

ქიმიკოსთა პროფკავშირის საქართველოს კომიტეტმა გაცხოველებით ჩაატარა კამპანია ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების ხელზე შენარჩუნების შესახებ, რამაც დიდი გამოძახილი ჰპოვა კავშირის წევრთა შორის. მუშათა საერთო კრებებს ქარხნებში გამოჰქონდათ დადგენილება ობლიგაციების კოლექტიურად შენახვის შესახებ. კავშირის ცენ. გამგეობა დარწმუნებული იყო იმაში, რომ ქარხკომები შეასრულებდნენ ამ დადგენილებებს და თითონ შეიქმნებოდნენ მაგალითები სხვა მუშებისათვის, მაგრამ ბევრგან ეს ასე არ მოხდა. თვით პასუხისმგებელ ამხანაგებმა დაარღვიეს საერთო კრების დადგენილება და კოლექტიურად გაყიდეს ობლიგაციები,—აი მაგალითი:

მეორე ზეთსახდელ ქარხნის ქარხკომის თავმჯდომარემ ამხ. ასლანოვმა თავისი ტექნიკური მდივანთან ამხ. სამადაშვილთან ერთად შეადგინა ობლიგაციების გამყიდველთა სია, სადაც სხვებთან ერთად ჩაეწერნენ კომუჯრედის და ა. ლ. კ. კ. უჯრედის მდივნებიც. ამგვარად კოლექტიური შენახვის მაგიერ თვით პასუხისმგებელ ამხანაგებმა კოლექტიურად გაყიდეს ობლიგაცია. რასაკვირველია ამათ გამოეხმაურა როგორც უპარტიო ისე პარტიული მუშებიც და დაიწყო ობლიგაციების მასიური გაყიდვა. ეს იქიდან სჩანს, რომ 4.950 მან. ობლიგაციიდან დარჩა, მხოლოდ 1800 მან. ობლიგაცია.

ქარხნის პატიოსანი მუშები, რომლებიც პირნათლად ასრულებენ საერთო კრების დადგენილებას და კოლექტიურად ინახავენ ობლიგაციას, დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ პასუხისმგებელი ამხანაგების მიერ ობლიგაციის კოლექტიურად გაყიდვის გამო. ამ საკითხზე იქონია მსჯელობა ქიმიკოსთა პროფკავშირის საქ. კომიტეტმა და დაადგინა, ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. ასლანოვი გამოყვანილი იქნეს ქარხკომის შემადგენლობიდან, რის შესახებაც საკითხი დაისვას საერთო კრებაზე. გარდა ამისა წინადადება მიეცა ზეთსახდელ ქარხნის ქარხკომს, რათა ამხ. სამადაშვილი მოხსნილი იქნეს ქარხკომის აპარატიდან. მუშა-მოსამსახურეთა 10 ივლისის საერთო კრებამ მოიწონა კავშირის გადაწყვეტილება და კიდევ ერთხელ დაადგინა რათა ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციის ხელზე შენარჩუნების მიზნით კოლექტიურად იქნეს შეტანილი ბანკში. რამოდენიმე მუშამ კრებაზევე განაცხადა, რომ მას მთლიანად შეაქვს შეძენილი ობლიგაცია ბანკში შესანახად.

დ. ჩიტაძე.

საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის დღე

თბილისის მუშები მოითხოვენ წელიწადში ერთი უქმე დღის საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის დღეთ გამოცხადებას

ამხ. იაგორა ტორიკაშვილი

(სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხანა)

ლენინგრადელი მუშის ხლაბოდჩიკოვის წინადადება ერთ-ერთი დღის ინდუსტრიალიზაციის დღეთ გამოცხადების შესახებ სავსებით მიზანშეწონილი და დროულია. ჩვენ, სტალინის სახელობის შემკეთებელი ქარხნის მუშები აღფრთოვანებით უნდა შევეგებოთ ჩვენი ძმე მუშების მოწოდებას და მხურვალე მონაწილეობა უნდა მივიღოთ ინდუსტრიალიზაციის ფონდის გაძლიერების საქმეში.

წელიწადში ერთი დღის ინდუსტრიალიზაციის დღეთ გამოცხადება, რომელიც მოგვცემს საკმაოდ ბევრ თანხებს, საუცხო საშუალებაა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გასაძლიერებლად და სოციალისტური მშენებლობის განსამტკიცებლად. ასეთ დღეთ მე ვფიქრობ და უმჯობესიც იქნება ჩვენში გამოცხადებული იქნეს 20 სექტემბერი. ეს დღე უნდა გადაიქცეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა ზეიმათ. ამიტომ ამავე დღეს ყველა კლუბებში და თეატრებში უნდა გაიმართოს მუშებისათვის უფასო წარმოდგენები და გასართობები.

მეხუთე სტამბის მუშები ინდუსტრიალიზაციის დღის შესახებ

გუშინ მუშაობის დამთავრების შემდეგ პოლიგრაფტრესტის მეხუთე სტამბაში შესდგა ამავე სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის დღის შესახებ. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა ამხ. ს. ელიაძემ, რომელმაც დახასიათა სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა და, აღნიშნა, რომ საჭიროა ხელი შეუწყოთ მძიმე მრეწველობის განვითარებას, რათა თავი დავაღწიოთ კაპიტალისტური ქვეყნების გავლენას და სწრაფი ტემპით წარვმართოთ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახ. მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელება ხელისუფლებისა და მუშათა კლასისაგან მოითხოვს დიდ ენერგიას და საკუთარი ძალების მობილიზაციას. მუშათა კლასმა უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ დიდად მნიშვნელოვან ამოცანის გადაჭრაში და ამხ. სლაბოდჩიკოვის წინადადებამ ინდუსტრიალიზაციის დღის შემოღების შესახებ ცოცხალი გამოძახილი ჰპოვა მუშათა ფართო მასებში.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც აღფრთოვანებით იწონებს ამხ. სლაბოდჩიკოვის წინადადებას და მოითხოვს ინდუსტრიალიზაციის დღის დაწესებას. მაგრამ რადგანაც 6 აგვისტო ჩვენში არ ითვლება დასასვენებელ დღეთ, კრება საჭიროდ სთვლის ინდუსტრიალიზაციის დღეთ სხვა რომელიმე უქმე ან დასასვენებელი დღის გამოცხადებას.

ამხ. ზ. პავლიაშვილი

(რკ. გზის მოძრაობის დარგი)

ვემხრობი ამხ. ხლამილჩიკოვის წინადადებას ერთ-ერთი დასასვენებელი დღის ინდუსტრიალიზაციის დღეთ გამოცხადების შესახებ. ეს წინადადება აუცილებლად უნდა გატარდეს ჩვენშიაც, მაგრამ რადგანაც 6 აგვისტო ჩვენში დასასვენებელ დღეთ არ ითვლება ხოლო ზაფხულის სხვა უქმე და დასასვენებელი დღეები თბილისის მუშებისათვის საჭიროა დასასვენებლად და ექსკურსიების მოსაწყობად, ამიტომ მოსაწონია ამხ. ვ. ბარბაქაძის წინადადება და მიზანშეწონილად მიმაჩნია 20 სექტემბერი გამოცხადებული იქნეს ინდუსტრიალიზაციის დღეთ, მით უმეტეს, რომ ეს დღე თავის თავად რევოლიუციონური დღეა.

ამხ. ვლ. ურუშაძე

(მეხუთე სტამბა)

ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლების გარდაქმნას, ახალი ფაბრიკა-ქარხნების აღმშენებლობა და სხვა, მშრომელი ხალხისაგან მოითხოვს დიდ შრომას და ენერგიას. სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის მთელი ასი პროცენტით შესრულება თავდებია იმის, რომ მშრომელი ხალხი შესძლებს საკუთარი საშუალებებით შექმნას მძიმე ინდუსტრია და ამ მხრივ გაუსწროს ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამ მიზნით ინდუსტრიალიზაციის დღის შემოღება დროული და მიზანშეწონილია.

რუსეთში 6 აგვისტო გამოაცხადეს ამ მიზნისათვის. ჩვენში კი ზოგიერთი მუშები 20 სექტემბერს ასახელებენ. უდავოა, რომ დასასვენებელი დღის გამოყენება ამ დღისათვის არ იქნება მიზანშეწონილი. სამუშაო დღის გამოყენება კი ჩვენ არ შეგვიძლია... ამიტომ 20 სექტემბერი—უფრო მისაღებია ინდუსტრიალიზაციის დღისათვის, ვიდრე სხვა რომელიმე დღე. 20 სექტემბერი იქნება საუკეთესო ძეგლი იმ ბაქოს დაღუპულ ამხანაგებისათვის, რომლებიც დაეცენ რევოლიუციისათვის ბრძოლის ველზე.

ამხ. ა. თავბერიძე

(რკ. გზის თბილისის სადგურის მტვირთავი მუშა)

სავსებით ვემხრობი ამხ. სლაბოდჩიკოვის წინადადებას ინდუსტრიალიზაციის დღის შესახებ, ვინაიდან იგი დროული და მიზანშეწონილია. მუშათა კლასი მოვალეა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ჩვენი ქვეყნის მეურნეობის განვითარებას და ხუთწლიანი გეგმის მთლიანად შესრულებას, რათა რაც შეიძლება მალე დავაღწიოთ თავი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ გავლენას. მუშათა კლასს შეუძლიან მარტო პოლიტიკური ძალაუფლების ხელში აღება, არამედ მას სძლიოს კაპიტალისტურ მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა. შორს აღარ არის ის დრო, როდესაც მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი ჩაუდგება სათავეში მსოფლიო მეურნეობას და მის ებლანდელ კაპიტალისტურ სახეს შესცვლის სოციალისტურად.

ამასთანავე ვიწონებ ზოგიერთ ადგილობრივი ამხანაგის წინადადებას ინდუსტრიალიზაციის დღეთ 20 სექტემბრის გამოცხადების შესახებ.

საჭიროა აგრეთვე მუშათა კლუბებმა ეს დღე აღნიშნონ საზეიმო პროგრამებით და საშუალება მისცენ მუშაობიდან დაბრუნებულ მუშებს კულტურულად გაატარონ შრომის ზეიმის დღის საღამო.

ამხ. მ. ანდრუიკოვიჩი

(რკინის გზის მუშა)

სიამოვნებით გავეცანი ამხ. სლაბოდჩიკოვის წინადადებას ინდუსტრიალიზაციის დღის დაწესების შესახებ. მუშათა კეთილდღეობა სავსებით დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებაზე. ამ მიზნის განსახორციელებლად კი აუცილებლად საჭიროა სპეციალური ფონდის შექმნა, რომლის ინიციატივაც უსათუოდ მუშებისაგან უნდა გამომდინარეობდეს.

მოსაწონია აგრეთვე ამხ. ვ. ბარბაქაძის წინადადებაც ინდუსტრიალიზაციის დღეთ 20 სექტემბრის გამოცხადების შესახებ. ჩემის აზრით საჭირო იქნება ამ დღეს დაბეგრილი იქნენ საბჭოთა კავშირის ყველა არა მშრომელი ელემენტები.

რა ხდება ადგილებზე

ხელისშემწყობი კომისიები

ქუთაისი, 12 ივლისი. ქუთაისის ქარხნებსა და ფაბრიკებში და დიდ დაწესებულებებში მოეწყო სპეციალური კომისიები, რომლებიც სააგიტაციო კამპანიას ჩაატარებენ სახელმწიფო სესხების გასავრცელებლად და ობლიგაციების შესანარჩუნებლად. ამ კომისიების შემადგენლობა არჩეული იქნება საერთო კრებებზე (ადს).

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ქუთაისი, 12 ივლისი. მაზრაში გაჩაღდა კამპანია მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემული ახალი კანონის პოპულარიზაციისათვის. გადასახადით დამბეგრავ კომისიაში შედიან ღარიბთა წარმომადგენელნი. (ადს).

როგორ გავადიდოთ მოსავლიანობა

ქუთაისი, 12 ივლისი. ქუთაისში მოხდა აგრონომიული თათბირი, რომელმაც მარცვლეულ და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად მრავალი ღონისძიება დასახა. თათბირის აზრით, ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს მოსავლიანობის გასადიდებლად წარმოადგენს მიწადმოწყობის დამთავრება. განსაკუთრებული ყურადღება თათბირმა მიაქცია თესლცვლას. აგრეთვე ნაადრევ თესვის შემოღებას (ადს).

მოსავალი

ქუთაისი, 12 ივლისი. მოსავალს ქუთაისის მაზრაში ასეთი პირი უჩანს: სიმინდი—3 ნიშანი, ყურძენი—3,5, ბამბა—2,5, სათიბი—2,4, ბოსტნეული—2,8; ხეხილი—2,6, თამბაქო—

მზადება საბჭოთა აპარატის წმენდისათვის

ბათომი, 12 ივლისი. კომკავშირის აჭარისტანის საოლქო კომიტეტი შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას სახელმწ. აპარატის წმენდისათვის. ამ მიზნით მოწვეული იქნება კომკავშირის ქალაქის აქტივის თათბირი. წმენდის საკითხი ამავე დროს დამუშავებულ იქნება მსუბუქი კავალერიის ჯგუფების თათბირზე. იმართება პარტიელთა და კომკავშირელთა გაერთიანებული კრებები მომავალი მუშაობის დეტალურად გასაშუქებლად და გასაცნობად

წყალსადენები სოფლად

ბათომი, 12 ივლისი. აჭარისტანის წყალთა მეურნეობის სამმართველომ გადასწყვიტა—აგოს წელს წყალსადენი სოფლებში. ზემო აჭარაში გაყვანილი იქნება 12 ახალი სარწყავი არხი, 184 კილომეტრის მანძილზე. ეს არხები მორწყავენ 3.200 ჰექტარ მიწას. ამ სამუშაოებისათვის გამოთხოვილია 164.000 მანეთი.

სამეცნიერო ექსპედიცია

ცხინვალი, 12 ივლისი. სამხრეთ-ოსეთის ცაკის ინიციატივით, მეცნიერებათა საკავშირო აკადემიამ მოაწყო სპეციალური სამეცნიერო ექსპედიცია სამხრეთ-ოსეთში ამ მხარის ყოველმხრივ გამოსაკვლევად.

ექსპედიციის ამოცანას შეადგენს სამხრეთ-ოსეთის ტყეების, საძოვრების და სათიბების მდგომარეობის შესწავლა. ექსპედიცია მოახდენს გეოლოგიურ გამოკვლევასაც სამხრეთ-ოსეთის ზოგიერთ ხეობაში. ექსპედიცია გამოიკვლევს აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის მინერალურ წყაროებს (ადს).

პროფმუშაობის გასაუმჯობესებლად

სამთამადნო მუშათა კავშირის აპარატის რეორგანიზაცია ჭიათურაში

ჭიათურის სამთამადნო მრეწველობის ზრდასთან ერთად ჭიათურაში იზრდება მუშათა ხელის, და მაშასადამე სამთამადნო მუშათა კავშირის წევრთა რაოდენობაც. მაგრამ მაღაროების გეოგრაფიული მდებარეობის გამო კავშირის წევრებისათვის სამსახურის გაწევა საგრძნობლად გართულებულია, რადგან ძირითადი უჯრედის მიერ გაერთიანებული მაღაროები საგრძნობლად დაშორებულია ერთმანეთისაგან და ამას გარდა მაღაროების კომიტეტები აპარატის სისუსტის გამო სათანადოთ ვერ მუშაობენ და ვერც საჭირო ავტორიტეტით სარგებლობენ.

კავშირის წევრებისათვის სამსახურის გაწევა ხდება უმთავრესად კავშირის რაიონული კომიტეტის საშუალებით, რომელიც ასრულებს ძირითადი უჯრედის ფუნქციებს. ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს.

საკავშირო აპარატის წარმოებასთან და კავშირის წევრთა მასასთან დასაახლოვებლად, სამთამადნო მუშათა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შეიმუშავა საკავშირო აპარატის რეორგანიზაციის გეგმა, რომელიც დასამტკიცებლად გადაუგზავნა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს და საქ. პროფსაბჭოს.

ცენტრ. გამგეობა კავშირის ცენტრ. კომიტეტისათვის გაგზავნილ წერილში ეხება ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სტრუქტურას და აღნიშნავს, რომ ტრესტი შესდგება ტრესტისა სამმართველოსა და 4 რაიონულ სამმართველოებისაგან, რომლებიც თავის მხრივ იყოფი ან სექციებათ, ქარხნებათ და მაღაროებათ.

ამისდამიხედვით კავშირი შესაძლებლად სთვლის მოწყობილი იქნეს ტრესტის რაიონულ სამმართველოებთან თითო გაერთიანებული ქარხკომი, თვითეულ მაღაროში და ქარხანაში კი გამოყოფილი იქნეს რწმუნებული. ასეთი ორგანიზაცია კავშირის აპარატს დაუახლოვებს მუშათა მასებს და გააუმჯობესებს მათთვის სამსახურის გაწევის საქმეს. გაერთიანებულ ქარხკომების მუშების ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარდა საშუალება ექნებათ დაამუშაონ სერიოზული საკითხებიც (საწარმოო პროგრამები, ხელფასის დაკავშირება შრომის ნაყოფიერებასთან ცალკე მსხვილი სამუშაოების შედეგების გამორკვევა და სხვა).

ასეთ პირობებში ქარხკომის ავტორიტეტი გაიზრდება როგორც მუშების, ისე სამმართველოს თვალში, რაც გაადვილებს მსხვილი საკითხების გადაწყვეტას.

დასასრულ, კავშირი აღნიშნავს, რომ საკავშირო აპარატის ასეთი ორგანიზაცია შეამცირებს ხარჯებს და საშუალებას მისცემს კავშირს მოთავსდეს თავისი ფინანსიურ შესაძლებლობის ფარგლებში.

სტუდენტები საზაფხულო პრაქტიკაზე

რათა უმაღლესი სასწავლებლების მიერ საზაფხულო პრაქტიკაზე გაგზავნილი სტუდენტები გამოყენებულ იქნენ მივლინების მიზნებისა და მიხედვით, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა წინადადება მიეცეს ყველა იმ სახელმწიფო დაწესებულებას და კოოპერაციულ და სხვა ორგანიზაციას, სადაც მივლინებულ იქნებიან სტუდენტი-პრაქტიკანტები საზაფხულო პრაქტიკის ჩასატარებლად, ამ სტუდენტ-პრაქტიკანტების სამუშაოზე დანიშვნის დროს მხედველობაში იქონიონ მათი მივლინების მიზანი.

სტუდენტ-პრაქტიკანტების საზაფხულო პრაქტიკა უნდა სწარმოებდეს ისეთი პროგრამის მიხედვით, რაც მიცემული იქნება სტუდენტ-პრაქტიკანტს უმაღლესი სასწავლებლის მიერ იმ დაწესებულებასა და საწარმოსთან შეთანხმებით, ვის განკარგულებაშიაც იგი მივლინება.

წინადადება მიეცა განათლების სახალხო კომისარიატს — შეიმუშაოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების საზაფხულო პრაქტიკის საერთო პროგრამა 1929 წლისათვის.

ლიტერატურის მიწოდება წიგნის პალატისათვის

რათა საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებსა და წიგნთსაცავებს მიეწოდოს გაცვლის წესით უცხოეთის ლიტერატურა, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მიეცეს საქართველოს წიგნის პალატას უფლება თავის გასაცვლელი ფონდისათვის უსასყიდლოდ მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე დაბეჭდილი ყველა გამოცემა—თვითეულის არა უმეტეს ხუთი ცალისა.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი გამომცემლობა, მათ შორის სახელმწიფო და საუწყებოც, მოვალეა საქართველოს წიგნის პალატისათვის შეინახოს, ერთი წლის განმავლობაში დღიდან გამოსვლისა, ყოველგვარი ბეჭდვითი ნაწარმოების ხუთ-ხუთი ცალი და გადასცეს წიგნის პალატას უსასყიდლოთ პირველ მოთხოვნისთანავე.

ის ბეჭდვითი ნაწარმოებნი, რომელთა მიმართ ზემოთ აღნიშნული ვადა გასულია, აგრეთვე ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე დაბეჭდილი გამოცემანი უნდა გადაეცეს საქართველოს წიგნის პალატას მისი მოთხოვნისთანავე, უკეთუ ეს გამოცემანი აღმოჩნდებიან გამომცემლობის საწყობებში ან მაღაზიებში.

უკრაინელი მწერლები თბილისში

ამხ. დან სოტნიკი

—:—

თბილისში ჩამოვიდნენ უკრაინელი მწერლები, კომუნისტური კულტურის მუშაკთა სრულიად უკრაინის ასოციაციის წევრები—ამხ. ოლექსი პოლტორაცკი და დან სოტნიკი. მათი ჩამოსვლის მიზანია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გაცნობა ამიერ-კავკ. მოსახლე ერთა ყოფა-ცხოვრების შესწავლა და მსხვილი სამრეწველო რაიონების დათვალიერება. ამასთანავე მათ დავალებული აქვთ კომუნისტური კულტურის მუშაკთა ასოციაციიდან მტკიცე კონტაქტი დაამყარონ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციასთან.

უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობიდან და უკრაინის განათლების სახალხო კომისარიატიდან მათვე დავალებული აქვთ დასწერონ წიგნი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შესახებ.

ხსენებული ამხანაგები თბილისში დარჩებიან ხუთი დღე, რის შემდეგაც ისინი გაემგზავრებიან აზერბეიჯანში, შემდეგ სომხეთში, საიდანაც ხელახლად ჩამოვლენ საქართველოში და დაივლიან დასავლეთ საქართველოს უმთავრეს ქალაქებს და სამრეწველო რაიონებს.

საჭიროა უკრაინის და საქართველოს მწერალთა დაახლოება

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ოლ. პოლტორაცკიმ და სოტნიკმა განაცხადეს:

— ამჟამად აქტუალურად სდგას საკითხი საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ერთა მწერლების დაახლოების შესახებ. ამ მხრივ ადგილი აქვს მნიშვნელოვან მიღწევებსაც: უკრაინელ მწერლებსა და რუსეთის მწერლებს შორის ასეთი დაახლოება უკვე მოხდა. რუსი მკითხველებისათვის უკრაინული მწერლობის გაცნობის მიზნით რუსულ ენაზე ითარგმნება უკრაინელ მწერალთა რჩეული ნაწარმოებები. ჩვენ გვინდა, რომ ასეთივე დაახლოებას ადგილი ჰქონდეს ამიერ-კავკასიის ერთა მწერლებს შორისაც, რაც მეტად სასიხარულო ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენი ჩამოსვლის მიზანი, სხვათაშორის, იმაშიაც მდგომარეობს, რომ ნიადაგი მოუმზადოთ უკრაინისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების დაახლოებას. პირველ რიგში ჩვენ ვფიქრობთ მჭიდრო კონტაქტი დავამყაროთ საქართველოს პროლეტარულ და, საერთოდ, ე. წ. მემარცხენე ფრონტის მწერლობასთან.

საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ უნდა განვაცხადოთ, რომ არ მოველოდით თუ ჩვენ აქ ვნახავდით ისე ფართო მასშტაბის აღმშენებლობას, როგორსაც ადგილი აქვს. მეორეს მხრივ აღსანიშნავია საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მიღწევებიც. ქართულმა კომუნისტურმა გაზეთებმა შესძლეს მშრომელი მოსახლეობის ფართო მასებში შეჭრა. უკრაინამ ამ მხრივ მაგალითი უნდა აიღოს საქართველოდან. უკრაინაში, სადაც მოსახლეობა ხუთმეტჯერ უფრო მეტია, ვიდრე საქართველოში, გაზეთების ტირაჟი თითქმის უფრო ნაკლებია, ვიდრე აქ.

ამხ. ოლ. პოლტორაცკი

—:—

დასასრულ ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, უკრაინის განათლების კომისარიატის დავალების თანახმად დავსწეროთ წიგნი ამიერ-კავკასიის განვითარებისა და აღორძინების სურათი, სხვადასხვა ერთა ყოფა-ცხოვრება და ამასთანავე შევეცდებით უკრაინელ მკითხველს გადავსცეთ მშენებლობის ის პათოსი, რომელსაც ადგილი აქვს ამიერ-კავკ. მშრომელ მოსახლეობაში.

წიგნის მუშაკთა საკავშირო თათბირის დადგენილებანი

ოც ივნისს მოსკოვში გაიხსნა წიგნის მუშაკთა საკავშირო პირველი თათბირი, რომელსაც განსახილველი ჰქონდა წიგნის გამოცემასა და გავრცელებასთან დაკავშირებული მრავალი საჭირბოროტო საკითხი.

თათბირი იმდენად საინტერესო გამოდგა, იმდენად მნიშვნელოვანი იყო მის მიერ აღძრული საკითხები და გამომუშავებული ღონისძიებანი, რომ თათბირის მუშაობის მთლიანი სურათის აღნუსხვა ერთ წერილში მეტად ძნელია.

ამიტომ მე იძულებული ვარ მკითხველის ყურადღება შევაჩერო თათბირის მუშაობის მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან მხარეზე—ესაა საბჭოთა კავშირში შემავალ სხვადასხვა ერთა კულტურული მუშაობის საკითხი საგამომცემლო სფეროში.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია იქვე მოწყობილი წიგნის გამოფენა, რომელიც წარმოადგენდა გასაოცარ სურათს. ზედმეტია ლაპარაკი რუსეთის სახელგამზე, რომლის გრანდიოზული მიღწევები საკამათო აღარაა. მაგრამ არა ნაკლებ გრანდიოზულ სურათს წარმოადგენდა გამომცემლობის ნიმუშები იმ ხალხებისა, რომელნიც რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკით გადაგვარების საზღვარზე იდგნენ.

ის ერები კი, რომელთაც ოქტომბრის რევოლიუციამდე საკუთარი ანბანიც კი არ ჰქონდათ, ხოლო დღეს რევოლიუციამ მათ ანბანიც შეუქმნა და სტამბის დაზგაც, ის ერები, რომელთაც რევოლიუციამდე წერა-კითხვის მცოდნე კაცი არ მოეპოებოდათ, ხოლო დღეს მათი წარმომადგენელნი დედა-ენაზე კითხულობენ ლენინს, ამ ერების ბეჭდვითი ნაწარმოების ხილვა სტოვებდა ადამიანზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას.

მაგალითად, უკრაინაში მეფის დროს 107 წლის განმავლობაში გამოცემულა სულ 1.950 წიგნი. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი მხოლოდ უკანასკნელი 5 წლის მანძილზე დაბეჭდილა 10.000 სახელწოდების წიგნი 140 მილიონი ტირაჟით.

ასეთივე სურათი იშლება სხვა ეროვნებათა საგამომცემლო დარგშიაც.

თათბირმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რუსეთის იმპერიის მიერ დაჩაგრულ ერთა შორის განსაკუთრებულის ენერგიით უნდა სწარმოებდეს კულტურული მუშაობა, ამ მუშაობას ყოველმხრივ უნდა შეუწყოთ ხელი საკავშირო მასშტაბით და ის დარღვეული წონასწორობა, რომელიც არსებობს კავშირში შემავალ სხვადასხვა ერთა შორის კულტურული დონის მხრივ—სასწრაფო წესით უნდა იქნას გამოსწორებული, რათა ჩამორჩენილი ერები წამოეწიონ კულტურულად უფრო მაღლა მდგარ ხალხებს.

გარდა ამისა თათბირის მუშაობაში აღსანიშნავია შემდეგი მომენტი. ყრილობის მიერ არჩეულმა სპეციალურმა დელეგაციამ ამხ. მიქოიანთან ისაუბრა 3 საათის განმავლობაში. ამ საუბრის შედეგად მივიღეთ ამხ. მიქოიანის დაპირება, რომ დელეგაციის მიერ აღძრულ საკითხებს ვაჭრობის კომისარიატი დაამუშავებს და წარადგენს საკავშირო მთავრობას დადგენილების პროექტის სახით.

საკითხები კი, რომელიც დელეგაციამ აღძრა შემდეგია: პოლიგრაფიული ბაზის მოწესრიგება-გაუმჯობესება, განსაკუთრებით მცირე რესპუბლიკებში.

საბეჭდი ქაღალდის უფრო მიზანშეწონილად დანაწილება სათანადო ცენტრალურ დაწესებულებების აპარატის მიერ.

საბანკო კრედიტის მძიმე პირობების შემსუბუქება.

ქაღალდის სინდიკატისა და საგამომცემლო ორგანიზების ურთიერთობის მოწესრიგება.

გამომცემლობებისათვის ბინების ქირის განსაზღვრის დროს შეღავათების დაწესება.

რკინის გზის და საფოსტო ტარიფის შემცირება ბეჭდვითი სიტყვის პროდუქციაზე.

რუსული წიგნით ვაჭრობის საქმის მოგვარება, რუსული წიგნის გავრცელების დავალება ადგილობრივ სახელგამებისა და კოოპერაციისათვის და სხვ.

მე აღარ შევჩერდები სხვა საკითხებზე, თუმცა მათი მნიშვნელობა საგამომცემლო საქმისათვის მეტად დიდია, მაგალითად კადრების აღზრდა, შრიფტები და სხვ.

შევეხები მხოლოდ კოოპერაციის როლს წიგნის გავრცელების საქმეში, ვინაიდან ჩვენი კოოპერაცია ამ მხრივ დიდ გულგრილობას იჩენს.

პირდაპირ გასაკვირი იყო, როცა ვხედავდით რუსეთის მომხმარებელისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენელთა ბრძოლას იმის შესახებ თუ რომელი მათგანი უფრო მეტ წიგნს ავრცელებს და ვის აქვს მეტი უფლება წიგნის გავრცელებაზე მუშაობისა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ცენტროსოიუზმა წიგნის გავრცელების საქმის წინასწარი ორგანიზაციისთვის 4 მილიონ მანეთამდე გადასდო. ჩვენი კოოპერაცია კი მეტად ზანტობს ქართული წიგნის გავრცელების საქმეში. დროა, ბოლოს და ბოლოს, მან შესცვალოს თავისი უარყოფითი შეხედულება ამ საგანზე.

დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო ერთი მუხლი იმ ძირითად რეზოლიუციიდან, რომელიც მიღებულ იქნა ვაჭრობის კომისარიატთან არსებულ ბეჭდვითი საქმის კომიტეტის მოხსენების გამო და რომელიც შეეხება ეროვნულ გამომცემლობებს:

„ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლება, ხელს უწყობს ეროვნული კულტურის ზრდას. ამ ზრდის უზრუნველსაყოფად საჭიროა ეროვნულ გამომცემლობათა მაქსიმალური განვითარება. ეს გამომცემლობანი, რომელნიც ვითარდებიან ეროვნულ სახელგამების სახით, უნდა აკმაყოფილებდნენ ეროვნულ რესპუბლიკებსა, თუ ოლქებს ყოველგვარი ლიტერატურით. თათბირი დამაკმაყოფილებლად სთვლის ბეჭდვით საქმის კომიტეტის მიერ აღებულ ხაზს ეროვნულ გამომცემლობათა განვითარების ტემპის მიმართ, რომელიც უნდა იყოს უფრო ინტენსიური, ვიდრე საკავშირო საგამომცემლო მეურნეობის განვითარების საშუალო ტემპი, რათა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ უფრო ჩამორჩენილ ერთა კულტურის დონემ აიწიოს უფრო განვითარებულ და მოწინავე ერთა კულტურის დონემდე.

ეროვნულ რესპუბლიკებში წიგნის გამავრცელებელი ძირითადი სისტემა არის ეროვნული სახელგამებისა და კოოპერაციის ქსელი. მოწესრიგებულ ორგანოებმა და საგამომცემლო ორგანიზაციებმა ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიოს ამ ქსელის განვითარებასა და განმტკიცებას.

სხვა რესპუბლიკათა გამომცემლობანი უნდა ავრცელებდნენ თავის პროდუქციას ეროვნული სახელგამებისა და კოოპერაციის ქსელის საშუალებით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს ქსელი დამაკმაყოფილებლად ვერაა განვითარებული, ამ რესპუბლიკებს შეუძლიათ იქონიონ ეროვნულ რესპუბლიკათა ტერიტორიებზე თავიანთი წარმომადგენლობანი დახურული ბაზის სახით.

ეს დადგენილება ერთხელ კიდევ აშკარად ჰყოფს იმას, თუ რა მკვიდრ ნიადაგზეა დამდგარი საბჭოთა კავშირში შემავალი ერთა კულტურული განვითარების საქმე და რამდენად უნიადაგოა არამკითხე პატრიოტთა „ცრემლთადენანი" იმის შესახებ, რომ ჩვენი კულტურის წინსვლას საფრთხე მოელის და სხვა ასეთ გვარი წუწუნი.

მეორე ყრილობა, რომლის მოწვევაც განზრახულია შემოდგომაზე და რომელიც განიხილავს საგამომცემლო საქმის უფრო სპეციფიურ საკითხებს, ალბად, მეტ შედეგებს მოგვცემს და მას უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება ამ საქმის ყოველმხრივად განვითარებისათვის.

ნიკოლოზ მიწიშვილი.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სრ. საქარ. ყრილობა

გაიხსნება

სამშაბათს, 16 ივლისს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს ახალ დარბაზში

დღის წესრიგი:

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ცენტრალური ბიუროს მოხსენება (ამხ. ლაზარი),
საქ. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ბიუროს ანგარიში (ამხ. გიულუმიანი),
მოხსენება ბეჭდვითი სიტყვის ამოცანების შესახებ რეკონსტრუქციის პერიოდში,
ბეჭდვითი საქმის კომიტეტის მოხსენება,
ამიერ-კავკასიის ტელეგრაფის სააგენტოს მოხსენება,
არჩევნები

იმავე დღეს, საღამოს სრულ 5 საათზე შესდგება

ყრილობის კომფრაქციის სხდომა

ყრილობის დელეგატები მანდატებს მიიღებენ კავშ-რის შენობაში (შრომის სასახლე, მესამე სართული, ოთახი № 40) შაბათს და სამშაბათს დილის 8 საათამდე და საღამოს 6-დან 9 საათამდე.

დელეგატებს თან უნდა ჰქონდეთ ამონაწერები ოქმიდან მათი არჩევის შესახებ.

ყრილობაზე მოწვეულნი არიან ბეჭდვითი სიტყვის მუშაკები, ქალ. თბილისის მუშკორები და სამკორები. ბილეთებს მიიღებენ რედაქციების ადგილკომებში.

საქ. ბეჭდ. კავშირის ცენტ. გამგეობა და ბეჭდვ. სიტ. მუშ. საქ. ბიურო.

თბილისის საშეფო საზოგადოების მე-III საქალაქო კონფერენცია

იხსნება სამშაბათს, 16 ივლისს, საღამოს 6 საათზე, მეღვინეთა კლუბში (ყოფილი მუშათა ცენტრალური კლუბი, პლეხანოვის პრ. № 123).

დღის წესრიგი: 1. სოფლის მეურნეობის განვითარების გზები და საშეფო საზოგადოების მორიგი ამოცანები (მომხსენებელი ამხ. ასრიბეკოვი); 2. 2 წლის მუშაობის შედეგები (მომხსენებელი ამხ. სტეფანოვი დამეიფარიანი); 3. სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება (მომხსენებელი ამხ. დანდუროვი); 4. ბაქოს საშეფო საზოგადოების მოხსენება (მომხსენებელი ამხ. ველიევი). 5. პროფკავშირები და შეფობა (მომხსენებელი ამხ. მაჩაიძე); 6. წესდების ცვლილებები და დამატებები (მომხსენებლები ამხ. არეშიძე და საყვარელიძე) და 7. არჩევნები.

მანდატების მიღება შეიძლება საშეფო საზოგადოების რაიონულ საბჭოებში.

საორგანიზაციო კომისია.

კომუნისტი

კვირა, 14 ივლისი 1929 წ. № 160 (2506)

ეროვნული

ქრონიკა

ამხ. შ. მათიკაშვილის განთავისუფლება და ამხ. გ. სტურუას დანიშვნა

საქართველოს ცაკის დადგენილებით ამხ. შალვა სპირიდონის ძე მათიკაშვილი, მისი პარტიულ სამუშაოზე გადაყვანის გამო განთავისუფლებულია იუსტიციის სახალხო კომისარის თანამდებობიდან.

იუსტიციის სახალხო კომისარათ ცაკმა დანიშნა ამხ. გიორგი სტურუა.

ამხ. ნ. სოკოლოვსკის დანიშვნა

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით ამხ. ნ. სოკოლოვსკი დანიშნულია ა. კ. სახკომსაბჭოსთან არსებულ ბეჭდვითი საქმის კომიტეტის თავმჯდომარეთ

საკონტროლო კომისიებისა და მ.-გ. ინსპექციების გამოკვლევა

თბილისში ჩამოვიდა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და სსკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაკთა ჯგუფი ამხ. კოკოვიხინის, ცეიტლინის ბაევსკის და კურილენკოს შემადგენლობით.

მათი ჩამოსვლის მიზანს შეადგენს ამიერკავკასიის საოლქო და რესპუბლიკანურ საკონტროლო კომისიების და მუშ. გლეხთა ინსპექციების მუშაობის შემოწმება.

ჯგუფი იმუშავებს პირველად აზერბეიჯანში, შემდეგ კი საქართველოში და სომხეთში.

დაწინაურებულ მუშაკთა კურსები

საბჭოთა აპარატის წმენდასთან დაკავშირებით საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება თბილისში აწყობს დაწინაურებულ მუშათა გადასამზადებელ კურსებს.

კურსები გაიხსნება ამ თვის ბოლო რიცხვებში.

კურსები მოამზადებს იმ მუშებს, რომლებიც საბჭოთა აპარატის წმენდის შემდეგ გამოყენებულნი იქნებიან დათხოვნილთა ადგილებზე.

ჩაის ახალი ფაბრიკა

სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-მ გადასწყვიტა ჩაქვში ააგოს ჩაის ახალი დიდი ფაბრიკა.

ხარჯთაღრიცხვით ქარხნის აგება დაჯდება 585.000 მანეთი.

წელს ქარხნის პირველი სამუშაოების ჩასატარებლად ვადადებულია 267.000 მან.

აგრონომების გაგზავნა სოფლად

ლენრაიონის საშეფო ორგანიზაციამ 8 აგრონომი მიავლინა ერთი თვით სამუშაოდ, გორში, გორში, ქარელში, რუისში, ქვემო-ჭალაში; კავთის ხევში და საგარეჯოში. აგრონომები ადგილობრივ ბრძოლას აწარმოებენ მინდვრის მავნებლებთან.

დაწინაურებულ მუშების თათბირი

სამშაბათს, 16 ივლისს, საღამოს 6 საათზე, საქ. პროფსაბჭოში შესდგება დაწინაურებულ მუშათა თათბირი.

ოთხშაბათს იქვე მოწვეულია დაწესებულებებზე მიმაგრებულ მუშათა ბრიგადების თათბირი. თათბირზე განხილული იქნება საბჭოთა აპარატის წმენდასთან დაკავშირებული საკითხები.

ქუთაისის მაზრის ბიუჯეტი

ქუთაისის მაზრის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა 5.624.498 მანეთის, რაოდენობით.

თბილისის აღმასკომში

◆ ახალი სადარაჯოები. ადმინისტრატიული განყოფილება სამხედრო გზაზე აწყობს 4 სადარაჯო პუნქტს.

◆ ცოფის წინააღმდეგ. ჯანმრთელობის განყოფილებას დაევალა მიიღოს წინასწარი ზომები ქალაქში ცოფის გავრცელების წინააღმდეგ. ამ მიზნით გაფართოებული იქნა პასტერის სადგურების მუშაობა.

◆ ექსკურსიის მოსაწყობად კომუნალურ სექციას გადაეცა 300 მანეთი.

◆ შეშის დასამზადებლად თბ. აღმასკომმა გადასდო 85.000 მანეთი.

◆ მილიციონერ ზარიძის დაჯილდოება. თბილისის აღმასკომმა ერწოს რაიონის უფროსი მილიციონერი ზარიძე, ყაჩაღებთან გმირული ბრძოლისათვის, დააჯილდოვა 100 მანეთით.

◆ ამხ. ვ. ბოლქვაძის შვებულებაში გამგზავრების გამო, მისი მოვალეობის ასრულება დაევალა ამხ. ვ. ავაქოვს.

სასკოლო აღმშენებლობა

◆ ქუთაისის აღმასკომი სოფ. გორდში აგებს სკოლის ახალ შენობას.

◆ რაჭა-ლეჩხუმის აღმასკომმა სკოლების შესაკეთებლად გადასდო 30.000 მანეთი.

◆ ოზურგეთის აღმასკომმა სოფ. ბოტის სკოლის ასაგებათ გადასდო 2500 მ.

◆ გორის აღმასკომმა სოფლის სკოლების ნაწილობრივ შესაკეთებლად გაიღო 100 მ.

◆ ქვიტირ ლანირში გლეხები თვითდაბეგვრის საშუალებით აგებენ სკოლის ახალ შენობას.

სხვადასხვა

◆ ახალი ფაბრიკა. მომავალ წელში სოხუმში აგებული იქნება პაპიროსის დამამზადებელი დიდი ქარხანა.

◆ კომუნალურ სახლის ასაგებათ ახალციხის მაზრას სესხათ მიეცა 20.000 მ.

◆ კურსები. მე-14 შრომის სკოლაში 16 ივლისს გაიხსნება პროდუქციის დამხარისხებელთა მოსამზადებელი კურსები.

შეჯიბრება სროლაში

ჯილდოების განაწილება

12 ივლისს დასრულდა საქ. თავდაცვა-ავიაქიმის მიერ მოწყობილი სრ. საქართველოს სასროლო შეჯიბრება.

გუშინ შესდგა მსაჯთა კოლეგიის სხდომა, რომელმაც შემდეგნაირად განაწილა ჯილდოები მსროლელთა შორის:

საქ. სახკომსაბჭოს სახელობის გარდამავალი ჯილდო მიეკუთვნა თბილისის ქალაქის რაიონის მსროლელთა გუნდს.

პირველი ადგილი სროლაში მცირეყალიბიანი თოფიდან 50 მეტრის მანძილზე დაიკავა თბილისის ნაკრებმა გუნდმა. გუნდს მიეცა დიპლომი.

ინდივიდუალურ შეჯიბრებაში (სროლა 50 მეტრის მანძილზე) მცირეყალიბიანი თოფიდან ჯილდოები მიეცა: ამხ. ამხ. კუზმინს (255 მოხვედრა 300-ან), პოპოვს (228 მოხვედრა), ბალუევს (213 მოხვედრა), დავითაშვილს (195 მოხვედრა), იოსელიანს (175 მოხვედრა), მიხაილოვს (148 მოხვედრა).

200 მეტრის მანძილზე სროლაში ჯილდოები მიეცა: პოპოვს (156 მოხვედრა 300-ან), დავითაშვილს (155 მოხვედრა), ლოზანოვიჩს (149 მოხვედრა).

სროლაში ნაგანიდან 25 მეტრის მანძილზე პირველობა მიეკუთვნა რომანენკოს (55 მოხვედრა 60-ან). ბალუევს (54 მოხვედრა) და მ. პოპოვს (58 მოხვედრა).

სროლაში სამხაზიანი შაშხანა თოფიდან 300 მეტრის მანძილზე ჯილდოები მიეცა: პოპოვს (191 მოხვედრა 300-ან), ჯიოევს (133 მოხვედრა) და ბალუევს (133 მოხვედრა).

ჯილდოები მიეცა საუკეთესო სროლისათვის ამხ. წულუკიძეს (ქუთაისი) და ამხ. მეშჩერიაკოვს (ბათომი).

მსაჯთა კოლეგიამ ამავე სხდომაზე მიაკუთვნა ამხ. ამხ. კუზმინს, გერასიმოვს, პოპოვს და რომანენკოს—1-ლი ხარისხის მსროლელთა სახელწოდება, ამხ. ამხ. მ. პოპოვს, დავითაშვილს, იოსელიანს, პოპოვს, იონოვს, ლოზანოვიჩს და ჯიოევს—მე-2 ხარისხის მსროლელთა სახელწოდება.

დღეს თბილისის საგარნიზონო სასროლო მოედანზე დაიწყება ა.-კ. სასროლო შეჯიბრება

შეჯიბრებაში საქართველოდან მონაწილეობას იღებს 16 კაცი.

რკინისგზეზე

მაგარი სასმელების წინააღმდეგ

განჯის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ გამოიტანა დადგენილება, სადაც გზათა სამმართველოს სთხოვენ სრულიად აკრძალოს მაგარი სასმელების გაყიდვა სადგურ ფოილოს, შამქორის, ძეგამის დალმაკტლის, ლიკის, უჯარის და თაუზის ბუფეტებში. გარდა ამისა სთხოვენ გზათა სამმართველოს სადგურ აქსტაფის, განჯის და ქიურდამირის ბუფეტებში შემოღებული იქნეს ღვინის შეზღუდული ნორმით გაყიდვა.

საცდელი მატარებლები

კაზანცევის მუხრუჭებით მოწყობილი გზათა სახ. კომისარიატის საცდელი მატარებელი № 3016 სადგურ მოლითში შესვლის დროს გაწყდა ორ ადგილას. მატარებელი ხელახლად გადააბეს.

ამავე სადგურიდან (მოლითიდან) გასვლის დროს მატარებელი ისევ გაწყდა. მეორედ გაწყვეტის დროს დაზიანდა ორი ვაგონი, რომლებიც მოხსნილი იქნენ მატარებლიდან.

ამ მიზეზების გამო შეფერხდა მატარებლების ნორმალური მიმოსვლა. მეორე საცდელ მატარებლის (№ 3018) 12 თანამშრომელი გზაზე ჩამორჩა მატარებელს, რის გამოც მატარებელი შეჩერებული იქნა სადგურ აჯამეთში.

ბრძოლა მატარებლების დაგვიანებასთან

გრძელდება ბრძოლა მატარებლების დაგვიანების წინააღმდეგ 7 ივლისს მომხდარ მატარებლების დაგვიანებისათვის ადმინისტრატიული წესით დაჯარიმებული იქნა 15 კაცი. მემანქანე შიუკაშვილის მიზეზით დაიგვიანა სამგზავრო მატარებელმა, რისთვისაც ივი მოხსნილია სახალხო მატარებლის ორთქლმავალიდან და გადაყვანილია საბარგო მატარებლის ორთქლმავალზე.

დამატებითი მატარებელი

13 ივლისიდან თბილის-გურჯაანს შორის დანიშნულია დამატებითი სამგზავრო მატარებელი, რომელიც ივლის კვირა-უქმე დღეებსა და კვირა-უქმე დღეების წინა დღეებში.

შემთხვევები

თვითმკვლელობის განზრახვა

პოლინა ვასილის ასულმა შოლგოვამ (მცხ. ექმის ქუჩა № 29) თვითმკვლელობის მიზნით ტანზე გადაისხა ნავთი და წაიკიდა ცეცხლი. მეზობლებმა შოლგოვა დაწვას გადაარჩინეს. მას აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

გვამის პოვნა

გუშინ, მტკვრის პირას გამვლელებმა იპოვნეს დამხრჩვალი 8 წლის ბავშის გვამი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია. გვამი გადაიგზავნა ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

მცირეწლოვანი დამნაშავენი

მილიციამ დააპატიმრა მცირეწლოვანი ტალე მავეხიპნი და მაკარი შავრეშოვი (უბინაონი), რომლებმაც განიზრახეს დანდუროვის ბინის გაქურდვა (კამოს ქ. № 113).

ფოსტის გაქურდვა მანგლისში

ვიღაც ბოროტმოქმედმა გაქურდა ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო მანგლისში. წაღებულია 30 მანეთი.

გაფლანგვა

როგორც გურჯაანიდან იტყობინებიან, სახ. ფინკონტროლმა გამოკვლევის დროს აღმოაჩინა ველისციხეში 2.200 მან. გაფლანგვა ინდუსტრ. მეორე სესხის თანხებიდან. ორი თანამშრომელი ამ საქმის გამო დაპატიმრებულია და პასუხისგებაში არიან მიცემული.

ქურდობა

პირველ სამილიციო უბნის შენობაში მილიციონერ არუცევს მოპარეს ნაგანის სისტემის რევოლვერი.—ამიერ-კავკასიის საგზაო-სატრანსპორტო მომხმარებელთა საზოგადოების შენობაში (პლეხანოვის პროსპ.) მაგიდის უჯრიდან მოიპარეს 40 მანეთი.—გაქურდეს ფეხსაცმელების სახელოსნო (ფ. მახარაძის ქ. № 5).

შეპყრობა

დაპატიმრებულია მიხეილ იაგორის ძე ჩიკვაშვილი (უბინაო), რომელმაც ლიზა მამაცევს ჯიბიდან ამოაცალა ფული.

ხელოვნება

დ. ანდღულაძის, შ. ცირღილაძის და დ. მჭედლიძის კონცერტი

ხუთშაბათს, 18 ივლისს, სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება სამი ახალგაზრდა მომღერალის დ. ანდღულაძის, შ. ცირღილაძის და დ. მჭედლიძის კონცერტი. სამივე ეს მომღერალი გამოსულია თბილისის კონსერვატორიიდან. უკანასკნელი წლების განმავლობაში ისინი მუშაობენ მოსკოვსა და ლენინგრადში, სადაც უკვე მიიპყრეს ყურადღება, როგორც საუცხოვო ხმების პატრონმა მომღერლებმა და სცენიურად ნიჭიერმა არტისტებმა.

დ. ანდღულაძე (ტენორი) მუშაობს კ. სტანისლავსკის სახელობის მუსიკალურ თეატრში, დ. მჭედლიძე (ბანი) სწავლობს ლენინგრადის კონსერვატორიაში და პარალელურად მუშაობს ყოფ. მარინის საოპერო თეატრში, სადაც უკვე გამოვიდა რამდენიმე პარტიაში; შ. ცირღილაძე (ბარიტონი) სწავლობს მოსკოვის კონსერვატორიაში და სცენიურ სკოლას გადის ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში.

კონცერტში მონაწილეობას იღებს აგრეთვე სკრიპკაზე დამკვრელი ვ. მეტელინკოვა-სვიმონიშვილი.

—:—

მოსკოვის დრამატიული ბალეტის გასტროლები

სახელმწიფო ოპერის დირექციამ თბილისში მოიწვია მოსკოვის დრამატიული ბალეტის კოლექტივი, რომელშიაც შედის 45 კაცი. ეს კოლექტივი არსებობს მოსკოვის თეატრ „მუზიკ-ხოლ"-თან.

დრამატიული ბალეტის კოლექტივი პირველად დაარსდა 1918 წელს მ. მორდკინის სტუდიასთან კომპოზიტორ ნ. რახმანოვის ინიციატივით. კოლექტივი მიზნათ ისახავს ბალეტის ახალი ფორმების ძიებას. თავის მხატვრულ მუშაობას კოლექტივმა საფუძვლად დაუდო ბალეტის დრამატიზაციის პრინციპი.

ამ ათი წლის განმავლობაში კოლექტივი იმდენად ვაიზარდა მხატვრულად, რომ ამჟამად სდგას საკითხი მისი ხორეოგრაფიულ თეატრად გადაკეთების შესახებ.

კოლექტივის მხატვრული ხელმძღვანელები მოსკოვის დიდი თეატრის ბალეტმეისტერები კასიან გოლეიზოვსკი და ასაფ მესერერი.

დრამატიული ბალეტის საგასტროლო რეპერტუარში შედის ცეკვა „30 ქალიშვილი", კლასიკური, აკრობატიული, სპორტული, ექსცენტრიული ცეკვა, „ცოცხალი კიბე". ზღვის სკეტჩი და სხვა.

ბალეტის პირველი ორი გასტროლი თბილისში გაიმართება ორშაბათს, 15 და სამშაბათს 16 ივლისს სახელ. ოპერის თეატრში.

ალ. ბატურინის კონცერტი

თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ახალგაზრდა მომღერალი, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი ალ. ბატურინი (ბანი).

ალ. ბატურინი

ბატურინი ყოფ. ოდესელი შოფერია. ოდესის ტრანსპორტელთა კავშირის შუამდგომლობის თანახმად იგი მიღებული იქნა ლენინგრადის კონსერვატორიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. ლენინგრადის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ბატურინი განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გაგზავნილი იქნა იტალიაში, რომის მუსიკალურ აკადემიაში, რომელიც ოქროს მედალზე დაამთავრა და მუსიკის პროფესორის სახელწოდება მიიღო.

იტალიაში ბატურინი სწავლობდა მსოფლიო მომღერალ ბატისტინისთან და ამავე დროს გამოდიოდა ოპერაში და კონცერტებზე. ბატურინი იტალიიდან დაბრუნდა 1927 წელს. იგი ამჟამად 25 წლისაა.

ალ. ბატურინის პირველი კონცერტი თბილისში დანიშნულია ოთხშაბათს, 17 ივლისს სახ. ოპერის თეატრში.

ხელოვნების ქრონიკა

დიდი ეთნოგრაფიული საღამო სკოლის სასარგებლოდ

ორშაბათს, 15 ივლისს სახელმწიფო საზაფხულო ბაღში (ყოფ. არტო) გაიმართება დიდი ეთნოგრაფიული საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ძუკუ ლოლუას სახელობის მეგრული გუნდი—პაჭკორიას ხელმძღვანელობით და გურულ მომღერალთა გუნდი—ალ. მახარაძის ხელმძღვანელობით. გარდა კონცერტისა გაიმართება სადივერტისმენტო განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ნ. ალექსი-მესხიშვილი, ლადო კავსაძე (სიმღერა) და მანოველ აფხაიძე (იუმორი).

კონცერტის შემდეგ გაიმართება აზიური ცეკვა დ. ჩიკვაიძის და ქ. მგალობლიშვილის მონაწილეობით. საღამოს მთელი შემოსავალი გადაიდება ნაგომარის თემის (გურია) სოფ. ბუკნარის სკოლის შენობის დასამთავრებლად.

—:—

— სიმფონიური კონცერტი. სახ. ბაღში დღეს სავიცის დირიჟორობით გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

◆ მედსანშრომის კლუბში დღეს გაიმართება დიდი კონცერტი. საღამოები და წარმოდგენები გაიმართება აგრეთვე ყველა დანარჩენ მუშათა კლუბებში.

როგორ ჩატარდა ბამბის ნათესების კონტრაქტაცია

ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით 1 ივლისამდე მთელ ამიერ-კავკასიაში კონტრაქტაციაში ჩაბმული იყო 123.900 მებამბე გლეხი. აქედან 107.600 ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო გლეხური მეურნეობა. 8.800 კოლექტიური მეურნეობა და 7.500 უავანსო მეურნეობა, რომლებსაც კონტრაქტაციის ანგარიშში მიეცათ მხოლოდ სათესლე მასალა. სულ კონტრაქტაციის წესით დათესილია 179.100 ჰექტარი მიწა. ამრიგად ბამბის ნათესების კონტრაქტაციის გეგმა შესრულებულია 13 პროცენტის გადამეტებით. 1 ივლისამდე მებამბე გლეხებს ავანსი მიღებული ქონდათ 3.820.000 მანეთის რაოდენობით.

სასამართლო

უმაღლესი სასჯელი ყაჩაღს

1929 წ. 14 თებერვალს ქ. ზუგდიდში რუსთაველის ქუჩაზე თავის დუქანში მოკლული ნახეს მოქ. პორფილე გაბეჩავა. გაბეჩავას ჩამტვრეული ჰქონდა თავის ქალა ბლაგვი იარაღით.

ვიღაცამ სთქვა, რომ მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე გაბეჩავასთან ხშირად დადიოდა ობეჯის თემის მცხოვრები მაქსიმე ლევანისძე ფიფია. ფიფია შეპყრობილი იქნა. მას ისედაც ცუდი რეპუტაცია ჰქონდა ადგილობრივ გლეხებს შორის. ადგილობრივმა გლეხებმა იცოდნენ, რომ ფიფიას უშუალო კავშირი ჰქონდა ყაჩაღებთან და გარდა ამისა, ფიფია რამდენიმეჯერ იყო გასამართლებული მძარცველობისათვის.

დაიწყო კვლევა-ძიება. ბევრი შრომა და ჯაფა აღარ შეიქნა საჭირო, რადგან თვითონ ფიფიამ ილაპარაკა, რაც მან ჩაიდინა.

ფიფია მივიდა პორფილე გაბეჩავასთან დუქანში, საიდანაც მას ნისიათ წაღებული ჰქონდა 24 მანეთის საქონელი. გაბეჩავა მას სთხოვს ვალის გასტუმრებას.

— რად გინდა ფული? თუ ასე აუცილებელია, სადმე გავაჩენ!

— არა, საქმე იმაშია, რომ მე ამაღამ უნდა წავიდე თბილისში საქონლის საყიდლათ. ფული მაკლია და ამიტომ გთხოვდით...

ფიფიას უკვე დაებადა ბოროტი აზრი. რაკი გაბეჩავა საქონლის საყიდლათ მიდის, მას უკვე დაგროვებული ექნება განსაზღვრული თანხა, რომლის გატაცების წყურვილმა შეიპყრო გაუსწორებელ ბანდიტის მთელი აზრი და გონება.

— მოდი ამ საღამოს, ვითამაშოთ კარტი.., „ფურთი" შენ კარგად იცი, მაგრამ არც მე მინდა ჩამოგრჩე,—ჩამოუგდო ლაპარაკი ბანდიტმა ფიფიამ გაბეჩავას.

დაიწყეს თამაში. ღამის ორი საათი იყო, როცა მასპინძელი გაბეჩავა დაიღალა და წინადადება მისცა თავის „სტუმარს" დაწოლილიყო მის დუქანში, თუ სხვაგან ღამის გასათევი ადგილი არ ჰქონდა.

— ეხლა სადღა უნდა წავიდე, სადმე აქ მივიდებმი...

ფიფია კი არ „მიეგდო", არამედ თავის მასპინძელს ლოგინში წამოწვა. მასპინძელიც იძულებული გახდა მასთან ერთად თავბოლო შექცევით დაწოლილიყო.

გაბეჩავას მაშინვე ჩაეძინა. ფიფიას გადაუწყვეტელი ჰქონდა უძილობა და მან არ დაიძინა, რადგან ბოროტი აზრი ედო გულში.

ირგვლივ სიჩუმე იყო. გაბეჩავას ეძინა, როცა ბანდიტი ფიფია წამოდგა, აიღო ხელში ნაჯახი და მიადგა იმ ყუთს, სადაც მისი მასპინძელი ფულს ინახავდა. ყუთი გასტეხა, ამოალაგა ფული და ჩაიწყო ჯიბეში.

ამის შემდეგ ფიფია შემობრუნდა იმ ოთახში, სადაც გაბეჩავას ეძინა. მოიმარჯვა ხელში ნაჯახი და მძინარე გაბეჩავას, რაც ძალი და ღონე ჰქონდა შუბლში დაჰკრა. გაბეჩავამ იქვე დალია სული. ფიფიამ კი მიატოვა მოკლული მასპინძელი და გაიქცა იმ ღამესვე.

ეს ყველაფერი შემდეგში შეპყრობისას ილაპარაკა თვით ფიფიამ, მაგრამ სასამართლოში მან არ ისურვა ჩვენების მიცემა და უარი სთქვა როგორც, ახსნა-განმარტებაზე, ისე საბოლოო სიტყვაზე.

საქმე 5 ივლისს გაარჩია ზუგდიდის უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. აფაქიძის თავმჯდომარეობით და პროკურორ ნამგალაძის მონაწილეობით.

მაქსიმე ლევანისძე ფიფიას მიესაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა,

მსჯავრდადებულმა განაჩენი გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

გერ.

პროცენტების დაკლება

დასაგირავებელ ნივთებზე

იმ მიზნით, რათა მუშა-მოსამსახურეებს და ხელმოკლე მოქალაქეებს საშუალება ექნეთ დაუბრკოლებლად ისარგებლონ ლომბარდით, თბილისის აღმასკომმა დაადგინა გააფართოოს ლომბარდის მუშაობა და გაადიდოს მისი საბრუნავი თანხები.

განზრახულია ლომბარდის ახალი განყოფილებების გახსნა მუშათა უბნებში.

ლომბარდის მუშაობის გაფართოების მიზნითვე, საქ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ლომბარდი განთავისუფლებულია საშემოსავლო და სარეწაო გადასახადისაგან.

ამ დადგენილებასთან დაკავშირებით თბილისის აღმასკომმა გადასწყვიტა შეამციროს ლომბარდში ნივთების დაგირავებისათვის არსებული საგადასახადო პროცენტები.

ამიერიდან ნივთების დაგირავებისათვის დაწესებულია შემდეგი საგადასახადო პროცენტები:

1 მანეთიდან—9 მანეთამდე შეფასებულ ნივთზე ნივთის პატრონი იხდის ნახ. პროც., 10 მანეთიდან 19 მან.—ერთიმეოთხ. პროც., 19—39 მანეთამდე—2 1/4 პროც. და 40 მანეთიდან ზევით 3 პროცენტს.

ექსკურსიები

5,000 ექსკურსანტი

დღეს და ხვალ საქართველოს სხვადასხვა ადგილებში ეწყობა დიდი მასიური ექსკურსიები. არ დარჩენილა არც ერთი ფაბქარხადგილკომი, არც ერთი კავშირი, რომელიც დღეს არ აწყობდეს ექსკურსიას.

ექსკურსიები უმთავრესად ეწყობა თბილისის ახლო მდებარე ადგილებში—ზაჰესში, კოჯორში, ნატახტარში და სხ.

ექსკურსიები აგრეთვე ეწყობა ქუთაის-ტყიბულში, კავკავში და ბორჯომის ხეობაში.

ყველა ექსკურსიაში დაახლოებით მონაწილეობას მიიღებს ხუთი-ექვსი ათასი კაცი.

გუშინ, საღამოს ექსკურსანტები უკვე გაემგზავრნენ ქუთაისში და ბორჯომის ხეობაში.

თბილისის საბჭოს წევრების ექსკურსია

კვირას, 21 ივლისს თბილისის საბჭოს კომუნალური სექცია თავის წევრთათვის აწყობს მასიურ ექსკურსიას ნატახტარის ახალ წყალსადენში. მსურველების ჩაწერა გაგრძელებულია 17 ივლისამდე და სწარმოებს კომუნალურ სექციის მდივან ამხ. ყანჩელთან, აღმასკომი, ოთახი № 40.

რადიო

რადიო - გადაცემა

კვირა, 14 ივლისი

დღეს თბილისის რადიო-ცენტრი გადასცემს შემდეგ რადიო-პროგრამას:

დილის 9 საათიდან—პიონერთა რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; საბავშო კონცერტი; საუბარი ციკლიდან—რევოლიუციონური კანონიერება—„საბჭოთა აპარატის ძირითადი ქსელის როლი რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცების საქმეში", ქართულ ენაზე; რადიო გაზეთი, ქართულ ენაზე, საგლეხო კონცერტი; მორზეს ანბანი, ქართულ ენაზე.

საღამოს ექვსი საათიდან—პიონერთა რადიო გაზეთი, რუსულ ენაზე; გლეხის საათი—საუბარი: „საზაფხულო სამუშაოები ბაღებში"; საუბარი: „წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია", ქართულ ენაზე; ჩვენი პოეტები და მწერლები მიკროფონთან; დროს შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; კომკავშირელების რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; საუბარი: „დიფერენციალური ანაზარები სამომხმარებლო კოოპერაციაში", სომხურ ენაზე; პასუხის გაცემა რადიომოყვარულთა წერილებზე; კონცერტის ტრანსლიაცია.

ორშაბათი, 15 ივლისი

რადიო-გადაცემა დაიწყება საღამოს 6 საათიდან. გადაცემული იქნება:

პიონერისა და მოსწავლის საათი. „მოემზადე გასაფრენათ" (ინსცენირობა), რუსულ ენაზე; რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; გაზეთი „წითელი არმიელი" რადიოთი, ქართულ ენაზე; დროს შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; რადიო-გაზეთი, რუსულ ენაზე; კონცერტი თემატიური ციკლიდან; რადიო გადაცემათა კვირეული პროგრამის გადაცემა; მორზეს ანბანი, რუსულ ენაზე.

სამშაბათი, 16 ივლისი

საღამოს 6 საათიდან გადაცემული იქნება: რადიო გაზეთი, ქართულ ენაზე; გაზეთ „პროლეტარი" რადიოთი, სომხურ ენაზე; ლექცია სამეცნიერო ბუნებისმეტყველებიდან: „შხამიანი ცხოველები და მათი მნიშვნელობა ადამიანისათვის", (გაგრძელება), ქართულ ენაზე; დროს შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; კომკავშირელების რადიო-გაზეთი, რუსულ ენაზე; რადიოს მეგობართა საათი (ტექნიკური კონსულტაცია), რადიო-გადაცემათა კვირეული, პროგრამის გადაცემა, ესპერანტოს ენაზე; კონცერტი; უკანასკნელი ამბები.

—:—

რადიო მუშაკთა მოსამზადებლად

ა. კ. საგზაო კომიტეტმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას საქ. პროფსაბჭოს წინაშე, რათა რადიო მუშაკთა კურსებზე ა. კ. საგზაო კომიტეტს დაეთმოს ხუთი ადგილი.

—:—

რადიოს მოყვარულთა საზ-ბაში

◆ ფშავ-ხევსურეთში რადიო-მოყვარულთა საზ-ამ გააგზავნა მოძრავი რადიო.

◆ კურსები. 16 ივლისს იხსნება რადიოს მუშაკთა მოსამზადებელი კურსები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) პარტიის რიგების წმენდა ჩატარდება შემდეგ უჯრედებში:

1. ტრამვაის სახელოსნოები—ტრამვაის მუშათა კლუბში, დღეს, 14 ივლისს და ხვალ, ორშაბათს დილის 10 საათიდან; შემოწმებელ კომისიაში შედიან—ამხ. ი. ვაცეკი, ზ. ნამურაძე და ა. სტეპანოვი.
2. სახმედვაჭრობა—კამოს ქ. სახმედვაჭრობის შენობაში—14 ივლისს დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 6 საათის შემდეგ; 15 ივლისს იმავე საათებში და 16 ივლისს—საღამოს 6 საათის შემდეგ; შემოწმებელი კომისია იმუშავებს—ამხ. ი. პევცოვის, დ. მესხის და არტ. ზურაბოვის შემადგენლობით.
3. ჯგუფკომი № პირველი—სახალხო მეურნეობის მუშაკთა საქმიან კლუბში, 16 ივლისს საღამოს 6 საათის შემდეგ; შემმოწმებელ კომისიაში შედიან—ამხ. ესაკია, შახსუვაროვი და ფზაკაძე.
4. 26 კომუნართა სახელობის ქარხანა—იქვე, 16 ივლისს საღამოს 5 საათის შემდეგ; შემოწმებელ კომისიაში შედიან—ამხ. ზაქრაძე, გაბერნკორნი და კესიხოვი.
5. იზოლიატორი—მეტეხის შენობაში— 14 ივლისს დილის 10 საათიდან; შემმოწმებელი კომისია ამხ. ზაკომოლდინის, სულავას და გ. შახსუვაროვის შემადგენლობით.
6. საკანდიდტრო—16 ივლისს საღამოს 6 საათიდან; შემმოწმებელი კომისია იმუშავებს ამხ. პაპახჩიანის, კომაროვსკის და გულივერდაშვილის შემადგენლობით.
7. აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა—საბჭოთა ქუჩაზე—16 ივლისს საღამოს 6 საათიდან; შემოწმებული კომისია—ამხ. ენუქიძის, სოსიანის და პეტრენკოს შემადგენლობით.
8. ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის სახარატო ცეხი—პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში, 16 ივლისს საღ. 6 საათიდან; შემმოწმებელი კომისია— ამხ. მზარეულიშვილის, არუთინოვის და კოტალევსკის შემადგენლობით.
9. „თელას"-ის უჯრედი—ყოფილ ქარვასლის შენობაში, 16 ივლისს საღამოს 5 საათიდან; შემმოწმებელი კომისია იმუშავებს—ამხ. კვანტალიანის, ნაფეტვარიძის და ჩესანიკის შემადგენლობით.
10. ტყავის ქარხანა № 2—ქარხნის შენობაში, 16 ივლისს საღამოს 6 საათიდან; შემმოწმებელი კომისია—კუზნეცოვის, ჩიხრაძის და დარპინოვის შემადგენლობით.

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში დღეს, 16 ივლისს, დილის 11 საათზე დანიშნულია სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ—ამხ. ს. თოდრია, (საქ. ცაკი), ფანცულაია (პროფსაბჭო), ტოროშელიძე (სახელმ. უნივერსიტეტი) და კ. მეგრელიძე (განსახკომი).

სამშაბათს, 16 ივლისს, დილის 9 საათზე საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში მოწვეულია სხდომა, რომელზედაც დასმული იქნება საკითხი საქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ შვებულებაში მიმავალთა მოსამზადებელ მუშაობაში. სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები.

ამხ. **ბუაჩიძე** (თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება), **არუთინოვი** (სოფლად მუშაობის განყოფილება), **ბედია** (თბილისის კომიტეტის საგიტ.-საპრ. განყოფილება), **ხოფერია** (მიწსახკომი), **ცაგარელი** (კოლმეურნეობათა ცენტრი), **დოლიძე** (იუსტიციის სახ. კომისარიატი), ერთი წარმომადგენელი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან, ამხ. **ჩხარტიშვილი** (პოლიტგანათლების მთ. მმართველობა), **გოგებაშვილი** (ცეკავშირი), **დუგლაძე** (სოფლის კავშირი), **ფანცულაია** (პროფსაბჭო), **ბიბინეიშვილი** (სახელგამი), **პატარაია** (ქართ. დივიზია), **სნეგირევი** (კ. წ. დროშ. არმიის პოლიტსამმართველო), **იცკოვიჩი, სერგეევი** (ბრიგადის პოლიტ. განყოფილება), **მალჩაკოვი** („პოსპეც"), **ბუჯიაშვილი** (ა. ლ. კ. კ. საგ-საპრ. განყოფილება), **კერესელიძე** (თბ. კომ. საგ. საპ. განყ.), **გეგეშიძე** (მუშ. და გლეხ ქალთა განყოფ.) და **სოსიანი** (თბ. პოლიტგანი).

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) ლენინის რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 16 ივლისს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში მოწვეულია კომუჯრედის ბიუროების კონფერენცია, რომელსაც უნდა დაესწრონ რაიკომის წევრებიც.

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპგანყოფილება იუწყება, რომ სამშაბათს, 16 ივლისს, შუადღის 12 საათზე საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპგანყოფილების ეროვნულ უმცირესობათა ქვეგანყოფილებაში მოწვეულია თათბირი, რომელსაც აუცილებლივ უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

ამხ. ლინეცკი, მარკმანი, ასრიბეკოვი, დიმოევი, დელავერი, აივაზოვი გეგეშიძე; უელეზნიაკოვი და ანდრიაძე.

—:—

საქ. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ 17 ივლისს—ოთხშაბათს, საღამოს 6 საათზე, ვ. სარაჯიშვილის სახელობის ხელოვნების მუშაკთა საზაფხულო კლუბის შენობაში (ოპერის თეატრის გვერდით) მოწვეულია ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის აქტივის გაფართოებული კრება. დღის წესრიგში სდგას ამხ. ახუნდ-ზადეს მოხსენება საკავშირო ა. ლ. კ. კ. მე-6 კონფერენციის შედეგების შესახებ.

კომკავშირის ა. კ. საოლქო კომიტეტის, ცეკას, თბილისის კომიტეტის და მის სარევიზიო კომისიის წევრები სხდომაზე შედიან საკუთარი მანდატებით. დანარჩენმა ამხანაგებმა ბილეთები უნდა მიიღონ შესაფერ რაიკომებში.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მომუშავეთათვის ნამსახურობის მიხედვით შრომის ხელფასის პერიოდული მომატების შესახებ

რათა მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ორგანოები უზრუნველყოფილ იქნენ გამოცდილი პირადი შედგენილობით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს უმცროსი მილიციელებისა, სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის აგენტებისა და მილიციის (გარე-მილიციისა, საუწყებო და მაძიებელი მილიციის) უმცროს და საშუალო მეთაურთა შედგენილობისათვის სამსახურობის მიხედვით სამუშაო ხელფასის სამი პერიოდული მომატება შემდეგი რაოდენობით: მილიციაში სამი წლის განუწყვეტლივ სამსახურისათვის—სათანადო თანამდებობის ძირითადი ჯამაგირის 10 პროც., ექვსი წლის სამსახურისათვის—20 პროც., ხოლო 9 წლის სამსახურისათვის—30 პროც.

შენიშვნა 1. აღნიშნული მომატება არ გავრცელდება ზემოხსენებულ ჯგუფებში იმ პირებზე, რომელნიც იღებენ უწყებულ ადგილის პასუხისმგებელ მომუშავეთა ტარიფის უმაღლეს განაკვეთს.

შენიშვნა 2. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული მომატების მიღების უფლება აქვთ იმ პირთ, ვინც მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის სამსახურში შესულია 1921 წლის თებერვლის 25-ს შემდეგ.

2. დადგენილება ესე საწოქმედოთ შემოღებულ იქნეს 1929 წლის ოქტომბრის 1-დან.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

გ მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი

ს. თოდრია.

1929 წ. აპრილის 18.
თბილისი-სასახლე.

საქართველოს ხელოვანთა კავშირი და რუსთაველის თეატრის ადგილკომი აუწყებს საზოგადოებას, რომ 13 ივლისს უეცრად გარდაიცვალა ამხანაგი მსახიობი

თამარ ილიას ასული თარხან-მოურავი

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე. ალექსანდროვის კლინიკის პროზექტურაში გამოსვენება საღამოს 5 საათზე სამშაბათს, 16 ივლისს. (ნ)

რუსთაველის თეატრის დირექცია, რეჟისურა, ადგილკომი, მსახიობები და ტექნიკური პერსონალი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მსახიობის

თამარ თარხან-მოურავის

უეცრად გარდაცვალებას. 2974

რუსთველის თეატრის დირექცია და რეჟისორთა კოლეგია მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მსახიობის

თამარ თარხან-მოურავის

უეცრად გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე, საღ. 7 საათზე, ალექსანდროვის საავადმყოფოს პროზექტურაში. გამოსვენება სამშაბათს, 16 ივლისს, საღამოს 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. (ნ)

რუსთაველის თეატრის დასი და ტექნიკური პერსონალი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი ამხანაგის მსახიობის

თამარ თარხან-მოურავის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე ალექსანდროვის საავადმყოფოს პროზექტურაში. გამოსვენება სამშაბათს, 16 ივლისს, საღამოს 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. (ნ)

ნიკოლოზ გოძიაშვილი აუწყებს საზოგადოებას, ძვირფას მეუღლის

თამარ (ტუგუ) თარხან-მოურავის

გოძიაშვილისა)

მოულოდნელად გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 14 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ალექსანდროვის საავადმყოფოს პროზექტურაში. 2566

მეუღლე ეკატერინე, მშობლები ისიდორე და მატრონა შვილებით, სიძეებით და რძალით, სიმამრი რაჟდენი და სიდედრი ქეთევან ჯანდიერი შვილებით და რძლებით, აღმზრდელი საშა ღვინიევისა და ივანე გოთუა მეუღლით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ სამშაბათს, 16 ივლისს, 4 საათზე ქ. თელავში დაუვიწყარ

ნესტორ ისიდორეს-ძე ვაჩეიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2556

თავზარდაცემული ძმები ნიტიფორე და გრამიტო, დები ნეტროსი და ლიდა იმედაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი ძმის

ელისო თემურაზის-ძე იმედაიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 14 ივლისს, ქ. ლანჩხუთში. 2550

დამწუხრებულნი მშობლები გიორგი (უჩა), კატო; და რაისა; ძმები: მირიანე და ვარლამ ანთელავები; სიძე ბიქტორ ორესტის-ძე თორდია ცოლით ქსენია ანთელავა-ასული თორდიასი და შვილით მერით იუწყებიან, რომ მათთვის დაუვიწყარ

კოლია (ნიკოლოზი) გიორგის-ძე ანთელავას

ხსოვნის აღსანიშნავად სოფ. ყულის-კარში, 15 ივლისს გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2523

ღრმად დამწუხრებული ცოლი სოფიო (სონა) და შვილი ნათელა აუწყებენ ნაცნობნათესავებს, რომ 16 ივლისს გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

არჩილ მათეს-ძე პახელაძის

ხსოვნის აღსანიშნავად სოფელ ტომში (გორის მაზრა). 2552

ანასტასია სვიმონის ასული გოგიჩაიშვილი შვილებით, ანა სვიმონის ასული ჯაფარიძე შვილებით, ელენე სვიმონის ასული ჩერქეზიშვილი, ნინო გარსიაშვილი, ბაბო ციციშვილი, მარო ბაქრაძე ქმრებით-შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას დედის და მამიდის

დარია კონსტანტინეს ას. ჩერქეზიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 5 საათზე ანანურის შესახვევი № 8-დან, ვერის სასაფლაოზე 2563

ორშაბათიდან, 15 ივლისიდან, კინო-თეატრებში

საზაფხულო
აპოლოში

დამნაშავეა
ბერნარდ გეტცკე
მონაწილეობით

2

ახალი
ს ზღვარგარეთული სურათი

საზაფხულო
პალასში

მთის ბალადა
ლენი რიფენშტალის
მონაწილეობით

ნ. 2973

საქინმრეწვის კინოები

საზაფხულო აპოლო	სემირამიდას მარგალიტი 15 ივლისიდან — „დამნაშავეა"
საზაფხულო პალასი	დ.ს.კ. დიადი საქმის კავშირი 15 ივლისიდან — „მთის ბალადა"
საზაფხულო ეთერი	მეზღვაური ჰაროლდ ლოიდის მონაწილეობით 15 ივლისიდან სურათის ჩვენება გრძელდება
მინიონი	განწირულნი 3 და 4 სერია 15 ივლისიდან—მე-5 და 6 სერია

მალე—ბედნიერების ბეჭდები.

ქ. თბილისის მე-4 უბნ. სასამართლოს აღმასრულებ.

ა. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ ის 18 ივლისს 1929 წ. დღის 3 საათზე სახლში № 6 პეტრიაწის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. სპირიდონ ლიტოვჩენკოს მოძრავ ქონებას: მსუბუქ სამგზავრო ავტომობილს „ნეპირი"-ს ფირმის 17 ცხენის ძალიანს შეფასებულს 550 მანეთად, ალექსი მელაძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოსაგან 8 ოქტომბრის 1928 წ. თარიღით, № 27 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა 2557

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად

სიფილისი, „914" შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი

ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9 –12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. 25—1

ცხადდება შეჯიბრება

საქართველოს სახელგამის
მაღაზიის გადაკეთება—რემონტისათვის
პლეხანოვის გამზირზე № 98

ვაჭრობა-შეჯიბრებაში მონაწილეთა მსურველებს შეუძლიათ რემონტის პროექტი გაიცნონ სახელგამის მმართველობაში თბილისი, რუსთველის პროსპ., № 22.

განცხადებები მიიღება ა. წ. ივლისის 20-მდე.

2975 სახელგამის გამგეობა.

ქ. თბ. მსუბ-ტვირთ-ტრანსპორტის საზოგადოება

ლიკვიდაცია ქმნილია

უკანასკნელი ვადა პრეტენზიის განცხადებისა არის 25 ივლისამდე 1929 წ. მისამართი: დესიმონოვის მოედ. № 4, ყოველ დღე დილის 9—6 2 საათამდე

2558 სალიკვიდაციო კომისია.

თბილ. 1-ლი უბნ. სასამართ. აღმასრულებელი

ს. გ. ბაგინოვი

აცხადებს, რომ ის 18 ივლისს 1929 წ. დღის 2 საათზე სახლში № 30 რუსთაველის ქუჩაზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გიორგი ქავთარაძის მოძრავ ქონებას: როიალს ფირმა „ბლიუტნერ", ტრიუმოს, კედლის სარკეს, საწერ მაგიდას შეფასებულს 3100 მანეთად, სასამართლოს ბაჟების დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის მაზრა-ქალაქის სახალხო სასამართლოსაგან 18 ივლისის 1928 წ. თარიღით, № 1509 გაცემულ ბრძანებისა. 2560

თანახმად ქ. თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. № 100 დადგენილებისა,

ყველა მეღუმელები (Печники) რომლებიც მუშაობენ ქ. თბილისის ფარ ლებში, ვალდებულნი არიან

გატარდენ რეგისტრაციაში

ქალაქის ხანძრისაგან დაცვის სამმართველოში (ელიავას ქ. № 4. ა. წ. 18 ივლისამდე და მიიღონ სათანადო მოწმობა, რომელიც მათ უნდა ანიჭებდეს სადუმელე საქმეების წარმოებას.

აღნიშნული მოწმობებს მიიღებენ სათანადო გამოცდის, სპეციალურათ გამოყოფილ საგამოცდო კომისიაში, ჩაბარების შემდეგ რომელიც დანიშნულია ა. წ. 20 ივლისს დილის 9 საათზე რა დროსთვისაც ყველა ღუმელის მოხელეები უნდა გამოცხადდენ გამოცდაზე. გთხოვთ ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს 20 ივლისის შემდეგ არ დაუშვან სამუშაოზე ისეთი მოხელეები, რომლებსაც არ ექნებათ სათანადო მოწმობები.

ნ. 2962. თბ. ხანძრისგან დაცვის სამმართველო.

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები სახის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.

25—1 2561

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 649 ანა ალექსანდრეს ასული კავკასიძეს სახელზე, ჩ. გ. 2559

პ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვისპროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—10

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი № 3970, პირადობის მოწმობა, სასურსათო ბილეთი და ობლიგაციების №№-ები 70 მან. პოლოს პოლოსოვის სახელზე, ჩ. გ. 2554

დაიკარგა: პურის წიგნაკი № 500 იაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2564

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. გ. კონტოროვიჩისა

ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა

ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება

მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26-01.

2468 13—1

დაიკარგა: პურის წიგნაკი № 1 მოდებაძის სახელზე, ჩ. გ. 2594

დაიკარგა პურის წიგნაკი № 1 ვაშაძის სახელზე, ჩ. გ. 2564

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს)" პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა

მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და მავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი. 1—90. 25—1

ქუთაისში
ექიმი ვ. დ. კუჭაიძე

ლენინგრადის სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის შ. გ. ასისტენტი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით საღ. 5—7 ს.

იღებს სპეციალურათ მეანობაში, ქალთა სნეულებათა ავადმყოფთ და ქალთა უროლოგიაში (შარდის ბუშტის, მილის და თირკმელების დაავადებანი). პუშკინის ქ. № 7

2463 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ტელ. 10—14 412 25—1

დაიკარგა კომპარტიის მანდატი № 0849969 და სამთო მადნო კავშირის წიგნაკი № 6328/398777 გრიგოლ ივანეს-ძე ღუღუნიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2551

დაიკარგა: კავშირის საწევრო წიგნაკი № 13/2117 გაცემული თბილისის საამშენებლო კავშირის მიერ, პირადობის მოწმობა გაცემული ზაჰესი სამმართველოს მიერ გიორგი სპირიდონის-ძე ბალარჯიშვილის სახელზე და თბილისის კოოპერაციის ანგარიში 12 მან. და 22 კაპ. რიონჰესის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2972

დაიკარგა: ა.ლ.კ.კ. ინსტიტუტის უჯრედის მიერ გაცემ. ტალონი, დავალების ფურცელი და პროფკავშირის წიგნაკი № 90164 ერასტი ნესტორის-ძე ნეფარიძის სახელზე, ჩ. გ. 2562

დაიკარგა მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 44132 ანნა გიორგიშვილის სახელზე, ჩ. გ

ტირაჟი—42.426

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამოს ქუჩა № 64.

მთავლიტი № 904.